პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეებისათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ბარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ნოტა ჩინეთის ორმუნიბულს მოსკოვში.
- ინგლისის „ახალი წინადადებები" საზღვაო განიარაღების შესახებ.
- ჰამბურგში გაიხსნა გერმანიის წითელ - ფრონტელთა ყრილობა.
- ჩეხო - სლოვაკიის მემაღაროები ხელფასის მომატებას მოითხოვენ.
- ინგლისის თემთა პალატამ უარჰყო პროექტი 7 საათის სამუშაო დღის შემოღებისა მემაღაროეთათვის.
- მელითონეთა გაფიცვა ბავარიაში.
- უნგრეთ - სამხრეთ - სლავიის საზღვარზე დააკავეს 22 ვაგონი ასაფეთქებელი მასალა.
- საბჭოთა მეცნიერების მისალმება ამხ. ლიტვინოვს.

სამშაბათი, 27 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 71 (2114)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ნიღაბჩამოგლეჯილი იმპერიალისტები

განიარაღების მოსამზადებელ კომისიის სესია დაიხურა. იმპერიალისტები, უეჭველია, ბევრს ინანებენ იმის გამო, რომ მათ საერთოდ საშუალება მისცეს საბჭოთა მთავრობას განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღო. გაზ. „ფიგარო" კიდეც სწერს: „განიარაღების კომისია ეხლა უკვე ხედავს, რომ დაუშვა შეცდომა, როცა ლიტვინოვის ჩამოსვლაზე დასთანხმდა"-ო. საქმე, რა თქმა უნდა, ამხ. ლიტვინოვის პიროვნებაში არ არის, არამედ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკაში, იმ პოზიციაში, რომელიც მას უკავია განიარაღების საკითხში და რომელიც ამხ. ლიტვინოვმა ფართოდ გადაშალა ჟენეველი „მშვიდობის მოყვარეთა" კრებაზე.

სრული და საყოველთაო განიარაღება, როგორც ნამდვილი მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ერთად-ერთი საშუალება — აი, რას მოვითხოვთ ჩვენ. საბჭოთა დელეგაციის დეკლარაცია განიარაღების კომისიის ნოემბრის სესიაზე და განიარაღების საბჭოთა პროექტი, რომელიც ეხლანდელი სესიის მსჯელობის საგანს შეადგენდა, ამ მხრივ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებია.

ჟენევაში შეკრებილი იმპერიალისტების მთელი ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ რამენაირად გვერდი აევლოთ საბჭოთა წინადადებებისათვის, რამენაირად თავიდან აეშორებინათ განიარაღების საკითხის პირდაპირ დასმა და გარკვეული პასუხის გაცემა იმაზე, სურთ თუ არა მათ განიარაღება. მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს.

თვით ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური მთავრობები იძულებული შეიქნენ ჩვენი პროექტი განიარაღების სესიის დღის წესრიგში შეეტანათ და რომ მის გარშემო მძაფრი დისკუსია გაიმართა, თავისთავად უკვე ნიშნავს ჩვენი მხრივ დიდი ბრძოლის მოგებას. ამ დისკუსიამ ქვეყნის წინაშე სავსებით ახადა ფარდა იმპერიალისტების პაციფიზმს, განიარაღებაზე მათი ლაყბობის თვალთმაქცობას. კუშენდენისა და სხვათა პირით მათ საქვეყნოდ აღიარეს, რომ შეიარაღება კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის აუცილებელია მშრომელ მასსების და აღმოსავლეთის ხალხთა დასამონებლად. რეაქციონურ და რეფორმისტულ პრესის გაბოროტებულმა კამპანიამ, რომ ევროპა უნდა იყოს შეიარაღებული, ვინაიდან საბჭოთა კავშირი იმპერიალისტურ ზრახვებს ატარებს და მოსაზღვრე ქვეყნებს დაპყრობით ემუქრება, ცხადია, ვერავიზე ვერ მოახდინა შთაბეჭდილება. საბჭოთა მთავრობამ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით დაამტკიცა თავისი მისწრაფება მშვიდობიანობისადმი და ჟენევის ტრიბუნიდან მთელი კაცობრიობის გასაგონად ამხილა იმპერიალისტები და მათი მტაცებლობა.

ჟენევის საკრებულომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, უარყო საბჭოთა პროექტი. ამხ. ლიტვინოვმა ერთ-ერთ თავის სიტყვაში სთქვა, რომ განიარაღების საკითხში ეხლანდელ ბუნდოვანებას სჯობია სიცხადე, სიცხადე იმ მდგომარეობის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს არ სურთ განიარაღება. საბჭოთა პროექტის უკუგდებით და ჩვენი დელეგაციის მიერ ერთა ლიგის „მეუშაობის" მხილებით განიარაღების დარგში ეს სიცხადე სავსებით მიღწეულია.

სესიამ პრინციპიალურადაც მიუღებლად სცნო სრული და საყოველთაო განიარაღება, როცა შეუძლებლად აღიარა, რომ ჩვენი პროექტი საფუძვლად დასდებოდა განიარაღების კომისიის შემდგომ მუშაობას. საგულისხმოა, რომ სესიის პრეზიდიუმის რეზოლიუციის პირვანდელი რედაქციიდან საბჭოთა პროექტის შესახებ, დიდი იმპერიალისტური ქოფაკების ფინიის — პოლონეთის დელეგატის სოკალის წინადადებით ამოგდებულ იქნა სიტყვები: „საბჭოთა პროექტი შეეფერება კაცობრიობის იდეალებს". ეს ფრაზა იმპერიალიზმის ზოგიერთ წარმომადგენლებმა იმიტომ შეიტანეს რეზოლიუციაში, რომ ცოტათი მაინც დაეფარათ თავისი ყაჩაღური ბუნება. სხვებმა ალბად, — და საფუძვლიანადაც, — დაინახეს, რომ რეზოლიუციაში ამ სიტყვების შეტანა უდრიდა თვით იმპერიალისტების მიერ თავის თავზე სასიკვდილო განაჩენის გამოტანას, რამდენადაც ისინი უარს აცხადებენ ამ „კაცობრიობის შესაფერ იდეალების" განხორციელებაზე. მაგრამ ჩვენ დიდი „მადლობელი" უნდა ვიყოთ სოკალის, რომლის მიერ რეზოლიუციაში შეტანილმა ხსენებულმა შესწორებამ იმპერიალისტები ბოლომდე გაშიშვლა.

აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრები საყოველთაო და სრული განიარაღების პროექტის უარყოფას, სხვათაშორის, ასაბუთებდნენ იმითაც, რომ ერთა ლიგის წესდებაში ლაპარაკია არა სრულ განიარაღებაზე, არამედ შეიარაღების შემცირებაზე და რომ კომისიის უფლებებს აღემატება საბჭოთა პროექტის განხილვა. ეს ფორმალური მოსაზრება მოგვაგონებს იმ ადამიანის ამბავს, რომელიც წყალში გადავარდნილი ხავსს ეკიდებოდა. სხვა არა იყოს რა, რატომ დასვა მაშინ განიარაღების კომისიამ სესიის დღის წესრიგში საბჭოთა პროექტი?

ჩვენმა დელეგაციამ ეს „არგუმენტიც" გააცამტვერა როგორც მისი უმწეობის გამოაშკარავებით, ისე უფრო იმით, რომ მან, რაკი სესიამ სრული განიარაღების პროექტი უარყო, წარადგინა ახალი პროექტი ნაწილობრივი განიარაღების შესახებ. ამან სულ დააბნია ჟენეველ „პაციფისტების" საკრებულო მან „გამოსავალი" მხოლოდ იმაში ჰპოვა, რომ ჩვენი ახალი პროექტის განხილვა „გადასდო" შემდეგ სესიამდე „უდროობის გამო". იმპერიალისტები თავის ძვირფას დროს ვერ დაკარგავენ ისეთ „წვრილმანზე", როგორიცაა მილიტარიზმის ტვირთის შემსუბუქება, ტვირთვის, რომლის სიმძიმის ქვეშ კაცობრიობა იზნიქება. ესეც საუკეთესოდ ახასიათებს ამ ფართე შარა გზის ავაზაკებს.

განიარაღების კომისიის შემდეგი სესია, რომელსაც ჩვენი ახალი პროექტის განხილვა დაეკისრა, არავინ იცის როდის იქნება მოწვეული. მისი მოწვევის ვადა განზრახ არ განსაზღვრეს. სესიამ აგრეთვე უარყო განიარაღების საყოველთაო კონფერენციის ვადის დანიშვნა. ასე დაამთავრა თავისი მუშაობა ეხლანდელმა სესიამ.

სესიის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში საბჭოთა პროექტის შესახებ სხვათა შორის, ვკითხულობთ: „კომისიის წევრები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ საბჭოთა პროექტი არ შეიძლება მიღებულ იქნეს ბაზად კომისიის მუშაობისათვის, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს დაწესებული გზით"-ო ეს გზა ცნობილია. დაუსრულებელი სხდომები და ბუნდოვანი, არაფრის მთქმელი რეზოლიუციები. ამავე დროს თავისი რიგით სწარმოებს შეიარაღება და ახალი ხოცვა-ჟლეტისთვის მზადება. ეხლა დასრულებულ სესიის მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი ეს ცხადზე უცხადესი გახდა. მშრომელ მასსებისათვის ნათელი შეიქნა, რომ იმპერიალისტებს განიარაღებაზე ლაყბობა ესაჭიროებათ მხოლოდ მათი მოსატყუებლად, რომ ისინი ნამდვილად სრულებით არ ფიქრობენ არამც თუ სრულ განიარაღებაზე, არამედ შეიარაღების ოდნავ შემცირებაზეც, რომ ერთა ლიგა და მისი ურიცხვი კომისიები სრულიად უძლური არიან რაიმე გააკეთონ ამ მხრივ და ისევ მასსების მოსატყუებელ საშუალებას წარმოადგენენ. საბჭოთა დელეგაციამ ყველაფერი ეს დაანახვა მშრომელ კაცობრიობას და ამაშია მისი უდიდესი გამარჯვება.

გადამწყვეტი ფრონტი

პარტიას აქვს ყოველგვარი საფუძველი განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თესვის მიმდინარე კამპანიას, რომელიც, ეჭვს გარეშე, ეხლანდელი პერიოდის ყველა სამეურნეო საკითხების ცენტრში სდგას. უთვალავი ძაფებით არის გადაბმული ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია ჩვენი სამეურნეო განვითარების და სამეურნეო მუშაობის სხვა მხარეებთან. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ როგორი მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული თესვის კამპანიაზე ქალაქის და სოფლის ნორმალური ურთიერთობა, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების ნაყოფიერი განვითარება, ჩვენი საერთო ეკონომიური განვითარება. შემდგომი ტემპი და აგრეთვე სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ტემპი. დაბოლოს, პროლეტარიატის და გლეხობის ძირითადი მასის ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის საკითხები მჭიდროთ არის დაკავშირებული თესვის კამპანიის მსვლელობასთან.

საბჭოთა სამეურნეო ორგანოებმა და თავის თავად ცხადია, პარტიამაც, თესვის კამპანიაში უნდა ჩააბარონ მეტად ძნელი გამოცდა, უნდა აწარმოონ მოფიქრებული და ენერგიული მუშაობა. ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს ისეთივე სიმტკიცით, რომელიც პარტიამ გამოიჩინა პურის დამზადების დარგში, როცა მან სასწრაფო ზომების სისტემით მოახდინა პურის დამზადების კრიზისის ლიკვიდაცია და გადამწყვეტ გარდატეხას მიაღწია პურის დამზადების გაძლიერების საქმეში. პარტიის ენერგიული მუშაობა პურის დამზადების ხაზით—ხოლო ეს მუშაობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შესუსტებულ იქნეს, სანამ სავსებით არ შევასრულებთ პურის დამზადების გეგმას—უკვე სავსებით გაამართლა ამბების შემდგომმა განვითარებამ. მით უფრო ენერგიულად და გადაუხრელად უნდა ვაწარმოოთ ჩვენ ბრძოლა სათესი სივრცის გაფართოებისათვის.

საჭიროა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მიმდინარე თესვის კამპანიის კლასობრივ მნიშვნელობაზე. ჩვენი ბრძოლა სათესი სივრცის გაფართოებისათვის არის განსაკუთრებულ ფორმებში წარმოებული კლასობრივი ბრძოლა. საბჭოთა კავშირის კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტები გაფართოებულ წინააღმდეგობას უწევენ სოციალიზმის გაძლიერებულ შემოტევას. კულაკი, რომელსაც გაუცრუვდა პურის დამზადების ჩაშლის იმედი, ცდილობს სამაგიერო იზღოს თესვის კამპანიაში. აქედან წარმოსდგება მისი გაძლიერებული აგიტაცია სათესი სივრცის შემცირებისათვის, მისი სისტემატიური ცდები გადაიყვანოს თავის მხარეზე საშუალო გლეხობა, აქედან გამომდინარეობს უსაფუძვლო ლეგენდები, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ეხლა საშუალო გლეხის წინააღმდეგ მიდის, თითქოს პარტიის მე-15 ყრილობამ გააუქმა ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სხ. პარტიულმა მუშაკებმა ადგილებზე და პირველ რიგში იმ ამხანაგებმა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან სოფელთან, ყოველივე საშუალებებით, რომლებიც მათ ხელთ არის, უნდა გამოამჟღავნონ კულაკების მიერ გავრცელებულ კონტრრევოლიუციონურ ჭორების ნამდვილი აზრი. ღარიბ და საშუალო გლეხებს უნდა განვუმარტოთ, რომ მე-15 ყრილობამ ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად წამოაყენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ამოცანა, რომ ყრილობამ სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპი არა საკმაოდ სცნო. უნდა გავაგებინოთ მშრომელ გლეხობას, რომ მიმდინარე წელს მთავრობამ სასოფლო-მეურნეობისათვის დამატებით გადასდო მნიშვნელოვანი თანხები. უნდა განვუმარტოთ გლეხობას, რომ პარტიის მე-15 ყრილობის მიერ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციაზე და სასოფლო მეურნეობის წარმოებათა კოოპერაციაში გაერთიანებაზე აღებული კურსი,—კურსი რომელსაც პარტია მტკიცეთ გაატარებს არსებულ ტექნიკურ და საორგანიზაციო რესურსების საშუალებით— სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ეხლა ვინმე აპირებს ჯვარის დასმას ერთპიროვნული შრომის მეურნეობის განვითარებაზე. უნდა ყოველნაირად განვუმარტოთ გლეხობას, რომ პარტია საბჭოთა სოფლის სოციალისტური გზით განვითარებისათვის ბრძოლას აწარმოებს იმ რევოლიუციონურ კანონიერების ჩარჩოებში, რომელიც გამოცდილი და შემოწმებულია გლეხების მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსებობის 7 წლის განმავლობაში. უნდა განვუმარტოთ გლეხობას, რომ სწორედ მიმდინარე წელს მშრომელი მომხმარებელი გლეხის ინტერესებისათვის სამრეწველო საქონლის განაწილება მოხდა იმნაირად, რომ სოფელს ეძლევა საქონლის მეტი რაოდენობა ქალაქის ხარჯზე. ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს ნათლად და თავის დროზე უნდა განვუმარტოთ, თუ რა საკრედიტო შეღავათები ეძლევა მათ და უნდა გავაცნოთ ჩვენი პოლიტიკა თესლეულობის (მიმდინარე წელს გაცემულია გაცილებით მეტი სათესი მასალა, ვინემ წარსულ წელს). სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და სხვ. მიწოდების დარგში.

მომავალ ორ-სამ კვირაში ჩვენ კიდევ გვექნება საშუალება სერიოზული გავლენა მოვახდინოთ თესვის კამპანიის განვითარებაზე. ამ საქმეში ადგილი არ უნდა ექნეს არავითარ სიზანტეს, საქმისადმი ბიუროკრატიულ ფორმალურ დამოკიდებულებას. ეხლა თესვის კამპანიის საქმეში ძვირფასია თვითეული წუთი. პირველ რიგში, რა საკვირველია, საჭიროა იმ შეუწყნარებელ მოვლენათა დაუზოგავად აღმოფხვრა, რომლებმაც თავი იჩინა კამპანიის პირველ ეტაპში. ისეთი მდგომარეობა, როცა სათესი მასალა ადგილებზე მიდის უდოკუმენტოთ და ადგილობრივ მუშაკები იძულებული არიან თვითონ მოახდინონ სათესი მასალის ანალიზი; როცა მოსახლეობას არ აწვდიან ცნობებს საწყობებში არსებულ გასანაყოფიერებელ მასალის რაოდენობის და ფასის შესახებ; როცა ერთ რაიონში საჭირო მანქანები იგზავნება მეორეში; როცა ბრკოლდება მანქანების გაგზავნა ადგილზე; როცა ხელმოკლე ელემენტებისათვის მიცემული კრედიტი გამოუყენებელი რჩება,—ასეთი მდგომარეობა აუცილებლად უნდა მოისპოს. აქ საჭიროა შეცდომების გამოსწორება დარჩენილ ვადაში, საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება ყოველ მიზეზს გარეშე.

არ უნდა დავმალოთ, რომ ჩვენი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მასებში ძლიერ ჩამორჩა თესვის კამპანიის მოთხოვნილებებს. სოფლად მასიური მუშაობის ხაზით საჭიროა საქმის მაქსიმალური გაძლიერება; არავითარი ფასი არა აქვს დირექტივებს საკონტროლო ღონისძიებათა შესახებ, თუ ისინი არ აღწევენ თემამდე და სოფლამდე. რომ მივაღწიოთ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას, საჭიროა გეგმიანი მუშაობა, მაქსიმალური ენერგია, და მთელი ჩვენი აპარატის სათანადოთ ამოძრავება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თესვის ეხლანდელ საპასუხისმგებლო კამპანიაში აღმოვფხვრათ კულაკების საბოტაჟი. თუ შემცირდება კულაკების ნათესების სივრცე. სამაგიეროთ ჩვენ უნდა გავაფართოოთ სოფლის მშრომელ ფენების ნათესების სივრცე. სათესი სივრცის გაფართოების საქმეში ავანგარდის როლი უნდა ითამაშონ, რასაკვირველია, სოციალისტურმა კოლმეურნეობებმა, რომელთაც პარტია განსაკუთრებულ დახმარებას აწვდის და მიაწვდის მომავალშიაც, და რომელთა მიმართ მას უფლება აქვს იმედი ჰქონდეს, რომ მისი ნდობა სავსებით გამართლებული იქნება. საჭიროა მივაღწიოთ ყველაფერს ამას და მაშინ ჩვენ გამარჯვებული გამოვალთ თესვის კამპანიიდან.

„პრავდა", 25 მარტი.

„პრავდა", 25 მარტი.

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესია დაიხურა

იმპერიალისტებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათ არ სურთ განიარაღება

ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტის გარჩევაზე უარი სთქვეს „დროს უქონლობის გამო"

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა.-გერმანიის დელეგაციის რეზოლიუცია.-საბჭოთა დელეგაციის დეკლარაცია

ამერიკის გაზეთები აღიარებენ საბჭოთა დელეგაციის უდიდეს მორალურ-პოლიტიკურ გამარჯვებას

საერთო ენის გამონახვის უკანასკნელი ცდა

საბჭოთა დელეგაციას შეაქვს ნაწილობრივი განიარაღების პროექტი

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

ჟენევა, 25 მარტი. ამხ. ლიტვინოვის მიერ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის 23 მარტის საღამოს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ნათქვამია:

„ჩემს გუშინდელ სიტყვაში მე უკვე აღვნიშნე, რომ ის შენიშვნები, რომლებიც გამოსთქვა მოსამზადებელ კომისიაში დელეგატების უმრავლესობამ სრული და საყოველთაო განიარაღების ჩვენი პროექტის შესახებ, ნათლად ყოფს იმ ბედს, რომელიც მოელის ამ კომისიაში ჩვენს პროექტს განიარაღების კონვენციის შესახებ. თუ კიდევ დარჩენილი იყო მცირეოდენი ეჭვი კომისიის დამოკიდებულების შესახებ ჩვენი პროექტისადმი, ეს ეჭვი სავსებით გაფანტა დღეს შემოტანილმა რეზოლიუციის პროექტმა, რომელიც გარკვეულობის მხრივ ზედმეტად ხდის უკეთესის სურვილს. საბჭოთა დელეგაცია, სამწუხაროდ, იძულებულია აღნიშნოს, რომ აქ წარმოდგენილი დელეგაციების უმრავლესობა თავის მთავრობების სახელით სავსებით და გადაჭრით უარყოფს არა მარტო კონვენციის ჩვენს პროექტს, არამედ თვით საყოველთაო და სრული განიარაღების იდეასაც. მე ვლაპარაკობ—იდეას, ვინაიდან რეზოლიუცია უარყოფს ჩვენს პროექტს აგრეთვე, როგორც კომისიის შემდგომი მუშაობის ბაზას. იმ წინადადებებში, რომლებსაც შეიცავს რეზოლიუცია, ლაპარაკიც კი არ არის იმაზე, რომ ჩვენი წინადადება განსახილველად გადაეცეს მთავრობებს ან განიარაღების საერთაშორისო კონფერენციას, როგორც ამას მოითხოვს და დღეს თურქეთის წარმომადგენელი. რეზოლიუცია შესაძლებლად სთვლის მხოლოდ ცალკე მუხლების, ან მუხლების ნაწილების ამოღებას და მათ გამოყენებას მასალად სხვა პროექტების განხილვის დროს, რომლებიც სავსებით ეწინააღმდეგება ჩვენს წინადადებას სრული განიარაღების შესახებ. ჩემს გუშინდელ სიტყვაში მე აღვნიშნე, რომ ჩვენი პროექტი არ წარმოადგენს საავტორო უფლებების საგანს და ამიტომ ყველას შეუძლია გამოიყენოს მისი ესა თუ ის მუხლი რა მიზნისთვისაც სურს. მე აგრეთვე გაგაფრთხილეთ, რომ ჩვენი პროექტიდან თვითნებურად ამოღებულ ცალკე ნაწილებისათვის საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია იკისროს რაიმე პასუხისმგებლობა. შემდეგ, საბჭოთა დელეგაციას და საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ჩასთვალოს თავი დაკავშირებულად პროექტის განცალკევებულ მუხლებთან, რამდენადაც ისინი არ ემორჩილება იმ მიზანს, რომლისთვისაც იყო შედგენილი ეს პროექტი, ე. ი.—სრულ და საყოველთაო განიარაღებისათვის. მაშასადამე, საბჭოთა დელეგაცია იტოვებს უფლებას გამოვიდეს და ხმა მისცეს მისი საკუთარი პროექტის ცალკე მუხლების წინააღმდეგ, თუ ეს მუხლები შეტანილი იქნება რომელიმე სხვა პროექტში, რომელიც თავისი დედა-აზრით და საბოლოო მიზნით განსხვავებული იქნება ჩვენი პროექტიდან. ჩემს ნოტაში 1926 წლის 16 იანვრის თარიღით, რომელშიაც ვიძლეოდი პასუხს ერთა ლიგის საბჭოს მიერ საბჭოთა მთავრობის მიწვევაზე განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, და გასული წლის 30 ნოემბერს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მე-4 სესიაზე წარმოთქმულ ჩემს დეკლარაციაში, მე განვაცხადე, რომ საბჭოთა დელეგაცია ყოველმხრივ ემხრობა სრული განიარაღების საჭიროებას და „მზად არის მიიღოს მონაწილეობა შეიარაღების შემცირების საკითხის ყველა და ყოველგვარ განხილვაში, რამდენადაც წამოყენებული იქნება ისეთი პრაქტიკული ზომები, რომლებიც მიმართული იქნება განიარაღებისაკენ". ამ განცხადებასთან შეფარდებით, საბჭოთა დელეგაცია, უწევს რა ანგარიშს იმ ფაქტს, რომ მისი წინადადება სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ უარყოფილია, იძულებულია დაუსვას თავს კითხვა: რა ნაბიჯები შეუძლია გადადგას მან, რათა მიაღწიოს მის მიერ დასახულ მიზანს, რომელსაც წარმოადგენს სრული და საყოველთაო განიარაღება?

ვინაიდან დელეგაციების უმრავლესობამ ჩვენს პროექტს აქ დაუპირდაპირა ნაწილობრივ განიარაღების იდეა, საბჭოთა დელეგაციამ გადასწყვიტა შეეცადოს საერთო ნიადაგის გამონახვას დანარჩენ დელეგაციებთან თუნდაც ნაწილობრივი განიარაღების ჩატარებისათვის. დეე სხვა დელეგაციებისათვის ეს იყოს საბოლოო მიზანი, რომლის იქით წახვლა მათ შეუძლებლად მიაჩნიათ,—საბჭოთა დელეგაცია ამას ჩასთვლის პირველ ეტაპად სრული განიარაღებისაკენ მიმავალ გზაზე. იმ გარემოებამ, რომ ეს შორეული მიზანი საერთო არ არის ჩვენთვის და დანარჩენ დელეგაციებისათვის, ხელი არ უნდა შეგვიშალოს იმაში, რომ ერთად ვეძიოთ გზები უშუალო მიზნის,—ე. ი. შეიარაღების შემცირების მისაღწევად, თუ შევიძლია გამოვნახოთ საერთო ენა თუნდაც ამ განსაზღვრულ დარგში. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ წინააღმდეგ სრული განიარაღებისა, ნაწილობრივ განიარაღებას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მოსპოს შეიარაღებული კონფლიქტები ქვეყნებს შორის. მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ასეთი კონფლიქტების შესაძლებლობათა რამდენიმე შემცირება, ვინაიდან შეიარაღების ზრდა თავისთავად წარმოადგენს ომების ერთ-ერთ მიზეზს. შეიარაღების შემცირებას შეიძლება მოჰყვეს ძლიერ ნაყოფიერი შედეგები იმ მხრივ, რომ შეამსუბუქებს მილიტარიზმის სამძიმე და საგადასახადო ტვირთს, რომელიც აწევს ყველა ქვეყნის ხალხებს, და გაანთავისუფლებს ცოცხალ ძალებს და საბიუჯეტო სახსრებს უფრო ნაყოფიერ შრომისა და უფრო სასარგებლო მიზნებისათვის. შეიარაღების შემცირებას, თუ ის იმ გზით წავიდა, როგორც იძლევა წინადადებას საბჭოთა დელეგაცია, შეიძლება შედეგად მოჰყვეს აგრეთვე ომების საშიშროებათა შემცირებაც. საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავს, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიას არა აქვს თავის განკარგულებაში ისეთი პროექტი ნაწილობრივი განიარაღების შესახებ, რომელზედაც შეიძლებოდეს დაუყოვნებლივ მსჯელობის გამართვა. ჩვენ არ შევეხებით იმ პროექტების გაკრიტიკებას, რომლებიც უკვე განხილულ იქნა კომისიაში პირველი წაკითხვის დროს (ამ პროექტების შესახებ, საბჭოთა დელეგაციას შეეძლო ეთქვა ბევრი რამ, თუ მიეცემოდა ამის საშუალება), მაგრამ გამორკვეულად მოგვაჩნია, რომ ამ პროექტებმა თვით კომისიაში გამოიწვია ისეთი უთანხმოება, რომელიც დღემდე არ მოგვარებულა, თუმცა პირველი წაკითხვიდან უკვე 12 თვე განვლო, კიდევ მეტი, ამ ხნის განმავლობაში განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია უკვე ორჯერ შეიკრიბა, მაგრამ ამ უთანხმოებათა გამო მოკლებული იყო საშუალებას შესდგომოდა ამ პროექტების განხილვას. მე წინასწარ წარმოდგენილი მაქვს თქვენი გადაწყვეტილება დღის წესრიგის მესამე მუხლის შესახებ, რადგან შემოტანილ რეზოლიუციიდან სავსებით ნათლად სჩანს, რომ თითქმის არ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ხსენებული პროექტების მეორედ წაკითხვა, მოხდება ამ სესიაზე. კიდევ მეტი, ზოგიერთი დელეგატები, ემყარებოდნენ რა იმას, რომ გაეცნობიყვნენ საქმის ვითარებასთან და თავის მთავრობების განზრახვებთან,—მათ შორის კომისიის ბიუროს წევრი პოლიტისი,—წინადადებას იძლეოდნენ კომისიის ეხლანდელი სესია დამთავრებულიყო შემდეგი სესიის ვადის დაუნიშნავად. აქედან აშკარაა, რომ მათ ძლიერ მცირე იმედი აქვთ, რომ არსებული უთანხმოება მოგვარდეს არა თუ მოკლე დროში, არამედ თუნდაც რაიმე გარკვეულად გასათვალისწინებელ ვადაში. თუ უთანხმოება მოგვარება ვერ მოხერხდა 12 თვის განმავლობაში და ჩვენ არაფერს არ გვეუბნებიან იმის შესახებ, რომ თუ გინდ ერთი უთანხმოება მოგვარდა ამ ხნის განმავლობაში, რა გარანტიები გვაქვს, რომ ეს უთანხმოებანი მოგვარდება უახლოეს 12 თვეში ან იმისი, რომ ისინი საერთოდ იქნება მოგვარებული? ფაქტიურად ჩვენ ვდგევართ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მუშაობის ლიკვიდაციის წინაშე. ეს ლიკვიდაცია შეიძლება დროებითი იყოს, მაგრამ შეიძლება იყოს საბოლოოც, ვინაიდან კომისიის შემდგომი მოწვევა დამოკიდებული იქნება არა კომისიის ნებაზე ან მის თავმჯდომარეზე, რომელსაც ევალება მისი მოწვევა, არამედ ისეთ გარეშე ფაქტებზე, რომლებსაც კონტროლს ვერ გაუწევს ვერც კომისია და ვერც მისი თავმჯდომარე. მით უმეტეს არის საჭირო და დროული კონვენციის ახალი პროექტის შეტანა კომისიაში. ამიტომ მე ვაცნობებ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიას, რომ საბჭოთა დელეგაცია შემოიტანს ასეთ პროექტს, რომელიც ერთა ლიგის აპარატის საშუალებით დაურიგდება დელეგაციებს ხვალ დილით, ან შეიძლება დღესაც კი. ამ პროექტის ასლების დარიგების შემდეგ მე ნებას მივცემ თავს განვმარტო ის პრინციპები, რომლებზედაც ის არის აგებული, და შევჩერდე მის ცალკე ნაწილებზე. საბჭოთა დელეგაცია სთხოვს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიას, რომ ამ პროექტის პირველი წაკითხვა დაიწყოს ამ სესიაზე ,წინასწარ კი გამოითქვას აზრი ამ პროექტის ძირითად დებულებების შესახებ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მე ეხლავე ვაცხადებ, რომ ვადგენთ რა ჩვენს პროექტს, როგორც საფუძველს მსჯელობისათვის და ვაძლევთ რა უდიდეს მნიშვნელობას პროექტის ძირითადი პრინციპების მიღებას, პროექტის ნაკლებ მნიშვნელოვან მუხლებს ჩვენ ვსტოვებთ ღიად, რათა მასში შეტანილ იქნას შესწორებანი, დამატებანი და ზოგიერთი ეს მუხლები შეცვლილი იქნას სხვა მუხლებით. დასასრულ აუცილებლად ვსთვლი ერთხელ კიდევ განვაცხადო, რომ ჩვენს წინადადებას უყურებთ ისე, როგორც პირველ ნაბიჯს სრული განიარაღების გატარებისათვის და რომ საბჭოთა დელეგაცია იტოვებს უფლებას არა უგვიანეს 2 წლისა პროექტის მიღების შემდეგ შემოიტანოს ახალი წინადადებები შეიარაღების შემდგომი შემცირების შესახებ. იმისგან დამოუკიდებლად, მიღებული იქნება თუ არა ეს პროექტი, დელეგაცია იტოვებს უფლებას განიარაღების უახლოეს საერთაშორისო კონფერენციაზე დაუბრუნდეს სრული და საყოველთაო განიარაღების პირველ პროექტს. (ატა).

გერმანიის წინადადებათა უარყოფა

ამხ. ლიტვინოვი მხარს უჭერს გერმანიის წინადადებას

ჟენევა, 25 მარტი. მოსამზადებელი კომისიის 23 მარტის საღამოს სხდომაზე გერმანიის მიერ შეტანილ ამ წინადადების გამო, რომელიც მოითხოვდა განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის დაჩქარებით მოწვევას და მოსამზადებელ კომისიის ყველა საქმეების გადაცემას, ამ კონფერენციისათვის ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერს ამ წინადადებას იმ შემთხვევაში, თუ ნაწილობრივი განიარაღების კონვენციის საბჭოთა პროექტის პირველი წაკითხვა უარყოფილ იქნა. ვინაიდან თავმჯდომარემ გერმანიის წინადადება დასვა პირველად განსახილველად და კონვენციის საბჭოთა პროექტის ბედი ჯერ გამოურკვეველია, ამიტომ ამხ. ლიტვინოვმა გადასწყვიტა უკვე ყოველნაირად დაუჭიროს მხარი გერმანიის წინადადებას.

„საჭიროა,—აცხადებს ამხ. ლიტვინოვი,—გარკვეულობის შეტანა განიარაღების მთელ საკითხში. თუ კომისია განაგრძობს სესიების მოწვევას სრულიად უშედეგოდ. მაშინ, მას მოელის სრული გაკოტრება. საჭიროა ეხლავე კომისიის საქმის მდგომარეობის გათვალისწინება და ყველა დასკვნების გამოყვანა, ე. ი. საჭიროა დიდ და პატარა ერების წარმომადგენლების მოწვევა, რათა გადასწყვიტონ—სურთ თუ არა მათ რაიმე განიარაღება თუ ასეთი საერთაშორისო კონფერენციაც აღიარებს თავის უძლურებას და მივა იმ სამწუხარო დასკვნამდე, რომ არა თუ სრული განიარაღება, არამედ შეიარაღების შემცირებაც კი წარმოადგენს ისეთ იდეალს, რომლისკენაც, ბევრი დელეგატების აზრით, კაცობრიობა უკვე რამდენიმე ათასი წელია რაც ისწრაფვის და რომელიც კიდევ რამდენიმე ათასი წელი დარჩება განუხორციელებელი, მაშინ ასეთი გარკვეულობა ამჟღავნებდა ეხლანდელ ბუნდოვანებას განიარაღების საკითხში".

კიდევ ერთი ცდა

გერმანიის წინადადების უარყოფის შემდეგ ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ მას ამ უკანასკნელ მომენტში სურს ერთხელ კიდევ შეეცადოს გამოაცოცხლოს კომისია და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შეუდგენ ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტის პირველ წაკითხვას.

ამხ. ლიტვინოვს შემცდარად მიაჩნია პოლონეთისა და საფრანგეთის დელეგატების მტკიცება დილის სხდომაზე, თითქოს, სრული განიარაღების კონვენციის პროექტი მუხლობრივად იქნა განხილული.

„ნამდვილად კი,—ამბობს ამხ. ლიტვინოვი,—გააკრიტიკეს კონვენციის მხოლოდ ყველაზე ნაკლები მნიშვნელოვანი პუნქტები. პირველი 36 მუხლი, რომელნიც მთელი პროექტის უმთავრეს ნაწილს შეადგენდნენ, ხელაღებით უარყვეს".

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი აღნიშნავს, რომ უმიზეზოებს კომიტეტის სესიის დაწყებისთანავე გამოაშკარავებული სურვილი ჟენევაში მყოფ დელეგატების—რაც შეიძლება ჩქარა დაესრულებიათ მუშაობა და დაბრუნებულიყვენ უკან,—არ შეიძლება მივიჩნიოთ საკმაო საბუთად სესიის მუშაობის შესაწყვეტად, როცა მუშაობა არ დამთავრებულა.

აღიარებს რა უსაფუძვლოდ საყვედურებს ახალი პროექტის უკანასკნელ წუთში უეცრად წარდგენის გამო,—ამხ. ლიტვინოვი განმარტავს, რომ სანამ წინადადება სრული განიარაღების შესახებ, რომელიც საბჭოთა დელეგაციის მთავარ მიზანს შეადგენდა და შეადგენს არ ყოფილა უარყოფილი, მანამ შეუძლებელი იყო პირველი წინადადების სამაგიეროდ ისეთი წინადადებების შეტანა, რომლებიც ნაკლებ ინტერესს წარმოადგენენ.

უპასუხებს რა კლოზელს, რომელმაც განაცხადა, თითქოს საბჭოთა დელეგაციის სურდეს კომისიის უკან წაყვანა,—ამხ. ლიტვინოვი გაკვირვებას გამოსთქვამს,—როგორ შეიძლება კლოზელის წინადადება კომისიის მუშაობის შეწყვეტის შესახებ ჩაითვალოს პროგრესიულად, ხოლო საბჭოთა დელეგაციის წინადადება მუშაობის გაგრძელების შესახებ—რეგრესიულად.

საბჭოთა ენა

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი აცხადებს:

„მე თქვენ გელაპარაკებოდით ინგლისურ ენაზე, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ რა ენაზედაც არ უნდა ვილაპარაკო მე აქ, ის ყოველთვის საბჭოთა ენა იქნება, როგორც სჩანს, თქვენთვის არა სავსებით გასაგები. ამიტომ მე შევეცდები დავასაბუთო ჩემი წინადადება ერთა ლიგაში ნებადართულ, ყველასათვის გასაგები ენით".

ამხ. ლიტვინოვს მოჰყავს მთელი რიგი ციტატები და ადგილები იმ სიტყვებიდან, რომლებიც დელეგატებმა წარმოსთქვეს მოსამზადებელი კომისიის მე-3 სესიაზე მაშინ, როცა ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა შეიტანეს კონვენციის პროექტები. ამხ. ლიტვინოვი ადარებს კომისიის თავაზიან დამოკიდებულებას ამ წინადადებებისადმი და კომისიის ცდას თავიდან მოიცილოს ფორმალურად ანალოგიური წინადადებები, შეტანილი საბჭოთა დელეგაციის მიერ. ამხ. ლიტვინოვი საბჭოთა პროექტისათვის თავმჯდომარისა და დელეგატებისაგან მოითხოვს ისეთივე პრივილეგიებს და ისეთივე დამოკიდებულებას, როგორითაც სარგებლობდენ სხვა დელეგაციების წინადადებანი მე-3 სესიაზე.

მეხუთე სესია დასთანხმდა საბჭოთა წინადადებების განხილვაზე, მაგრამ განიხილა ის იმისთვის, რომ უარეყო.

ამგვარად მე არ შემიძლია ვსთქვა, რომ მეოთხე და მეხუთე სესიის განმავლობაში კომისიამ რაიმე დადებითი გააკეთა იმ ამოცანის შესასრულებლად, რომლისთვისაც ის დაარსებულ იქნა საერთოდ. საბჭოთა დელეგაციის პროექტის გარშემო გამართულ დისკუსიის დროს ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ სრული განიარაღების თვით პრინციპი ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წესდებას და იმ მანდატს, რომელიც ერთა ლიგის მოსამზადებელმა კომისიამ მიიღო და რომ, ამის გამო, სრული განიარაღების პრინციპი არ შეიძლება საფუძვლად დაედვას კომისიის შემდგომი სესიის მუშაობას. ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ მხოლოდ შეიარაღების ნაწილობრივი შემცირების პრინციპის მიღების შემდეგ შესძლებს კომისია ნაყოფიერ მუშაობას.

ხელმძღვანელობდა რა თავისი მთავრობის მისწრაფებით გააკეთოს ყოველივე, რაც შეიძლება, მილიტარიზმის სიმძიმის თუნდაც ნაწილობრივ შემცირებისათვის, საბჭოთა დელეგაცია არ ჩერდებოდა დროს საქმის ფორმალურ მხარეებზე, ვინაიდან ის გამსჭვალული იყო მტკიცე სურვილით, რათა ამა თუ იმ საშუალებით მიეღწია განიარაღების ან შეიარაღების შემცირების ამოცანის განხორციელებისათვის. საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა ნაწილობრივ განიარაღების პროექტი, აგებული იმავე პრინციპზე, რომელიც, ყველა აქ გამოსულ ორატორების განცხადებით, თითქოს, საფუძვლად უდევს მოსამზადებელ კომისიას. საბჭოთა დელეგაცია ვერ ხედავს ვერავითარ საყურადღებო გარემოებებს, რომლებიც გაამართლებდენ ამ წინადადებათა პროექტის განხილვის გადადებას, რომელთაც ნაწილობრივ მაინც შეუძლიათ მილიტარიზმის სიმძიმისა და მაშასადამე ომის საფრთხის შემცირება.

წინააღმდეგ საბჭოთა დელეგაციის მისწრაფებათა და მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა დასახულ მიზნის რაც შეიძლება მალე მიღწევა, რასაც მოუთმენლად მოელიან მთელი კაცობრიობის ფართო მასსები, მოსამზადებელმა კომისიამ შესაძლოდ დაინახა ნაწილობრივ განიარაღების საბჭოთა პროექტის განხილვის გადადება განუსაზღვრელ დროისათვის.

უმრავლესობა, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება, როგორც სჩანს, სთვლის, რომ საჩქაროდ, თუნდაც ნაწილობრივ განიარაღების ამოცანის განხორციელება შეიძლება გადადებულ იქნეს. უმრავლესობა, როგორც სჩანს, სთვლის, რომ კაცობრიობას შეუძლია დაიცადოს იმ განუსაზღვრელ დრომდე, როცა მოსამზადებელი კომისია საჭიროდ დაინახავს მუშაობის განახლებას. უმრავლესობა, როგორც სჩანს, სთვლის, რომ მას უფლება აქვს ანგარიში არ გაუწიოს ფართო მასების ინტერესებს, მასებისა, რომელნიც მოითხოვენ ნამდვილ გარანტიის შექმნას ახალი, ამ შემთხვევაში, შეიძლება, კიდევ უფრო საშინელი სისხლის ღვრის განმეორების შესაძლებლობის წინააღმდეგ. აქ ზოგიერთები მოსამზადებელ კომისიის მუშაობას ადარებდენ მეცნიერის მუშაობას საკუთარ ლაბორატორიაში. აქ ირონიულად შენიშნავდენ, რომ ზოგიერთებს არ ესმით ასეთ მეცნიერულ კვლევა-ძიებს ნელი ტემპის აუცილებლობა. მე საჭიროდ ვსთვლი კატეგორიულად განვაცხადო, რომ საბჭოთა დელეგაციას შეუძლებლად მიაჩნია შეიარაღების შემცირებისათვის წარმოებული მუშაობა შეადაროს ასტრონომის კვლევა-ძიებას, რომლის მიზანია ახალი ვარსკვლავის აღმოჩენა. მიუხედავად იმისა, რომ ასტრონომიის დამსახურება ფრიად მნიშვნელოვანია, კაცობრიობას მოთმინებით შეუძლია უცადოს ახალ ვარსკვლავების აღმოჩენას. მუშაობის ასეთი ტემპით წარმოება პრაქტიკულ პოლიტიკის ისეთ საჭირბოროტო საკითხზე, როგორიცაა განიარაღების და შეიარაღების შემცირების საკითხი, ნიშნავს კაცობრიობის ნამდვილ ინტერესების უყურადღებოდ დატოვებას და იმ საფრთხის დავიწყებას, რომლის წინაშე ის ხდგას ყოველ წუთში. კომისიის მიერ გამოტოვებული ყოველი თვე ნიშნავს ხალხის ფულის მილიონობით უნაყოფოდ ხარჯვას ყველა ქვეყნებში და კაცობრიობის ზედმეტი თვით დატოვებას ომის საფრთხის წინაშე, რომლის გრიგალმა შეიძლება გაანადგუროს არა მარტო მოსამზადებელ კომისიის მთელი მუშაობა, არამედ თვით ეს კომისიაც. საბჭოთა დელეგაცია არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა ნაწილობრივ განიარაღების საბჭოთა პროექტის განხილვის იმ დაყოვნებისათვის, რომელიც დაშვებულია კომისიის მიერ. საბჭოთა დელეგაცია გადაჭრით აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა ამ დაყოვნებისათვის, ყველა, აქედან გამომდინარე შედეგებით, მთლიანად და სავსებით ეკისრება კომისიის უმრავლესობას.

სესიის დახურვა

ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე გამოდის საბოლოო სიტყვით. სიტყვა ჩვეულებრივათ ტრაფარეტულია: ის კმაყოფილებას გამოსთქვამს კომისიის მუშაობით და იმედოვნებს, რომ საბჭოთა მთავრობა განაგრძობს შეიარაღების შემცირებისათვის წარმოებულ მუშაობაში მონაწილეობას. ამხ. ლიტვინოვი განიარაღების სექციის სამდივნოს და ლიგის ტექნიკურ აპარატს მადლობას უცხადებს დახმარებისათვის კომისიის მუშაობაში. ინგლისის წარმომადგენელი კუშენდენი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში ის სავსებით ეთანხმება ლიტვინოვს. კუშენდენის განცხადება საერთო სიცილს იწვევს. სესია დახურულად ცხადდება.

პრესა განიარაღების საბჭოთა პროექტის შესახებ

ამერიკელ გაზეთებმა იცვალეს კილო

ნიუ-იორკი, 25 მარტი. ამერიკის პრესის ჟენეველმა კორესპონდენტებმა, რომლებიც უმალ აცხადებდნენ, რომ „კუშენდენმა და გიბსონმა დაამარცხეს საბჭოთა წარმომადგენლები", ეხლა ერთხმად შესცვალეს თავისი პოზიცია და აღტაცებას გამოსთქვამენ ლიტვინოვისა და ბერნსტორფის მოხერხებულ მანევრების გამო. ჟენეველ კორესპონდენტების დეპეშებში, რომლებიც გამოქვეყნებულია დღის პრესაში, აშკარად ხაზგასმულია იმპერიალისტურ ქვეყნების დელეგატების არაგულწრფელობა. რესპუბლიკანურ პარტიის რეაქციონურ ორგანო „ნიუ-იორკ ჰერალდ ენდ ტრიბუნ"-ის ჟენეველი კორესპონდენტი სწერს, რომ 23 მარტის სხდომა წარმოადგენდა „უდიდეს ფარსს, რომელიც ოდესმე გათამაშებულა საყოველთაო განიარაღების სახელით". კორესპონდენტი დაწვრილებით აწერს სრულ დაბნეულობას დელეგატებისას, რომლებმაც ვერ შესძლეს ამხ. ლიტვინოვისა და ბერნსტორფის იერიშების მოგერიება. „მხოლოდ რუსები და გერმანელები,—სწერს კორესპონდენტი,—გამოვიდნენ ხუფთად ამ პოლემიკიდან. ერთა ლიგისათვის უმოქმედობის ბრალდების წაყენებას სავსებით ლოღიკური. საფრანგეთის და ინგლისის დელეგატების საპასუხო განცხადებები ვერ იყო დამარწმუნებელი, საბჭოთა მეორე პროექტმა ნაწილობრივ განიარაღების შესახებ კიდევ უფრო დიდი არეულ-დარეულობა გამოიწვია, ვიდრე პირველმა".

„ნიუ-იორკ ტაიმს"-ის ჟენეველი კორესპონდენტიც აგრეთვე ხაზს უსვამს იმას, რომ „ლიტვინოვმა და ბერნსტორფმა დაამარცხეს თავისი ოპონენტები, რომლებიც ფიქრობდნენ ისე დაეხურათ სესია, რომ ასეთი დამარცხება არ განეცადათ".

„დენტ ნიუ-იორკ უორლდ"-ის ჟენეველი კორესპონდენტი სწერს:

„ლიტვინოვმა და ბერნსტორფმა სასტიკად დაამარცხეს ინგლისელების, ფრანგების და ამერიკელების ცდები, რომლებიც მიმართული იყო იმისკენ, რომ კონფერენცია დაემთავრებიათ კონკრეტულ დისკუსიის გაუმართავად. საბჭოთა პროექტი ნაწილობრივ განიარაღების შესახებ ზომიერ ხასიათისაა და, როგორც სჩანს, პრაქტიკულად განსახორციელებელია, თუ არსებობს ჭეშმარიტი სურვილი განიარაღებისა ან შეიარაღების შეზღუდვისა".

კორესპონდენტები საერთოდ ობიექტიურად და საკმაოდ დაწვრილებით აშუქებენ საბჭოთა პროექტს (ატა).

საფრანგეთის პრესა გააფთრებულია

პარიზი, 25 მარტი. ამხ. ლიტვინოვის მეორე გამოსვლას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესიაზე საფრანგეთის მემარჯვენე პრესა დიდი უკმაყოფილებით შეხვდა.

მემარჯვენე გაზეთი „ფიგარო" სწერს:

„განიარაღების კომისია ეხლა უკვე ხედავს, რომ დაუშვა შეცდომა, როცა ლიტვინოვის ჩამოსვლაზე დასთანხმდა. კომისია დღეს ჰკარგავს დროს, თავის პრესტიჟს და თავისი არსებობის აზრს, თუ ბოლოს არ მოუღებს ამ კომედიას".

რეაქციონური გაზეთი „გოლუა" სწერს:

„კომისიის ამ სესიას არავითარი სხვა შედეგი არ მოჰყვება გარდა იმისა, რომ მან ტრიბუნა დაუთმო მე-3 ინტერნაციონალს ანტიმილიტარისტულ რევოლიუციონურ პროპაგანდისათვის".

მიუხედავად ამ უკმაყოფილებისა, რომლითაც სურთ დაჰფარონ ერთგვარი დაბნეულობა, საფრანგეთის გაზეთები, და მათ შორის „მატენ"-იც, იძულებული არიან აღიარონ, რომ „საბჭოთა დელეგატმა, კუშენდენის საწინააღმდეგოდ, წარმოსთქვა მეტად დიპლომატიური სიტყვა".

მემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთი „ევრ"-ი სამართლიანად სთვლის ლიტვინოვის მიერ ევროპის სახელმწიფოებისა და კერძოდ ინგლისის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ ეს სახელმწიფოები უხეშად ერევიან საბჭოთა კავშირისა, ჩინეთისა და სპარსეთის შინაურ ცხოვრებაში და შინაური პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებენ ისეთ საეჭვო დოკუმენტებს, როგორიც „ზინოვიევის წერილია". გაზეთი აღნიშნავს, რომ „ლიტვინოვმა არ დააყენა ყოველივე ამის გამოყენება კუშენდენთან პოლემიკის დროს" და რომ „ეს იყო საუცხოვო ტურნირი, რომელსაც ტაშს უკრავდენ მაყურებლები". შემდეგ გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამს ამ პოლემიკის გამო და აცხადებს: „დათვისა და ვეშაპს შორის გამართულმა ბრძოლამ, რომელიც გამოიწვია კუშენდენის არც თუ იმდენად მოხერხებულმა გამოსვლამ, კომისიის ყურადღება აარიდა მის პირდაპირ ამოცანას".

საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ლ-იუმანიტე" სწერს:

„ლიტვინოვის გაბედული სიტყვა, საბჭოს დარბაზში გაისმა, როგორც მოწოდება მშვიდობიანობისა და შრომისაკენ, დაუვიწყარია მომენტები, როცა ლიტვინოვი ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირის ღონისძიებებზე მშვიდობიანობის განსამტკიცებლად, ან როცა აშკარავებდა იმპერიალისტური დიპლომატების ვერაგობას და ჟენევის მოღვაწეობის უნაყოფობას,— ეს სიტყვა ყოველთვის ძლიერ გამოხმული დიალექტიკისა და ძლიერი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ლიტვინოვის სიტყვა მხოლოდ სიტყვა როდი იყო, ის იყო პროლეტარული სახელმწიფო მოღვაწე რევოლიუციონერისა და მშვიდობიანობის თავგამოდებული დამცველის დიპლომატიური აქტი" (ატა).

გერმანიის პრესის გამოძახილი

ბერლინი, 25 მარტი. რეინის ოლქის სამრეწველო წრეების ორგანო „კელნიშე ცეიტუნგ"-ი ლიტვინოვის საპასუხო სიტყვის შესახებ სწერს:

„კუშენდენმა საბაბი მისცა ლიტვინოვს გამოსულიყო საპასუხო სიტყვით, რომელმაც სრული გამარჯვება არგუნა ლიტვინოვს: ის, რასაც ლიტვინოვი ლაპარაკობდა, ხალხების გულის ნადებს შეადგენდა. ნამდვილი განიარაღების მიზნით ჩვენ უნდა მივესალმოთ ყველას, ვინც ჟენევის ფარულ მოტივებს ნამდვილ სახელს უწოდებს და ვინც ხელს უწყობს ნამდვილ მსოფლიო რევოლიუციას, რომელიც მშვიდობიანობის უზრუნველყოფაში გამოიხატება".

შტრეზემანთან ახლომდგომი „ტეგლიხე რუნდშაუ" სწერს:

„საბჭოთა პროექტის ბედი წინასწარ გამორკვეულია. მისი უარყოფა არავის არ გააკვირვებს. მოსამზადებელი კომისია შორით გაურბის ყოველივე იმას, რაც ოდნავ მაინც ხელს შეუწყობს მის წინაშე მდგარ ამოცანების მოგვარებას. ლიტვინოვი მართალი იყო, როცა სთქვა, რომ ყოველნაირ ღონეს ხმარობენ განიარაღების კონფერენციის ჩასაშლელად. (ატა).

ბერლინი, 25 მარტი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის საბოლოო სხდომის შესახებ გაზეთების უმრავლესობა ცნობებს აქვეყნებს შემდეგი სათაურებით: „თვალთმაქცობა ჟენევაში", „განიარაღების ახალი საბოტაჟი", „განიარაღების ფიასკო" და სხვ.

„ფორვერტსი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა ახალი პროექტი ნაწილობრივ განიარაღების შესახებ გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს დასავლეთის სახელმწიფოებს, რადგან იგი ითვალისწინებს განიარაღების იმავე გზებს, რომლებსაც სამშვიდობო ხელშეკრულებანი ითვალისწინებენ.

„როტე ფანე" სწერს: მილიონ მუშებს საშუალება მიეცათ, სიცხადით დარწმუნებულიყვნენ, რომ კაპიტალისტებს გეზი უჭირავთ ერების ახალი ხოცვა-ჟლეტისაკენ. (ატა).

გერმანიის დელეგაციის რეზოლუცია

ჟენევა, 25 მარტი. მოსამზადებელი კომისიის 24 მარტის საღამოს სხდომაზე გერმანიის წარმომადგენელი ბერნსტორფი, გერმანიის დელეგაციის სახელით, აქვეყნებს რეზოლიუციას, რომელშიაც აღნიშნავს კომისიის მუშაობის სრულ უნაყოფობას, კომისიის მიერ შემუშავებულ კონვენციის პროექტის მეორედ წაკითხვის უარყოფას, მიუხედავად წინანდელი სესიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებისა, რომ მიმდინარე სესია შესდგომოდა პროექტის მეორედ წაკითხვას, და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ვადის ეხლავე განსაზღვრის უარყოფას. ბერნსტორფი აცხადებს, რომ გერმანია ამ წინადადებით უშუალოდ გამოვა ერთა ლიგის სექტემბრის პლენუმზე.

პრეზიდიუმის რეზოლუცია

კომისია გადადის პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ რეზოლიუციის პროექტის განხილვაზე.

ამხ. ლიტვინოვი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კომისიას სრული შესაძლებლობა აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს საბჭოთა მეორე პროექტის პირველ წაკითხვას.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საბჭოთა მეორე პროექტი არ იქნება განხილული დროს უქონლობის გამო.

პოლონეთის წარმომადგენელი სოკალი მოითხოვს იმ ნაწილის ამოშლას რეზოლიუციიდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ „საბჭოთა პროექტი გამოხატავს კაცობრიობის იდეალებს".

სოკალის შესწორება მიღებულ იქნა.

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„კომისიის ყველა წევრები ფიქრობენ, რომ საბჭოთა პროექტი არ შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც ბაზა კომისიის მუშაობისა, რომელიც უნდა მიდიოდეს დასახული გზით".

შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა პროექტი ნაწილობრივ განიარაღების შესახებ განხილულ უნდა იქნეს მოსამზადებელი კომისიის შემდგომ სესიაზე, რის შემდეგ ის დაეგზავნება ცალკე მთავრობებს. შემდეგი სესიის მოწვევის ვადის დანიშვნა ევალება კომისიის თავმჯდომარეს. სესია შეძლებისდაგვარად მოწვეულ უნდა იქნეს ლიგის პლენუმამდე.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ყველა ხმებით საბჭოთა კავშირის და გერმანიის დელეგაციების ხმების წინააღმდეგ. თავმჯდომარე რეზოლიუციას მიღებულად აცხადებს.

საბჭოთა დელეგაციის დეკლარაცია

შემდეგ ამხ. ლიტვინოვი აქვეყნებს შემდეგ დეკლარაციას:

„სანამ კომისიის სესია საბოლოოდ დაიხურება, მე მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გამოვაქვეყნო აქ განცხადება, რომელშიაც გამოთქმულია საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისი მოსამზადებელ კომისიის მუშაობის იმ ნაწილის შედეგების საკითხზე, რომელშიაც საბჭოთა დელეგაცია მონაწილეობას იღებდა.

თქვენ იცით, რომ საბჭოთა მთავრობამ, რომელიც დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ლიგის საბჭოს მიწვევას კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ, არ მიუძღვის ბრალი იმაში, რომ საბჭოთა დელეგაციას არ ჰქონდა საშუალება დასწრებოდა მოსამზადებელ კომისიის პირველ სამ სესიას. საბჭოთა დელეგაცია, რომელიც გამოცხადდა კომისიის მეოთხე სესიაზე მონაწილეობის მისაღებად, ცდილობდა არ დაეკარგა არც ერთი წუთი ტყუილად და მან შემოიტანა თავისი წინადადება საყოველთაო, დაუყოვნებლივ და სრულ განიარაღების პრინციპების განხილვის შესახებ.

მისი წინადადების დაუყოვნებლივ განხილვა უარყოფილ იქნა მოსამზადებელ კომისიის მიერ, რომელიც დასთანხმდა მხოლოდ იმაზე, რომ საბჭოთა პროექტის განხილვა მომხდარიყო კომისიის შემდგომ სესიაზე. კომისიის ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფინტერნის კონგრესი

ამხ. ლოზოვსკის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 26 მარტი. პროფინტერნის მეოთხე კონგრესის 24 მარტის სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლოზოვსკიმ.

მართალი არ არის,—ამბობს ამხ. ლოზოვსკი,—ვითომც თეზისები მოხსენების „საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ძირითადი ამოცანების შესახებ“ არ ითვალისწინებდეს ბრძოლის საჭიროების რეფორმისტულ კავშირებში. პროფინტერნის შვიდი წლის მუშაობის შემდეგ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი ბრძოლა სწარმოებს და კვლავაც უნდა სწარმოებდეს. რეფორმიზმი იმით არის ძლიერი, რომ იგი ემყარება ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძალ-ღონეს, ფაქტიურად მასთან არის შეხორცებული. რევოლიუციონური პროფმოძრაობა იმით არის ძლიერი, რომ მის მხარეზეა მთელს მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო—საბჭოთა კავშირი. ამხ. ლოზოვსკი წინააღმდეგია შემცდარი ტაქტიკისა რეფორმისტული ორგანიზაციების აპარატის მიმართ. ჩვენი ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს რომ აპარატის მოხელეებს ვებრძოლოთ, არამედ იმაში, რომ მასები დავიპყროთ და ამ მასების საშუალებით დავამსხვრიოთ აპარატი.

შემდეგ ამხ. ლოზოვსკი უპასუხებს გერმანიის დელეგაციას, რომელიც შვიდი საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ წავიდა, და აღნიშნავს, რომ რვა საათის სამუშაო დღის მოთხოვნილება წამოყენებულ იქნა 30 წლის წინათ, როდესაც ფაბრიკებსა და ქარხნებში 12 და 14 საათს მუშაობდენ. რვა საათის სამუშაო დღის ლოზუნგი მაშინ უფრო ნაკლებ რეალური იყო, ვიდრე შვიდი საათის სამუშაო დღის ლოზუნგი ახლა. შვიდი საათის სამუშაო დღის ლოზუნგს შეუძლია შემოიკრიბოს თავის გარშემო მაქსიმალური რიცხვი მუშებისა.

დასასრულ ამხ. ლოზოვსკი უპასუხებს ამხ. ნინს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა პროფმოძრაობას არასოდეს არ განუზრახავს თავისი რევოლიუციონური პრინციპების დათმობა ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლის გულისათვის. ჯერ კიდევ 1926 წლის დამდეგს საკავშირო კომპარტიის ც. კ.-მა, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება საბჭოთა კავშირის პროფკავშირები, გადაჭრით უარჰყო კონტრ-რევოლიუციონური ჭორები ამსტერდამის ინტერნაციონალში საბჭოთა პროფკავშირების შესვლის შესახებ.

ჩვენ აღვიარებთ,—ამბობს ამხ. ლოზოვსკი,—რომ საბ. პროფმოძრაობას აქვს ნაკლოვანებანი. მაგრამ ეს ნაკლოვანებანი უმნიშვნელოა არსებულ მიღწევებთან შედარებით. ეს განსაკუთრებით კარგად ესმით ჩვენს საზ.-ურ მუშათა მოძრაობას გაცნობ.

რეზოლიუციის მიღება

ამხ. ლოზოვსკის მოხსენების მიხედვით კონგრესმა ერთხმად დაადგინა, რომ საფუძვლად მიიღოს ამხ. ლოზოვსკის თეზისები და ამ თეზისების საბოლოო რედაქცია მიანდოს სპეციალურ კომისიას. კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს პოლიტიკურ ხაზს და საორგანიზაციო საქმიანობას.

მუშაობა ახალგაზრდობაში

ამხ. აპელტის მოხსენება

შემდეგ კონგრესმა მოისმინა ამხ. აპელტის მოხსენება ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ.

„ის გარემოება,—ამბობს ამხ. აპელტი,—რომ კონგრესმა დღის წესრიგში დასვა ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხი, იმას მოწმობს, რომ პროფინტერნი სწორედ აფასებს მუშა ახალგაზრდობის მნიშვნელობას კაპიტალისტური რაციონალიზაციის ახლანდელ პერიოდში. მუშა-ახალგაზრდობა საწარმოო პროცესში ასრულებს ნამდვილი მუშა-ხელის როლს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყნების უმეტეს ნაწილში ახალგაზრდობის ხელფასი შეადგენს სრულ ასაკოვანი მუშების ხელფასის მხოლოდ 40 პროცენტს. ახალგაზრდობის სამუშაო დღე ისეთივე ხანგრძლივია, როგორც სრულ ასაკოვანი მუშებისა. პროფკავშირებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშა-ახალგაზრდობის ამოცანებსა და მოთხოვნილებებს, ამასთანავე, საჭიროა განსაკუთრებული საორგანიზაციო ფორმების გამონახვა ახალგაზრდათა შორის მუშაობისათვის. უნდა ვეცადოთ, რომ რევოლიუციონურ პროფკავშირებში არსებული ახალგაზრდობის კომიტეტები გადაიქცნენ ნამდვილ მასიურ ორგანიზაციებად. საჭიროა შეიქმნას სრულ ასაკოვან და ახალგაზრდა მუშების მთლიანი საბრძოლველი ფრონტი

ინგლისის „ახალი წინადადებები“

საზღვაო განიარაღების შესახებ

ჟენევა, 26 მარტი. ინგლისის დელეგატმა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში ლორდმა კუშენდენმა ვაშინგტონის კონფერენციაზე მონაწილე სახელმწიფოების—საფრანგეთის, იაპონიის, შეერთებულ შტატების და იტალიის დელეგატებს გადასცა ინგლისის მთავრობის ნოტა, რომელშიაც ინგლისი ვაშინგტონის კონფერენციის განსავითარებლად საჭიროდ სთვლის საზღვაო შეიარაღების შეზღუდვას შემდეგი ფორმით: სამხედრო გემების მაქსიმალური წყალწყვის შემცირება 38.000 ტონიდან 30.000 ტონამდე, სამხედრო გემებზე ზარბაზნების მაქსიმალური კალიბრის შემცირება 16-დან 13 ნახ. დიუიმამდე და ამ გემების გამოყენების ვადის გადიდება 20-დან 26 წლამდე. ნოტაში ჩამოყალიბებული წინადადება არის იმ ნოტის ერთი ნაწილის განმეორება, რომელიც ინგლისმა წარუდგინა საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის სამთა კონფერენციას, რომელიც უშედეგოთ დამთავრდა 1927 წელს, ეხლა ეს წინადადებები ვრცელდება იტალიაზე და საფრანგეთზე.

ამ ნოტასთან დაკავშირებით და ამერიკელი ადმირალის ჯონსის ჟენევაში ჩამოსვლის გამო, გავრცელდა ხმები, რომ ამ სახელმწიფოებს გადაწყვეტილი აქვთ მოიწვიონ ახლო მომავალში საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის ხუთთა კონფერენცია (ადს).

„განიარაღების“ ნიმუში

ბერლინი, 25 მარტი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, პანამის არხის შესავალი წყნარ ოკეანეს მხრიდან გამაგრებულია 14 დიუმიანი ზარბაზნებით. ეს ზარბაზნები 37 კილომეტრის მანძილზე ისვრიან 1.560 გირვანქიან ყუმბარებს. ასეთივე ზარბაზნები დაიდგმება არხში შესავალთან ატლანტის ოკეანეს მხრიდან (ადს).

ტერორი რუმინეთში

ვენა, 25 მარტი. ორადეა-მარეში (რუმინეთი) დაპატიმრებული მუშები საშინლად აწამეს პოლიციის საპყრობილეში. ორადეა-მარეს მუშათა ორგანიზაციებმა, როდესაც გაიგეს დაპატიმრებულ მუშების წამება და ცემა, სასტიკი პროტესტი განაცხადეს პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ. საყოველთაო აღშფოთების გამო ორადეა-მარეს პოლიციის უფროსი იძულებული გახდა აღიაროს, რომ წამებას მართლა ჰქონდა ადგილი, მაგრამ თავი იმართლა მით, რომ „პოლიციას არ შეუძლია ნაზად მოეპყროს კომუნისტებს“. (ადს).

ბოლდუინი ანგარიშში შესცდა

ბერლინი, 25 მარტი. ეხება რა ჩიჩერინის ინტერვიუს ბოლდუინის იმ სიტყვის გამო, რომელიც უკანასკნელმა წარმოსთქვა თემთა პალატაში „ზინოვიევის წერილის“ შესახებ, „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ სწერს:

„ჩიჩერინის ინტერვიუ თუ სრულიად არ სპობს, დიდათ ასუსტებს ბოლდუინის სენსაციური განცხადებათა მნიშვნელობას. ბოლდუინს ამ ჟამად მოუხდება მძიმე ამოცანის გადაჭრა—თავის განცხადებათა დადასტურება საბუთებით. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩიჩერინი გამოსულიყო ზინოვიევის წერილის სინამდვილის ასეთი არა ორაზროვანი და კატეგორიული უარყოფით, რომ მას არ ჰქონოდა იმის გარანტია, რომ მის განცხადებას ვერ უარყოფენ. ბოლდუინის იმედი—თემთა პალატაში დისკუსიის გამართვით ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო „ზინოვიევის წერილის“ საკითხისათვის—არ გამართლდა. დისკუსია უნდა გაგრძელდეს და, როგორც ჩანს, საქმის გამორკვევის საუკეთესო საშუალებას საგამომძიებლო კომისიის დანიშვნა წარმოადგენს. მაგრამ კონსერვატორებს არ სურთ, რომ საქმეს ასეთი მსვლელობა მიეცეს“ (ადს).

მოსკოვი

ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან

ხილის და ბოსტნეულობის დამზადების გაფართოებისათვის

მოსკოვი, 26 მარტი. ხილისა და ბოსტნეულობის მოყვანა-დამზადების გაფართოების მიზნით შრომისა და თავდაცვის საბჭომ გადასდო ხუთასი ათასი მანეთი ხილისა და ბოსტნეულის კონტრაქტაციის საქმეზე.

ვაჭრობის საკავშირო კომისარიატი ამ თანხას გამოიყენებს საბჭოთა კავშირის იმ რაიონებში, სადაც მოდის ექსპორტისათვის გამოსადეგი ხილი და ბოსტნეულობა.

წითელი არმიის პარტორგანიზაციათა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 26 მარტი. ამ დღეებში აქ შესდგება წითელი არმიის პარტიულ უჯრედების მდივანთა საკავშირო თათბირი. თათბირის დღის წესრიგში სდგას პარტაღმშენებლობის საკითხები წითელ არმიაში.

მეორე მსროლელ ტერიტორიალურ დივიზიის პარტიულ ორგანიზაციის მდივანი აღნიშნავს, რომ ქართულ წითელი არმიის პარტიულ ორგანიზაციაში სჭარბობს ახალ გადასულ კომკავშირელთა რიცხვი. საქართველოს დელეგაცია თათბირზე აყენებს საკითხს კომკავშირის ახალ გადასულ წევრთა პარტიაში დამტკიცების დაჩქარების შესახებ.

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის გარშემო

მოსკოვი, 26 მარტი. როგორც 24 მარტის კორესპონდენციაში გადმოგცემდით, მოსკოვში ამ რამოდენიმე დღეების წინად თავი მოიკლა უმაღლეს ლიტერატურულ კურსების სტუდენტ ქალმა ისლამოვამ, რომელმაც დასტოვა ბარათი, სადაც ლაპარაკი იყო მწერალთა ფედერაციის მდივან ალტშულერის მიერ ჩადენილ უმსგავსოებას შესახებ. ხელისუფლების ორგანოებმა ამ საქმის გამო დააპატიმრეს მწერალი ალტშულერი, და პოეტები ანოხინი და ავრუშენკო. როგორც ირკვევა, ისმაილოვის ქალი გაუპატიურებულია ალტშულერის და მასთან ერთად ამ საქმეში მონაწილეობა მიუღია ანოხინს და ავრუშენკოს.

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ყველა მოწინავე წრეებში. პირველ ყოვლისა ალაპარაკდნენ მწერალთა კორპორაციები.

უმაღლეს ლიტერატურულ კურსების მსმენელთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიაც კრება მოითხოვს, რომ ისმაილოვის ქალის დაღუპვაში დამნაშავე ალტშულერი, ანოხინი და ავრუშენკო სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელით იყვნენ დასჯილი. ალტშულერისა და მისი ამხანაგების ეს უმსგავსო ბოროტმოქმედება იმის მაჩვენებელია, ნათქვამია რეზოლიუციაში, რომ მწერალთა წრეებში ადგილი აქვს ბოგემის უსაზღვროებს ელემენტებს.

ცნობილ მწერალ სერაფიმოვიჩის წრე მოითხოვს, რათა სასტიკად იქნას დასჯილი ეს კულტურული ჩუბაროვშჩინა. ისლამოვის ქალის თვითმკვლელობას გამოეხმაურნენ მოსკოვის კომკავშირის ორგანიზაციებიც. კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. კოსარევი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ყურადღება მიექცეს არანორმალურ პირობებს, რომელშიაც იზრდებიან და მუშაობენ ახალგაზრდა მწერლები.

პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაციამ გადასწყვიტა გამოჰყოს სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალება მოახდინოს უმაღლეს ლიტერატურულ კურსების მსმენელთა ყოფა-ცხოვრებისა და სწავლის პირობების გამოკვლევა.

უკანასკნელი ცნობები

საბჭ. მეცნიერების მუშაკები ესალმებიან ამხ. ლიტვინოვს

ლენინგრადი, 26 მარტი. ლენინგრადელმა მეცნიერებმა ამხ. ლიტვინოვს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც შემდეგსა სწერენ:

„მეცნიერების ლენინგრადელი მუშაკები თქვენს სახით მიესალმებიან საბჭოთა მთავრობას, რომელიც საყოველთაო განიარაღების პროგრამით გამოვიდა ჟენევის კონფერენციაზე. საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა განიარაღების საქმეში განსაკუთრებით ძვირფასია მეცნიერების მუშაკთათვის, რომელთა ინტერესები მჭიდროდ დაკავშირებულია მეცნიერებისა და კულტურის მშვიდობიან და შეუფერხებელ განვითარებასთან“ (ადს).

პილსუდსკის კანდიდატი

ვარშავა, 26 მარტი. პილსუდსკი სეიმის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასახელებს დღევანდელ ვიცე პრემიერს ბარტელს, რომლის არჩევასაც მთავრობის სეიმთან თანამშრომლობის ერთ-ერთ პირობად სთვლის. მაგრამ ყველა დანარჩენი პარტიები (პეპეესოვცელები, უკრაინელები და მემარჯვენე ჯგუფები) თავიანთ კანდიდატებს ასახელებენ. ამგვარად ბარტელი ვერ მიიღებს ხმების უმრავლესობას.

ჩინეთში იარაღის შეტანის საკითხი

(საკავშ. დეპეშათა სააგენტოს ცნობა)

მოსკოვი, 26 მარტი. საკავშ. დეპ. სააგენტოს ატყობინებენ სარწმუნო წყაროებიდან: საბჭოთა კავშირმა იაპონიის იმ წინადადების საპასუხოდ, რომლის თანახმად საბჭ. კავშირი უნდა შეუერთდეს სახელმწიფოთა მიერ 1919 წ. 5 მაისს პეკინში გამოტანილ დადგენილებებს ჩინეთში იარაღის შეტანის შესახებ, საბჭ. კავშ. მთავრობამ უპასუხა, რომ ჩინეთში იარაღის შეტანა—მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთის მთავრობის საქმეა; რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის ერიდებოდა სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან შეთანხმების დადებას იმ სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე, რომლის ინტერესებს შეთანხმება შეეხება. ამის გამო საბჭ. კავშირი ვერ შეუერთდება ზემოხსენებულ დადგენილებებს;—მით უმეტეს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებები ჩინეთში იძლევიან იარაღის შეტანის ფაქტიურ შესაძლებლობას, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებს ჩინეთში ჰყავთ საკუთარი ჯარები ან შეუძლიათ ჰყავდეს. საბჭოთა კავშირის მთავრობაც ადასტურებს, რომ მას არასოდეს არ შეუტანია და არც განზრახვა აქვს ოდესმე შეიტანოს იარაღი ჩინეთში (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას მანიფესტი

პრაღა, 26 მარტი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც იგი მოუწოდებს მუშებს ებრძოლონ სოციალურ დაზღვევის პირობების გაუარესებას, რომელიც განზრახული აქვს მთავრობას.

იარაღის ახალი ფარული ტრანსპორტი

ვენა, 25 მარტი. ბელგრადის გაზეთ „ნოვოსტი“-ს ცნობით, სამხრეთ-სლავიის ხელისუფლებამ უნგრეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე დააკავა 22 ვაგონი ასაფეთქებელი ნივთიერებით. დაკავებული ტვირთი, გაზეთის სიტყვით, გამოგზავნილია იტალიიდან რუმინეთის სავანგებო სამხედრო კომისიის მისამართით. (ადს).

გერმანიის კომპარტიის კონფერენცია

ბერლინი, 26 მარტი. გასულ კვირაში ბერლინში შესდგა გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმი და შემდეგ პარტ. მუშაკთა სრ. გერმანიის კონფერენცია, რომელმაც განიხილა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილებანი და საკითხი ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ გერმანიის პირობებთან შეფარდებით. (ბრძოლის წარმოება რეფორმიზმის და ტროცკისტული გადახრის წინააღმდეგ). რეზოლიუცია შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, რომელიც შედგენილია კომინტერნის აღმასკომის დადგენილების მიხედვით, მიღებულ იქნა ხმების დიდი უმრავლესობით, თავი შეიკავა ეალხერის ჯგუფმა, რომელიც მხარს არ უჭერდა რეზოლიუციის უკანასკნელ მუხლში მოხსენებულ ორგანიზაციულ ღონისძიებებს. შემდეგ კონფერენციამ დასახა კანდიდატები პრუსიის ლანდტაგსა და რეიხსტაგში ასარჩევად. კანდიდატებს შორის არიან მრავალი მუშები გერმანიის მსხვილი სამრეწველო წარმოებებიდან. კონფერენციამ გამოაქვეყნა პარტიულ ორგანიზაციების მიმართ წერილი, რომელშიდაც იგი მოუწოდებს მათ გააძლიერონ ბრძოლა მემარჯვენეობის საფრთხესთან, რომელსაც გერმანიის სოციალ-დემოკრატია ანსახიერებს (ადს).

ბელორუსიის გრომადის პროცესი

ვარშავა, 26 მარტი. გრძელდება მოწმეების დაკითხვა. მოწმეების დაკითხვით ბრალდებულნი სცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს გრომადის დეპუტატი საბოლევსკი გრომადის ლიტერატურასთან ერთად ავრცელებდა კომუნისტურ ლიტერატურას.

ჰამბურგელ ფაშისტების პროვოკაცია

ბერლინი 26 მარტი. პარიზის კომუნის დღეს მოწყობილ კომუნისტურ დემონსტრაციის დროს ფაშისტების პროვოკაციული მოქმედების გამო მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და ფაშისტების ჯგუფს შორის. პოლიციამ ტყვიები დაუშინა დემონსტრანტებს. დაიჭრა რამდენიმე მუშა.

გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ნოტა

ჩინეთის რწმუნებულს

მოსკოვი, 26 მარტი. პასუხად იმ საჩივარზე, რომ ვითომც შორეულ აღმოსავლეთში სწარმოებს ჩინელ მოქალაქეთა დევნა, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩინეთის საქმეთა რწმუნებულს მოსკოვში გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ რამდენადაც საბჭოთა კავშირში მცხოვრები ჩინელი მოქალაქენი ეწევიან ლეგალურ პროფესიას და ლოიალურად უყურებენ დაწესებულ კანონებსა და განკარგულებებს, ისინი სარგებლობენ საბჭოთა მთავრობის კეთილსასურველი დამოკიდებულებით და ყველა იმ უფლებებით, რომლებიც არსებობს სხვა მოქალაქეთათვის. სამწუხაროდ, ჩინელ ემიგრანტებს შორის არის ბოროტმოქმედი ელემენტები, რომლებიც არალეგალურად გადადიან საზღვარზე, არღვევენ წესებს სავალიუტო ოპერაციების შესახებ, ეწევიან კონტრაბანდისტობას, აწყობენ სარისკიკო სახლებს, ოპიუმის მწეველთა ფარულ ბინებს, რითაც ზიანს აყენებენ საბჭოთა კავშირს. მხოლოდ ამგვარი ელემენტების წინააღმდეგ არის მიღებული სოციალური დაცვის ზომები (ადს).

ინგლისელი ზუბრები სამუშაო დროის შემცირების წინააღმდეგ

ლონდონი, 23 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თემთა პალატამ 164 ხმით 127-ის წინააღმდეგ უარყო მუშათა პარტიის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა შვიდი საათის სამუშაო დღის აღდგენას სამთო მრეწველობაში.

მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც გამოვიდნენ კამათში, აღნიშნავდნენ, რომ რვა საათის სამუშაო დღის შემოღებამ „უმაგალითო გაჭირვება გამოიწვია მემაღაროეთა შორის“. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მემაღაროენი მუშაობენ დღეში 10 საათს.

ლოიდ-ჯორჯმა აღნიშნა, რომ ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში რვა საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ მდგომარეობა მეტად უფრო გაუარესდა, ვიდრე იყო უწინ.

განთავისუფლება ბავარიის ციხიდან

ბერლინი, 25 მარტი. ბერლინში ჩამოვიდენ ბავარიის ციხიდან განთავისუფლებული შტრაუბინგი — ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის (1919წ.) მოღვაწე ლინდნერი, გიუბერი, გზერი, კიკი, ლერმე; გრენიერი და მტრიედელი, რომელნიც მოსკოვში მიემგზავრებიან. სადგურზე მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს პროლეტარული ორგანიზაციის მრავალ-რიცხოვანმა დელეგაციებმა რემედასის ორგანიზაციების და ფრონტელების წითელი კავშირის მეთაურობით. შემდეგ გაიმართა მიტინგი პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის ლოზუნგით (ადს).

მუშების ბრძოლა

ანტი-იაპონური გაფიცვა ამოიში.

პეკინი, 25 მარტი. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, რომ კომიტეტმა, რომელიც ანტი-იაპონური მოძრაობას ხელმძღვანელობს ამოიში, საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა იაპონიის პოლიციის მიერ ოთხი კორეელის დაპატიმრების წინააღმდეგ. გაფიცვა წარმატებით ტარდება და გადადის რკინის გზებზე და ნავთსადგურებში მყოფ უცხოელთა გემებზე. ამოიში მყოფმა იაპონიის სამხედრო გემებმა გაფიცვის გამო ნაპირზე გადმოსხეს მეზღვაურთა რაზმი, რომლებმაც სტრატეგიული პუნქტები დაიჭირეს. ჩინელებმა სროლა აუტეხეს იაპონიის საკონსულოს გემს. (ადს).

გაფიცვები ბავარიაში

ბერლინი, 25 მარტი. მრეწველთა და მელითონეთა პროფკავშირების წარმომადგენელთა შორის გამართულ მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების გამო, მთელი ბავარიის (მიუნხენის გამოკლებით) ლითონის წარმოებებში დაიწყო გაფიცვები. გაიფიცა 2.000 მუშა. მწარმოებლები 25.000 მუშას ლოკაუტის გამოცხადებით ემუქრებიან. გაფიცული მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას და 8 საათის სამუშაო დღის დაცვას (ადს).

მემაღაროები ხელფასის მომატებას მოითხოვენ

პრაღა, 25 მარტი. ოსტრავას (მორავიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) მემაღაროეთა რევოლიუციონურმა კავშირმა მწარმოებლებს მოსთხოვა სამუშაო ხელფასის 20 პროც. მომატება სიძვირის გამო. მწარმოებლების წარმომადგენლებმა უარყვეს ეს მოთხოვნილება და მუშებს ლოკაუტის გამოცხადებით დაემუქრნენ. რეფორმისტულმა პროფკავშირმა მუშებს მიმართა მოწოდებით არ დაიწყონ ბრძოლა მწარმოებლებთან და დასტოვონ არსებული ხელშეკრულება (ადს).

გერმანიის წითელ ფრონტელების ყრილობა

ბერლინი. 25 მარტი. 24 მარტს ჰამბურგში გაიხსნა გერმანიის ფრონტელების წითელი კავშირის ყრილობა.

ყრილობის გახსნის დროს, კავშირის მეორე თავმჯდომარემ ლეოვმა განაცხადა: დონის ოლქში გერმანელ ინჟენერთა დაპატიმრებამ გვიჩვენა, რომ გერმანიის ბურჟუაზია უფრო და უფრო ებმება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ კაპიტალისტურ ფრონტში. იმ დროს, როდესაც სოციალ-დემოკრატია პირს იბრუნებს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ფრონტისაკენ, წითელი კლასობრივი ფრონტის მებრძოლნი საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან არიან.

უკანასკნელი ყრილობის შემდეგ კავშირი გაიზარდა, თუმცა ადმინისტრატიული დევნა ამ პერიოდის განმავლობაში გაძლიერდა და ბევრ ადგილას აკრძალეს კავშირის ჯგუფები.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ავსტრიის წითელი ფრონტელების კავშირის, ინგლისის ფრონტელების პროლეტარული ლიგის და საფრანგეთის ფრონტელების რევოლიუციონური ასოციაციის წარმომადგენლებმა.

ყრილობაზე წაკითხულ იქნა 60 წერილობითი მისალმება. მისალმებას საბჭოთა კავშირიდან დიდის ენტუზიაზმით შეხვდენ (ადს).

ჩინეთი

უცხოელი ვაჭრები პრივილეგიებით სარგებლობენ

პეკინი, 25 მარტი. პეკინის დიპლომატიურმა კორპუსმა გადასცა პეკინის მუნიციპალიტეტს განცხადება, რომელშიაც მოითხოვს ყველა იმ გადასახადების გაუქმებას, რომლებსაც აწესებენ უცხოელ ვაჭრებს უკანასკნელ წლების განმავლობაში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ უცხოელ ვაჭრებს შეუძლიათ შეიტანონ მუნიციპალიტეტში რაიმე გადასახადები მხოლოდ ნებაყოფლობით და ისინი არ შეიძლება ჩაყენებულ იქნან თანაბარ პირობებში ჩინელ ვაჭრებთან. დიპლომატიურ კორპუსის ეს განცხადება წარმოადგენს პასუხს მუნიციპალიტეტის შარშანდელ თხოვნაზე, რომ უცხოელ ვაჭრებს პეკინში მონაწილეობა მიეღოთ მუნიციპალიტეტის ხარჯებში. (ადს).

ნინა ბანგის გარდაცვალება

კოპენჰაგენი, 25 მარტი. გარდაიცვალა ნინა ბანგი, რომელიც განათლების მინისტრად იყო დანიის პირველ სოციალისტური მთავრობის შემადგენლობაში (ამ მთავრობამ იარსება 1926 წ. აპრილიდან დეკემბრამდე) (ადს).

სამეცნიერო აკადემია

მ. გორკის შესახებ

ლენინგრადი, 26 მარტი. შესდგა სამეცნიერო აკადემიის სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო მაქსიმ გორკის იუბილესადმი. სიტყვები წარმოსთქვეს აკადემიის პრეზიდენტმა კარპინსკიმ და მდივანმა ოლდენბურგმა. სხდომას მრავალი ახალგაზრდობა დაესწრო. გორკის მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს სორენტოში (ადს).

ყოფილ კოლჩაკელების საქმე

ნოვოსიბირსკი, 26 მარტი. დამთავრდა კოლჩაკის დამსჯელი ექსპედიციის მონაწილეთა ჯგუფის გასამართლება. მთავარ ბრალდებულს—ოკუნევს, რომელიც მონაწილეობას იღებდა დამსჯელ ექსპედიციებში და საბჭოთა მუშაკების დახვრეტაში, სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა. სასამართლომ ცაკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა განაჩენის შემსუბუქების შესახებ, რადგან ოკუნევი შვიდი წლის განმავლობაში წითელ არმიაში მსახურობდა და მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ (ადს).

თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი

გუშინ, საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებისა და ადგილკომების მონაწილეობით. დღის წესრიგში დასმული იყო: 1) ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და 2) ამხ. საკიანის მოხსენება პურის ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა,—ამბობს ამხ. მამია ორახელაშვილი, დღესაც უცვლელი რჩება, ის კვლავ გარემოცულია მისდამი მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებით, მაგრამ არის ახალი გარემოებანი, რომელნიც გამოწვეულია უშუალო რევოლიუციონური სიტუაციის შენელებით კაპიტალისტურ ქვეყნებში და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მეურნეობის დროებითი სტაბილიზაციით. საერთოდ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ და გამწვავებული ურთიერთობა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და კოლონიალურ ქვეყნებს შორის არ შეცვლილა; მტრულ პოლიტიკას ჩვენს მიმართ წინანდებურად მეთაურობს ზღვის მგელი—ინგლისი. ინგლისს კვლავ მეთაურობს კონსერვატიული მთავრობა, რომელიც არ ერიდება არავითარ ღონეს ძიებას, რომ ისევ შეინარჩუნოს ხელისუფლება. ის სიყალბე, რომლითაც ის სათავეში მოექცა ხელისუფლებას ზინოვიევის მოთხზულ წერილის საშუალებით,—სამართლიანად გამოაშკარავდა, და ეხლა, ახალი არჩევნების წინ მასების სხვადასხვა მოტყუილებით ცდილობს გამარჯვება მოიპოვოს. ის გარემოება, რომ კონსერვატიულმა პარტიამ მოისურვა გააფართოვოს ქალთა საარჩევნო უფლება, ნაკარნახევია არა მისი პროგრესიული ტენდენციებით, არამედ უბრალო პოლიტიკური ანგარიშით. ამ რეფორმით ფართოვდება წრე ამომრჩეველთა იმ ნაწილისა, რომელიც, ინგლისის კონსერვატიულ პარტიის ანგარიშით, მას დაუჭერს მხარს მომავალ არჩევნებში.

შემდეგ, მომხსენებელი გადადის ინგლისის დამოკიდებულებაზე კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მიმართ და ასკვნის, რომ ინგლისის იმპერიალიზმმა დროებით შესძლო ჩინეთის რევოლიუციის შეფერხება. მაგრამ, რამდენადაც ჩინეთის რევოლიუციის მთავარი საკითხები გადაუჭრელი რჩება, იმდენად ყოველთვის მოსალოდნელია ჩინეთში რევოლიუციონურ მოძრაობის კვლავ წარმოშობა და გაძლიერება. მუშურ-გლეხური მთავრობის არსებობა სამხრეთ ჩინეთში ზოგიერთ ნაწილებში მოწმობს იმას, რომ გლეხობას არ დაუყრია იარაღი და არ შერიგებია რევოლიუციის დამარცხებას. დამოკიდებულება დანარჩენ კოლონიალურ ქვეყნების მიმართ თანდათან მწვავდება, რასაც ამტკიცებს ინდოეთში, ავღანისტანში, ეგვიპტეში და ირაქში უკანასკნელ ხანებში მომხდარი ამბები.

რაც ითქმის ინგლისის დამოკიდებულებაზე კოლონიალურ ქვეყნების მიმართ, იგივე შეიძლება ითქვას ევროპის დანარჩენ იმპერიალისტურ ქვეყნებზე, რომელნიც ამჟამად საარჩევნო სამზადისის წინაშე სდგანან. სწორედ ამ არჩევნების წინ ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთავრობები ამომრჩეველთა მასის მოსატყუებლად ცდილობენ მემარცხენეობის ქურქში გაეხვიონ და საარჩევნო ხრიკებით თვალებში ნაცარი აყარონ და მიიზიდონ ამომრჩეველთა ფართო ფენები. ამ მასების ზეგავლენით ისინი თითქოს სცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის მიმართ, დღეს დღეობით ისინი ხელს იღებენ იარაღის ჩხარუნზე, აშკარა ინტერვენციაზე ჩვენს მიმართ. სამაგიეროდ ხელთ იმარჯვებენ ბრძოლის სხვა მეთოდებს.—სახელდობრ, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ შევიწროვების მეთოდს, მიმართავენ ახალ ხერხებს მასზე ეკონომიურ ზეგავლენის მოსახდენად. ბურჟუაზიული მთავრობები ცდილობენ მოატყუონ მასები, თითქოს საბჭოთა კავშირსა და მათ შორის სწარმოებს არა ბრძოლა, არამედ თავისუფალი ეკონომიური შეჯიბრი, ნამდვილად კი, ისინი ომის გამოუცხადებლად ლამობენ ეკონომიური მუხრუჭების მოჭერით შეაფერხონ ჩვენი მეურნეობის განვითარება,—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. რადგან მათ კარგათ იციან, რომ ჩვენი ქვეყნის მსხვილი მრეწველობის განვითარება საბოლოოდ ჩამოაშორებს ჩვენს ქვეყანას მათ, როგორც მათი საქონლის გასასაღებელ ბაზარს. ამ მიზნით იქმნება იდეა ეკონომიური ანტანტის შექმნისა, რომელშიაც ჩაბმულნი უნდა იქნენ საფრანგეთი, გერმანია და პოლონეთი, რომელიც უნდა დაუპირდაპირდეს საბჭოთა კავშირს. სწორედ იმის შიშმა, რომ ინდუსტრიალიზაციით საბჭოთა კავშირი დამოუკიდებელი გახდება, გერმანიის მსხვილი მრეწველობიდან, აიძულა გერმანია გაეწყვეტა ჩვენთან ეკონომიური მოლაპარაკება და განზე დაეწყო ცქერა.

ეხება რა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, მომხსენებელი ამბობს, რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც გულწრფელად ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას,—არის საბჭოთა კავშირი, რადგან არც ერთი ისე დაინტერესებული არ არის მშვიდობიანობით, როგორც ჩვენი ქვეყანა, რომლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნორმალური ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან. ჩვენი ქვეყნის ეს მშვიდობიანობისადმი მისწრაფება ნათლად გამოაშკარავდა ჟენევის განიარაღების კონფერენციაზე, სადაც ჩვენ მიერ აშკარად დასმულმა საკითხმა საყოველთაო განიარაღების შესახებ, ნიღაბი ახადა ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოების ნამდვილ ზრახვებს. ამ კონფერენციაზე ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის აზრი, რომ ერთა ლიგა უძლურია გაატაროს მშვიდობიანი პოლიტიკა, მანამდე, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური ურთიერთობა და ამ ურთიერთობით გამოწვეული წინააღმდეგობანი სახელმწიფოებს შორის. ვიდრე ეს ასეა, ერთა ლიგა იქნება არა მშვიდობიანობის გამტარებელი დაწესებულება, არამედ გაბატონებულ სახელმწიფოების ინტერესების დამცველი იარაღი. საბჭოთა კავშირის გამოსვლა განიარაღების კონფერენციაზე მაჩვენებელი იყო მისი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცება, მისი მეურნეობის განვითარება და შეუფერხებელი ზრდა. მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს მეურნეობას დავრწმუნდებით, რომ იგი დიდი ნაბიჯით მიაბიჯებს წინ. ჩვენ ვაშენებთ და ვქმნით ახალ მეურნეობას და ამ მუშაობის პროცესში ვსწავლობთ და ვეჩვევით უნებურად დაშვებულ შეცდომების და ნაკლოვანებათა აღმოჩენას. ეს კი მთავარია არის, რადგან შეცდომების აღმოჩენა იმის საწინდარია, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენი სამეურნეო განვითარების შემაფერხებელი მიზეზები.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ეკონომიურ პოლიტიკის პრაქტიკულ საკითხებს და პირველად ჩერდება პურის დამზადების კამპანიაზე. პურის დამზადების კამპანიის ტემპის შენელების მთავარ მიზეზად მომხსენებელი ასახელებს სამრეწველო საქონლის ნაკლებობას, ტეხნიკური კულტურების მაღალ ფასებს პურთან შედარებით, რის გამოც გლეხი ამჯობინებდა მის გამოტანას ბაზარზე, მოსახლეობის მიერ პურის ნორმაზე მეტ მომარაგებას (ომის მოლოდინში). მთავრობამ შესძლო ფასების გაუდიდებლად პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარება და პურის მარაგით უზრუნველყოფა, როგორც მომხმარებელ რაიონების, ისე ექსპორტისათვის. ამგვარად, პურის მარაგის დროზე დაუმზადებლობით გამოწვეული მდგომარეობა განვლილია. მაგრამ ჩვენს ქვეყანას შეხვდა მეორე განსაცდელი, რომელიც ხანგრძლივი მკაცრი ზამთრით არის გამოწვეული. ალაგ-ალაგ საკვების შემოკლების გამო, ადგილი ჰქონდა მუშა საქონლის მასსიურ გაწყვეტას, რაც საფრთხეში აყენებს ჩვენი მეურნეობის კოლექტივიზაციას. მთავრობას დასჭირდება განსაკუთრებული ღონისძიებების მიღება, რომ არ შეფერხდეს ჩვენი სასოფლო-მეურნეობის განვითარების საერთო გეგმის გატარება და კერძოდ მიმდინარე თესვითი კამპანია, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში, როგორც ნედლეულობის დამამზადებელ რაიონში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს რა საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის წარმატებით რეალიზაციას და სასოფლო მეურნეობის მეორეხარისხოვან პროდუქტების ექსპორტის ზრდას, მოკლედ ახასიათებს მუშათა მდგომარეობას. მომხსენებელი ხაზს უსვამს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების ნაყოფიერ შედეგებს—ხელფასის რეფორმის ნაწილობრივ გატარებას, (ხელფასის ზრდას შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შეფარდებით) და დასასრულ ჩერდება ბინის ქირის გადიდების საკითხზე, რომლის მიზანიც არის მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესება და სახლის მეურნეობის ეკონომიურ საფუძვლის განმტკიცება. თავის მოხსენების დასასრულს მომხსენებელი ეხება შახტის რაიონის სპეციალისტთა კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულებას და ამბობს, რომ ჩვენმა მტრებმა, რომელნიც დარწმუნდენ, რომ შეუძლებელია ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალება, გადასწყვიტეს მიმართონ სამარცხვინო საშუალებას—ჩვენი მრეწველობის მთავარი დარგების ქურდულად დანგრევას, მათ სისტემატიურ შეფერხებას. ასეთი ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის ერთ-ერთ ეპიზოდს წარმოადგენს შახტის სპეციალისტების შეთქმულება. ამიტომ ჩვენ გვმართებს უფრო ფხიზლად ვიყოთ და ჩავუკვირდეთ, რომ ამ კატასტროფების და იმ ხანძრის მიზეზი, რომელსაც შარშან ადგილი ჰქონდა მაგ. ტყიბულის მაღაროებში, შახტის მგზავს შეთქმულებაში ხომ არ მარხია. შახტის სპეციალისტთა გამცემლობა სხვა მიზანსაც ისახავს. ამით ჩვენს მტრებს სურთ გაამწვავონ ურთიერთობა მუშათა კლასის და სპეციალისტთა შორის. მაგრამ მუშათა კლასი არ წამოეგება ამ ანკესს, რადგან ერთ ნაწილ ინტელიგენციის გამცემლობის გამო, იგი ბრალს ვერ დასდებს მეცნიერების და ტეხნიკის ყველა მუშაკებს. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ სპეციალისტების ერთგვარ განკერძოებას, მუშათა მასებისაგან განზე დგომას ბოლო უნდა მოეღოს. უნდა მოისპოს ინტელიგენციის პოლიტიკური ნეიტრალობა. ინტელიგენცია პოლიტიკურად უნდა გამოირკვეს და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს. ის, ვინც სოციალისტურ მშენებლობას ეწევა, მოვალეა მთელი თავისი ბედი დაუკავშიროს მუშათა კლასს და მის მომავალს.

რეზოლიუცია

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების მიხედვით პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს საბჭოთა კავშირის სამეურნეო და პოლიტიკურ ძლიერების ზრდას, მუშათა მოძრაობის მარცხნივ გადახრას ევროპის ქვეყნებში, იმპერიალისტების სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამწვავებას. შემდეგ რეზოლიუცია იწონებს მთავრობის ღონისძიებებს პურის დამზადების საქმეში. საჭიროდ სცნობს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარებას, თესვითი კამპანიის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობის გაერთიანებული ძალებით ჩატარებას და სხვ.

სპეციალისტების შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია შემდეგი: საჭიროა წარმოებულ იქნეს სისტემატიური ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედების წინააღმდეგ ყველა იმ სპეცების პასუხისგებაში მიცემის საშუალებით, რომელნიც თავისი არასინდისიერი მუშაობით ხელს უშლიან ნორმალურ სოციალისტურ მშენებლობას. ამავე დროს პლენუმი საჭიროდ სცნობს ყოველგვარ დახმარების გაწევას იმ პატიოსან სპეციალისტებისათვის, რომლებიც არა შიშით, არამედ თავისი მოვალეობის სრული შეგნებით ილწვიან სოციალისტური მეურნეობის აღსადორძინებლად.

პურის ბაზრის მოწესრიგება

მომხსენებელი ამხ. საკიანი

მომხსენებელი ვრცელს მიმოხილვას უკეთებს თბილისის პურის ბაზრის მდგომარეობას ამ უკანასკნელ ხანებში და ამბობს, რომ პურის გარშემო შექმნილი მდგომარეობა სრულიად არ ყოფილა გამოწვეული პურის ფქვილის მარაგის ნაკლებობით. პირიქით თბილისი ამ უკანასკნელ კვირეებში უზრუნველყოფილი იყო იმ ნორმაზე მეტი მარაგით, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საჭიროებს. როგორც პურის ბაზრის ყოველმხრივმა გამოკვლევამ დაამტკიცა. ზემოხსენებული მდგომარეობა გამოიწვია უმთავრესად პურის ვაჭრობის საკითხის ტეხნიკურმა მოუგვარებლობამ—ქალაქს არ აკმაყოფილებდა პურის სავაჭროების არსებული რიცხვი, არ ყოფილა პურის სავაჭროების თანაბარი და მუდმივი დატვირთვა და პურის სავაჭროების თანაბარი განაწილება რაიონებს შორის; ადგილი ჰქონდა აგრეთვე პურის ფქვილის და ნამცხვარი პურის დიდი რაოდენობით ქალაქს გარეთ გატანას და სხვა.

შემდეგ მომხსენებელი ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომელიც ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ მიღებულია პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად.

ამხ. საკიანის მოხსენების მიხედვით პლენუმმა მიიღო შემდეგი.

რეზოლიუცია

თბილისის საბჭოს პლენუმმა მოისმინა შინავაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში ამხ. საკიანის მოხსენება პურის ბაზრის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ შექმნილი მდგომარეობა (რიგები) სრულიად არ არის დაკავშირებული ქალაქში პურის ფქვილის მარაგის ნაკლებობასთან, მის თავის დროზე შემოზიდვასთან და არც თბილისისათვის დადგენილ ნორმის რაოდენობასთან.

პლენუმი ადასტურებს: ა) რომ პურეულის შემოზიდვა თბილისში სავსებით ნორმალურად მიმდინარეობს,ბ) თბილისისათვის დაწესებულ გამოსაცხობი პურის რაოდენობა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გადაჭარბებით დაკმაყოფილებულ იქნეს ქალაქის მოთხოვნილება. ამავე დროს პლენუმი აღნიშნავს, რომ ქალაქში პურის გარშემო შექმნილი მდგომარეობა (რიგები) გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: ა) პურის სავაჭროთა ნაკლებობა, ბ) პურით სავაჭროების არა თანაბარი და არა მუდმივი დატვირთვა, გ) პურით სავაჭროების არა თანაბარი განაწილება რაიონებს შორის, დ) გამოსაცხობარი პურის და ფქვილის ქალაქ გარედ გაზიდვა და ე) მოსახლეობის შორის უმიზეზო შიში იმის შესახებ, რომ პურის ნაკლებობა იქნება და ამის გამო რამოდენიმე დღისათვის პურით მომარაგება.

თბილისის საბჭოს პლენუმი სავსებით იწონებს საბჭოს პრეზიდიუმისა და სათანადო ორგანოების მიერ ზემოაღნიშნულ მოვლენების ასაცილებლად მიღებულ ზომებს, რაც გამოიხატა: ა) არსებული სავაჭრო ქსელის გაფართოებაში (პურით სავაჭროების რიცხვი გადიდებულია 559 წერტამდის კოოპერაციის სასურსათო მაღაზიების ჩართვით), ბ) სავაჭროების თანაბრად დატვირთვაში, გ) სავაჭროების რაიონებს შორის თანაბრად განაწილებაში, დ) ახლო-მახლო სოფლების ფქვილით მომარაგების გაძლიერებაში, რითაც თავიდან აცილებულ იქნა ქალაქ-გარეთ პურის გაზიდვა.

საბჭოს პლენუმი სავსებით იწონებს შინავაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის გადაწყვეტილებას, პურზე სპეკულიაციის მოსპობის მიზნით კერძო მოვაჭრეთათვის ფქვილის გაცემის შეწყვეტისა და პურის გამოცხობის საქმის კოოპერაციის ხელში მთლიანად გადასვლის შესახებ.

საბჭოს პლენუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს საზოგადოებრივ კონტროლის გაძლიერებას პურის გამოცხობის საქმეში, რათა თავიდან აცილებულ იქნეს სპეკულიაციის მიზნით ფქვილისა და პურის ქალაქ გარედ გაზიდვა და გამოსაცხვარ პურის ხარისხის გაუარესება, რისთვისაც ავალებს თბილისის საბჭოს პრეზიდიუმს ჩააბას საკონტროლო მუშაობაში მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პირველ რიგში კი ქალაქის საბჭოს წევრები (სავაჭრო კოოპერატიული სექცია).

მასების მონაწილეობა მუშ. და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში

(საქ. კომპარტიის, ა.-კ. საქ. კომ. პრეზიდიუმის დადგენილება)

იმ მიზნით, რომ მასები პრაქტიკულად იქნან ჩაბმული ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევით მუშაობაში, და უშუალო კავშირი დამყარდეს ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიისა და მასიურ ორგანიზაციებს შორის, აუცილებლად იქნეს ცნობილი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევითი მუშაობის ხაზით:

1. პროფესიონალური, პარტიული, კომკავშირთა და სხ. მასიური ორგანიზაციები ჩაბმულ იქნან მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმების შედგენის მუშაობაში და ცალკე გამოკვლევათა სამუშაო პროგრამების დამუშავებაში.

2. იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა განცხადებანი (უშუალოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში ან პრესის საშუალებით) გამოსაკვლევ ორგანიზაციების ნაკლოვანებათა შესახებ, გამოქვეყნდეს პრესაში თუ რომელი ორგანიზაციების გამოკვლევას ისახავს მიზნად მუშათა და გლეხთა ინსპექცია; პრესაში უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ განსახილველი პრობლემები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ მშრომელთა ფართო მასების ინტერესებთან.

3. გამოკვლევის დაწყების დროს ადგილებზე მოწვეულ უნდა იქნას გამოსაკვლევი ობიექტების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებები იმ მიზნით, რომ მუშები და მოსამსახურენი გაეცნონ გამოკვლევის მიზნებსა და ამოცანებს, და გაიგზავნოს მათი წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამომკვლევთა ჯგუფში.

4. დიდ დაწესებულებათა და წარმოება გამოკვლევის დროს და აგრეთვე უმთავრესი სამეურნეო და სოციალ-ეკონომიური პრობლემების შესწავლის დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციის უშუალო გამოკვლევითი მუშაობაში უნდა იქნან ჩაბმული დაზგის მუშები (მათ შორის კომკავშირელები და ქალები), გუთნის მუშები, რომლებიც არჩეულ უნდა იქნან სათანადო კრებებზე იმ რაოდენობით, რამდენიც ყოველ ცალკე შემთხვევაში იქნება საჭირო გამოკვლევის ხასიათისა და მოცულობის მიხედვით.

5. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის შედეგების დამუშავებისა და გადაწყვეტილებათა საბოლოო ჩამოყალიბებისათვის წარმოებულ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან გამოკვლეული ობიექტების პროფკავშირთა, კომკავშირთა და პარტიული ორგანიზაციები.

6. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია, გარდა ჩვეულებრივი წესისა (უწყებანი, დაწესებულებანი და წარმოებანი), უნდა ჩატარდეს გამოკვლეული ობიექტების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებების საშუალებით.

გამოკვლევის უფრო მნიშვნელოვან დარგებში, რომლებიც ეხება ფართო ფენების ინტერესებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეალიზაცია უნდა ჩატარდეს დიდ წარმოებათა საერთო-საქარხნო კრებების საშუალებით.

საჩივართა ბიუროს ხაზით

1. საჩივართა ბიუროს მიერ აღმოჩენილი ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების და მშრომელთადმი უყურადღებოდ მოპყრობის შემთხვევათა განხილვა უნდა სწარმოებდეს საჩივართა ბიუროს ფართო სხდომებზე საზოგადოებრივ დაწესებულებათა, პრესის წარმომადგენელთა და მუშა მსაჯულების მონაწილეობით.

2. მუშა მსაჯულებს ირჩევენ მუშათა საერთო - საქარხნო კრებებზე 20-დან 30-მდე კაცის რაოდენობით ყოველ რაიონში; მუშა-მსაჯულები მორიგეობით ღებულობენ მონაწილეობას საჩივართა ბიუროს სხდომებზე.

3. საჩვენებელი სხდომების გამართვა საჩივართა ბიუროს გადააქვს დიდ წარმოებათა მუშების საერთო კრებებზე და სასოფლო ყრილობებზე.

4. იმ მიზნით, რომ უფრო მჭიდრო და უშუალო კავშირი დამყარდეს საჩივართა ბიუროს და ფართო მასებს შორის, და ფართო მასების წარმომადგენლებმა ყოველთვის მიიღონ მონაწილეობა საჩივართა ბიუროს გამოკვლევებში, ამიერ-კავკასიის მსხვილ წარმოებებსა და თბილისის დაწესებულებებში პროფკავშირთა, კომკავშირთა და ქალთა ორგანიზაციების საშუალებით გამოყოფილ იქნას საჩივართა ბიუროს რწმუნებულები 50—60 კაცის რაოდენობით.

საჩივართა ბიუროს რწმუნებულთა მუშაობა სწარმოებს განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად, რომელსაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია იმუშავებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

მუშგლეხკორთა ხაზით

1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის იმ გამოკვლევაში, რომლებიც ჩატარებულ იქნება მუშგლეხკორთა შენიშვნებისა და მუშგლეხკორთა დევნის საქმის გამო, ჩაბმულ უნდა იქნან ადგილობრივი გაზეთების რედაქციების მუშგლეხკორთა ბიუროს წარმომადგენელნი.

2. მუშგლეხკორთა ფართო კრებებზე და პრესაში გაშუქებულ იქნას მუშგლეხკორთა შენიშვნებისა და საქმის გამო მოხდენილი გამოკვლევა და აგრეთვე ბიუროკრატიზმისა, და სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მუშაობის ნაკლოვანებათა დამახასიათებელი შემთხვევები; ამასთანავე აღნიშნულ უნდა იქნას ზომები, რომლებიც მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიიღო ბიუროკრატიზმისა და აპარატის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, და ამით მუშკორთა ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს ბიუროკრატიზმთან და აპარატის სხვა ნაკლოვანებებთან ბრძოლის ყველაზე უფრო აქტუალურ, ძირითად საკითხებზე.

ქალაქის საბჭოების ხაზით

1. ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები და ქალაქის საბჭოს ცალკე წევრები ჩაბმულ უნდა იქნან მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევით მუშაობაში, რისთვისაც საჭიროა მათი წარმომადგენლების გაგზავნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამომკვლევ ჯგუფებში.

2. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების მუშაობის გეგმა შეთანხმებულ უნდა იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობის გეგმასთან; ამასთანავე ზოგიერთი გამოკვლევანი ჩატარებულ უნდა იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების საერთო ძალებით.

საორგანიზაციო ხაზით

1. იმ მიზნით, რომ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგია დაუკავშირდეს პროფკავშირთა, კომკავშირთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სათანადო შეთანხმება იქნას მიღწეული ამიერ-კავკ. პროფსაბჭოსთან, საქ. პროფსაბჭოსთან, ახალგ. ლენინური კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტებთან და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებასთან იმის შესახებ, რომ მუდმივი წარმომადგენლები გაგზავნონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიაში.

2. დაევალოს საგეგმო ჯგუფების ხელმძღვანელებს და ინსპექციების სახალხო კომისარიატებს, რომ გამოკვლევითი მუშაობის ჩატარების დროს სისწორით იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით, და ამასთანავე სამუშაო პროგრამაში გაითვალისწინონ ის, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ მასებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულ გამოკვლევითი მუშაობაში.

ა.-კ. სატრანსპორტო პარტუჯრედთა თათბირი

გუშინ, საქ. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში გაიხსნა ა. კ. სატრანსპორტო პარტ-უჯრედთა მდივნების თათბირი.

თათბირი გახსნა ამხ. კოსტანიანმა, შესავალ სიტყვაში ის შეეხო თათბირის ამოცანებს, მუშაობის რეგლამენტს და სიტყვის ბოლოს გააცნო დამსწრეთ თათბირის შემდეგი დღის წესრიგი: 1. საერთო პოლიტიკური მოხსენება (ამხ. მ. ორახელაშვილის), 2. მოხსენებები ადგილებიდან, 3. ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამეურნეო მდგომარეობა, 4. კოლექტიურ ხელშეკრულებათა გამოცვლის კამპანიის შესახებ. სხვადასხვა მიზეზების გამო თათბირმა შესცვალა დღის წესრიგი. პირველად დაისვა მოხსენებები ადგილებიდან.

პირველი სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა რკინის გზის სალიანდაგო დარგის მე-6 უბნის უჯრედის მდივანს ამხ. ზერიაშვილს (თბ. ორგანიზაცია).

მომხსენებელი აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს საუბნო სახელოსნოს მუშაობაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ შეძენილი იქნა ახალი მოწყობილობა და საერთოდ გაუმჯობესდა წარმოება.

უჯრედის შინაპარტიული მუშაობა ასეთ სურათს იძლევა: ყველა საამქროში არის გამოყოფილი პარტორგი, გვაქვს საორგ. და საგიტ. კომისიები, კრებებზე დასწრება დამაკმაყოფილებელია. წარმოების მთელი შტატი აღწევს 300 კაცამდე, ამ რიცხვში პარტიის წევრია 115 კაცი, კომკავშირელი—58. ოქტომბრის გაწვევის დროს პარტიაში მივიღეთ 15 კაცი. პარტიის წევრები ჩაბმული არიან პოლიტწრეებში.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ლენინაკანის რკინის გზის სახელოსნოს (მიმდინარე რემონტი) უჯრედის მდივანი. ჩვენი სახელოსნოს მუშებს—ამბობს იგი—ძლიერ ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა. სახელოსნოს შენობას გაფუჭებული აქვს სახურავი, საამქროები განიცდიან სივიწროვეს და არც მასალის მოწოდებაა კარგად დაყენებული.

პარტიული ფენა ჩვენს მუშებში შეადგენს 45 პროცენტს (სულ 120 მუშა გვყავს). მე-15 ყრილობამდე უჯრედში ითვლებოდა რამდენიმე ოპოზიციონერი. დღეს დღეობით უჯრედი სავსებით ჯანსაღია, რადგან ეს მერყევი ელემენტებიც დაუბრუნდნენ პარტიის ხაზს, როგორც კი მიიღეს სათანადო ახსნა-განმარტება.

გვაქვს პოლიტწრეები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეცადინეობებზე დასწრება სუსტია, ამის მიზეზია—უჯრედის წევრთა ზედმეტი დატვირთვა.

ლენინაკანელ დელეგატის შემდეგ მოხსენებით გამოდის ბაქოს რკინის გზის დეპოს უჯრედის მდივანი ამხ. იოროშენკო:

— მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჩვენი საამქრო ვერ არის სათანადოთ მოწყობილი და ღია ცის ქვეშ მუშაობს, გასული წლის სამეურნეო პროგრამა ჩვენ მიერ შესრულებულ იქნა 102 პროც.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ძირითადი საამქროების ელექტრო ენერგიაზედ გადასაყვანად. შენდება ახალი შენობა დეპოსათვის და ტარდება წარმოების რაციონალიზაცია.

ცხადია ამ მუშაობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საწარმოო თათბირი, მაგრამ ამ უკანასკნელის საქმიანობას სათანადო ყურადღებას არ აქცევს ადმინისტრაცია.

დღემდე ჩვენი დეპო უშვებდა რემონტიდან თვეში 7 ორთქლმავალს, თუ კი უზრუნველყოფილი ვიქნებით საჭირო მასალით, შეგვიძლია გამოვუშვათ ათი ორთქლმავალი, რაც დიდათ გააუმჯობესებს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მდგომარეობას.

პარტიული ფენა ჩვენს დეპოში შეადგენს 44 პროც. ზრდა უმთავრესად სწარმოებს კომკავშირელების ხარჯზე. უჯრედი იდეურად ჯანსაღია, გვაქვს პოლიტსკოლები.

დიდი ყურადღება ექცევა მუშების გასამხედროების საქმეს: 55 წლ. ასაკამდე ყველანი გადიან სამხედრო სწავლებას.

ერთ-ერთ ნაკლს ჩვენს მუშაობაში შეადგენს მასიური მუშაობის სისუსტე, რაც აუცილებელია ახლო ხანში გამოსწორდეს.

გუშინდელ სხდომაზე თათბირმა მოისმინა ჯულფის სადგურის უჯრედისა და ბათომის რკ. გზ. სახელოსნოთა კოლექტივის მდივნის მოხსენებები.

ქ. სურმუშელი.

თბილისის გარნიზონის სამხკორთა კონფერენცია

პირველი დღე

გუშინ, წითელი არმიის და ფლოტის სახლში გაიხსნა თბილისის გარნიზონის ქართულ ნაწილების სამხედრო კორესპონდენტთა მეორე კონფერენცია.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქტორის ამხ. აროშიძის მოხსენება სამხკორთა მუშაობის შედეგებზე და მომავალ ამოცანებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგრძნობლად გაიზარდა სამხკორთა რიცხვი. თბილისში არის 550 სამხკორი, რომლებიც თანამშრომლობენ „წითელ არმიელში“ და ადგილობრივ კედლის გაზეთებში. სამხკორთა რიცხვი აღწევს 34. გაუმჯობესებულია კედლის გაზეთების ხარისხი. პარტორგანიზაციები უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას სამხკორთა ორგანიზაციებს. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელთა სისუსტე და ლიტერატურის უქონლობა ქართულ ენაზე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 8 ამხანაგმა.

მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. აროშიძის მოხსენების ირგვლივ. კამათის დასრულების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. რამიშვილის მოხსენება პროკურატურის მუშაობისა და სამხკორთა ამოცანებზე. მომხსენებელი შეეხო სამხკორთა მონაწილეობას პროკურატურის მუშაობაში და იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს მამხილებელ წერილებს რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებაში.

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

(საუბარი ამხ. ბარინოვთან)

გუშინ თბილისში ჩამოვიდენ „აზნავთის“ უფროსი ამხ. ბარინოვი, ბაქო-ბათომის ნავთსადენის სააღმშენებლო სამუშაოთა მთავარი ინჟინერი ბუშბაკოვი და მთავ. ინჟინრები—შტეინბერგი და ივანოვი.

გუშინ საღამოსვე ისინი გაემგზავრენ ფოთში და ბათომში, სადაც ამ დღეებში მოელიან ნავთსადენის მილების პირველ პარტიას (3.000 ტონას). მილების ეს პარტია გამოგზავნილია როტერდამიდან (ჰოლანდია) აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყება მათი გადაგზავნა ბაქო-ბათომის რკინის გზის სხვადასხვა პუნქტებზე. სულ ნავთსადენის გასაყვანად საჭიროა 51.000 ტონა მილები, რომლებიც უკვე შეკვეთილია გერმანიაში. მილების მთელი რაოდენობის მიღება დასრულდება მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრამდე.

— გარდა მილებისა, განუცხადეს ჩვენს თანამშრომელს ამხ. ბარინოვმა და შტეინბერგმა,—საჭიროა კიდევ მთელი რიგი ახალი მოწყობილობები, რომელთაც ამზადებენ ამერიკაში. ასეთი მოწყობილობებია—მანქანები სიმძიმეთა გადასატანად, მუხლუხოვანი ტრაქტორები და სხ. ყველა მოწყობილობები უკვე შეკვეთილი გვაქვს ამერიკაში და მიღებულია ცნობა, მათი გამოგზავნის შესახებ.

ნავთსადენის ასაგებათ გვესაჭიროება აგრეთვე 39 დიზელის მანქანა. 9 დიზელი შეკვეთილი გვაქვს გერმანიაში და 30 ამზადებს საბჭოთა ქარხანა „გომზა“.

ნავთსადენის გასაყვანათ საჭირო ყველა მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრებულია. 1-ლ რიგში ახალი ნავთსადენის გაყვანა დაიწყება ხაშურ-ბათომის უბანზე. ამ უბანზე ნავთსადენის გაყვანა დასრულდება ოქტომბრის 11 წლის თავისათვის, ხოლო მთელი ნავთსადენის გაყვანა ბაქოდან ბათომამდე დასრულდება 1929 წლის ოქტომბრისათვის. ხარჯთაღრიცხვით მთელი ნავთსადენის გასაყვანი სამუშაოები ჯდება 62 მილიონი მანეთი, ამ თანხაში შედის აგრეთვე ნავთის საწმენდი ქარხნების აგება ბათომში.

ხაშურ-ბათომის უბანზე ნავთსადენის 1-ლ რიგში გაყვანა გამოწვეულია მშენებლობის რაციონალიზაციით, რომ მილების და მოწყობილობების [illegible] ზედმეტი არ დაიკარგოს.

ფოთში ჩვენი გამგზავრების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ [illegible] მოწყობილობები ამ [illegible] შესაბამის [illegible] უბნებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

სექციების საანგარიშო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს

უნდა გამოვამჟღავნოთ სექციების მუშაობაში შემჩნეული ყველა ნაკლი

როგორ მუშაობენ საბჭოთა სექციები

ბორჯომის საბჭო

(წერილი ბორჯომიდან)

კულტურული სექცია

სექცია და სექციის ბიურო ჩამოყალიბდა გასული წლის 29 მარტს. სექცია აერთიანებს საბჭოს 18 წევრს, მათ შორის ოთხი ქალია. სექციის მუშაობაში ჩაბმულია აგრეთვე საბჭოს არა წევრებიც.

სექციის ბიურო

მიუხედავათ იმისა, რომ სექციის ბიუროს სხდომები რეგულიარულად იმართებოდა, პირველ ნახევარში მუშაობა მაინც არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რაც გამოწვეული იყო ბიუროს სხდომის ოქმების შეუდგენლობით.

უკანასკნელ დროს ეს ნაკლი გამოსწორებულია და ბიურო ამუშავებს სექციის დღის წესრიგს, სამუშაო გეგმას, სხდომების კალენდარულ ცხრილს და მოჰყავს სისრულეში სექციის დადგენილება პრეზიდიუმის საშუალებით. ბიუროს ჰქონდა ექვსი სხდომა.

სექციის მუშაობა

სექციის სხდომები ხდებოდა ყოველ ორ კვირაში ერთხელ. სულ საანგარიშო ხნის განმავლობაში მოწვეულია 13 სხდომა.

პირველ ხანებში სექციის სხდომებზე დამსწრეთა რიცხვი არ აღემატებოდა 58 პროც., ხოლო სექტემბრიდან დასწრება უდრის 90 პროცენტს. სექციის სხდომებზე განხილულია 74 საკითხი, საშუალოდ თითო სხდომაზე—4 საკითხი. ეს საკითხები იყო: პედაგოგიური, სასკოლო, ექსკურსიის, საორგანიზაციო და სხვა. სექცია ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად ჰყოფდა კომისიებს. კომისიაში შეჰყავდათ ქალთა სადელეგატო კრებების წარმომადგენელი, განათლების კავშირიდან, სკოლის გამგეები და მასწავლებლები, რომლებსაც ევალებათ საკითხის გამოკვლევა და შესწავლა. სექციის მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაო: მიმაგრებულია სექციის წევრები სკოლებზე, პედაგოგიურ საბჭოზე და დამხმარე საბჭოებთან. სექცია ისმენდა მიმაგრებულთა მოხსენებებს. მოაწყო სასწავლებლებში მშობელთა წრეები. შეისწავლა სკოლების მდგომარეობა, დაამუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი სკოლის შენობის თავის დროზე შეკეთების, საჭირო ინვენტარით და შეშით მომარაგების შესახებ, მიიღო ზომები სკოლების თავის დროზე სასწავლო სახელმძღვანელობით მომარაგებისათვის, შეისწავლა პედაგოგიურ პერსონალის მდგომარეობა.

შეძენილ იქნა სამკითხველოებისათვის საჭირო ლიტერატურა, მოაწყო ექსკურსია მასწავლებლების—საცდელ-საჩვენებელ სკოლებში.

სექციის სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალ. ბორჯომში არსებულ სკოლების გამგეების მოხსენებები და თანამოხსენებები სკოლის გამომკვლევი კომისიისა საანგარიშო ხნის განმავლობაში ექვსჯერ.

სექციის მიერ მიღებულ ზომებით ის მოწაფეები, რომლებიც სკოლის გარეთ რჩებოდა პარალელური ჯგუფების გაუქმების გამო, მოთავსებულ იქნა ძირითად ჯგუფებში მაქსიმალურად მათი დატვირთვით, რის შედეგად ქალ. ბორჯომში სკოლის გარეშე არ დარჩენილა არც ერთი მოსწავლე ხალგაზრდა.

სექციამ ჩამოაყალიბა მეთოდიური პედაგოგიური ბიურო, მოწაფეთა თვითმართველობა, აწყობდა მოწაფეთა კონფერენციას. სექციის მიერ გამოკვლეული იქნა საბავშვო სახლის მდგომარეობა, რამაც შედეგად მოგვცა მასში არსებულ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა. სექციის თაოსნობით საბავშვო სახლში გამოწერილ იქნა საბავშვო ჟურნალ-გაზეთები, გაძლიერდა კულტ.-განმანათლებელი მუშაობა, გაიხსნა სახელოსნოები. ქრა-კერვის და ქსოვილების საქსოვი, სადაც გარდა მოწაფეებისა სწავლობენ ღარიბ მუშა-მოსამსახურეების შვილებიც, გაუმჯობესებულ იქნა კვების საკითხი, მიღებულია ზომები მომავალ სამოსწავლო წლიდან საბავშვო სახლში გაიხსნას სადურგლო და ფეხსაცმელების საკერავი სახელოსნოები.

სექცია ამომრჩევლებთან დაახლოების მიზნით თავის სხდომებს ხშირად მართავდა მუშათა უბანში, რომელზეც ესწრებოდა მუშები.

სექციის დადგენილებანი სისრულეში მოჰყავდა აღმასკომის პრეზიდიუმს. დადგენილებათა 90 პროც. გატარებულია ცხოვრებაში. ვერ გატარდა მხოლოდ თეატრის აგებისა და სატყეო-ტექნიკური სასწავლებლის გახსნის საკითხები, რადგანაც ისინი გასული წლის ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული.

სექციამ თავისი მუშაობის ანგარიში ჩააბარა საბჭოს და მიიღო ამ უკანასკნელისაგან პრაქტიკული მითითებანი. სექციას თავიდანვე ჰქონდა სამუშაო გეგმა და კალენდარული ცხრილი. შეიძლება ითქვას, რომ კულტურული სექცია საერთოდ დამაკმაყოფილებლად მუშაობდა.

დ. გ—ძე.

სენაკის საბჭო

საალმშენებლო და კეთილმოწყობის სექცია

საალმშენებლო და კეთილმოწყობის სექციაში 14 წევრია, მათ შორის 1 ქალი. სოც. მდგომარეობით: მოსამსახურეა 8, ხელოსანი 2, მუშა 1, გლეხი 3.

სექციამ სხდომა მოიწვია 6-ჯერ. შესდგა 3-ჯერ. გაარჩია 6 საკითხი.

სექციის სხდომებს ესწრებოდა 8-12 წევრი. 2 წევრი სრულიად არ დასწრებია სხდომას.

სექციის ბიურო

სექციის ბიურო მუშაობდა გეგმის მიხედვით. გეგმის შესრულებას ექცეოდა ყურადღება. ამასთან ერთად სექციის ბიურო იღებდა საჭირო ზომებს სექციის წევრთა მთლიანად ჩასაბმელად სექციის მუშაობაში.

ნაკაზი

სექციას ჰქონდა მიცემული შემდეგი ნაკაზი ამომრჩეველთაგან: საფუძვლიანი შეკეთება და გადაკეთება მუნიციპალიზაცია - ქმნილ დარაბების, ქალაქის ბაღის — რკინის ღობით შემოფარგვლა, ბაღში 20 ც. დასაჯდომი სკამების დადგმა, ქალაქის დაგეგმვა, წყალსადენის საკითხის გამოკვლევა, ახალი სასაკლაოს გაშენება, ახალი აბანოს აგება, ძეგლების მოვლა, საერთო ელსადგურის გაყვანა ქალაქში ამგესის ენერგიისათვის, ხანძართმქრობი რაზმისათვის ავტომობილის გადაკეთება, საბინაო - კოოპერაციისათვის ხელის შეწყობა, ქალაქის ბაღში მუსიკისთვის შენობის აგება, [illegible] ქუჩის შემოკავება, ტირისთვის შენობის აგება.

რა გააკეთა სექციამ?

მიწადმოწყობა და ქალაქის დაგეგმვა მიმდინარეობს. გადაკეთდა ზემო ყაფნის ფარდული. შეკეთდა და გადაკეთება მიმდინარეობს ძველი დარაბების. ყოფილი ჯეჯიხას შენობა, რომელიც დაიწვა, ხელახლად აღდგენილ იქნა. იმავე უბანის ჭ. დარაბა ახლად გადაკეთდა.

ქ. აბანოს აგება მიმდინარეობს. ხანძართმქრობი რაზმისათვის მოეწყო 1 ავტომობილი. ლენინის და ნაწილობრივ რუსთაველის ქუჩაზე ჩამოხსნილ იქნა ძველი ფარდულები და სწარმოებს გადაკეთება ახალი გეგმით. შენდება ქალაქის აბანო. მიმდინარეობს ქალაქში ელექტრო - ქსელის მოწყობა ამგესის ენერგიის გადასაყვანად. შენდება სასაკლაო.

ამნაირად საალმშენებლო და კეთილ მოწყობის დარგში გაკეთებულია ბევრი რამ. ეხლა სენაკი ისეთი არ არის, როგორიც იყო ამ რამდენიმე და თუ გინდ ერთი წლის წინედ.

ასეთი საალმშენებლო და საკეთილმოწყობო მუშაობა უნდა მიეწეროს სექციის ნაყოფიერ მუშაობას.

ნაკლი

ბაღი არ არის შემოკავებული რკინის ღობით. წყალსადენის საკითხი არ არის მოგვარებული, ბაღს არა აქვს ტროტუარები, სექციის სხდომები სუსტად სწარმოებდა. სექციის წევრები ნაკლებად ათვალიერებდენ ქალაქში კეთილმოწყობის და აღმშენებლობის საქმეს და ამაში ყველა არ იყო ჩაბმული.

გ. შხანეიშვილი

მცხეთის თემსაბჭო

(წერილი მცხეთიდან)

მცხეთის თემის საბჭო არჩეულ იქნა 1927 წ. 16 თებერვალს და შესდგება 27 წევრის და 9 კანდიდატისაგან. საბჭოსთან არსებობს 4 სექცია:

სასოფლო-სამეურნეო, სანიტარული, საალმშენებლო და კულტურულ-საგანმანათლებლო.

სექციების გამოყოფისთანავე მოხდა პირველი თათბირი მათი ხელმძღვანელებისა აღმასკომის თავმჯდომარის თანდასწრებით, სადაც გარკვეულ იქნა სექციათა მუშაობის მიზანი, ხასიათი და საშუალებანი, რომლითაც უნდა ესარგებლნათ მათ მუშაობის დროს.

მეორე ასეთივე თათბირი შესდგა ნახევარი წლის შემდეგ, რომელზედაც აღინიშნა მიღწევანი და ნაკლი სექციების მუშაობაში და გამომუშავებულ იქნა ღონისძიებანი ნაკლთა გამოსასწორებლად.

ყოველმა სექციამ თავისი პირველი სხდომა მოანდომა სამუშაო გეგმების გამომუშავებას, რომელიც საბჭოს პირველსავე სხდომაზე იქნა განხილული და დამტკიცებული.

ამის შემდეგ სექციებმა, თანახმად აღნიშნული გეგმებისა, შეუდგნენ მუშაობას. სექციების მუშაობაში იღებდნენ მონაწილეობას არა საბჭოს წევრებიც: სოფლის აქტიური მუშაკები, ინტელიგენცია და ქალთა ორგანიზაციის წევრები. წლის ბოლოს მათი მუშაობის შედეგი ასეთია:

სასოფლო-სამეურნეო სექცია

წევრთა რიცხვი ამ სექციაში არის 8. აქედან 2 არა საბჭოს წევრი. სექციას ჰქონდა 6 სხდომა. გარჩეულია 23 საკითხი, საკითხები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეხებოდა და აღმასკომის მიერ მიღებულ ღონისძიებების საშუალებით შესრულებულია შემდეგი: საერთო სასოფლო მიწებიდან გამოყოფილია ნაკვეთი, რომელიც გამოყოფილია საბოსტნეებად და დარიგებულია მცხოვრებლებზე; აღძრულია შუამდგომლობა „ზაჰესთან" წყლის აუზის გადმოცემის შესახებ მცხეთაზე, საიდანაც შეიძლება არხების გამოყვანა და ბოსტნების მორწყვა; სოფლის გვერდით მდებარე მიწები დაყოფილია სამოსახლო ადგილებად და გადაცემულ უსახლკარო მცხოვრებლებზე ბინების ასაგებად; დარჩენილი უსახლკაროებისათვის გამოყოფილია სოფლის მოშორებით მიწის ნაკვეთი. სადაც უნდა დასახლდნენ 15—20 კომლი; ღარიბ გლეხობის მეურნეობის გაღონიერების მიზნით მოწყობილია კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 20 კომლს; მეწველი საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად ჩამოყალიბებულია მერძევეთა ამხანაგობა და სხ.

სანიტარული სექცია

ამ სექციაში 7 წევრია და ორი არასაბჭოს წევრი. სხდომები შესდგა 5-ჯერ, რომლებზედაც გარჩეულია 10 საკითხი.

სექციის მუშაობის შედეგია სამკურნ. პუნქტის მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სავალდებულო დადგენილებების გამოცემა თემში სისუფთავის დაცვის შესახებ; დაჯარიმება ამ დადგენილებების დამრღვევთა; კბილის ექიმის მოწვევა და საექიმო პუნქტის გამგის მიერ რეგულიარულად საექიმო-სანიტარიო ხასიათის ლექციების კითხვა.

საალმშენებლო სექცია

წევრთა რიცხვი სექციაში 7-ია. სხდომები შესდგა 6-ჯერ, რომელზედაც გარჩეულია 15 საკითხი. გარჩეულ და დამუშავებულ საკითხებიდან შესრულებულია შემდეგი: ს. მცხეთაში გაკეთებულია ცემენტის ორი ახალი ბოგირი; შეკეთებულია და დაგებულია ქვით სოფლის ერთი ქუჩა; დამთავრებულია სასაკლაოს შენობა, რომელშიაც გაყვანილია წყალი; შეკეთებულია კლუბი; გაფართოვებულია სასმელი წყლის ქსელი ს. მცხეთაში და არსებულ 4 კრანს დაემატა 4 ახალი კრანი; გაყვანილია სოფლის ყველა ქუჩაში ელექტრონი და მთავრდება ელექტრონის სახლებში გაყვანა; გაზაფხულის დადგომისთანავე უნდა დაიწყოს თანახმად წარმოდგენილ გეგმისა აბანოსი და საავადმყოფოს აგება.

კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია

ამ სექციაში წევრთა რიცხვი 13-ია, აქედან 4 არა საბჭოს წევრი, სექციას სხდომა ჰქონდა 6-ჯერ, საკითხები განხილულია 16. განხილულ საკითხებიდან ცხოვრებაში გატარებულია შემდეგი: თემში მოწყობილია 2 სალიკვიდაციო და ერთი მცირემცოდნეთა სკოლები, რომლებშიაც 80-მდე მსმენელია. ამით ამოიწურება თემში წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საკითხი, რადგანაც მცხეთის თემში 50 წლის ქვევით წერა-კითხვის უცოდინარი პირი თითქმის აღარ არის; სამკითხველოსათვის შეძენილია მრავალი ახალი ლიტერატურა და პერიოდული გამოცემანი; მოწყობილია წითელი და სამხედრო კუთხეები; კლუბთან ჩამოყალიბებულია: დრამატიული, ლიტერატურული, და სამხედრო წრეები, ტარდება მოხსენებები, გასამართლებანი, წარმოდგენები და იდგმება კინო-სურათები; ჩამოყალიბებულია რედკოლეგია და კედლკორთა წრე, გამოდის ყოველკვირეული კედლის გაზეთი; მცხეთის პროფტექნიკური სკოლას გადაეცა ერთი დიდი 4 ოთახიანი შენობა, სადაც ამჟამად მოწყობილია სკოლის საზეინკლო და სამჭედლო სახელოსნოები.

კულტსექციამ შარშან ზაფხულშივე მოახდინა ს. მცხეთაში სასკოლო ასაკის ბავშვების აღრიცხვაზე აყვანა, სკოლის შენობის ტევადობის და საჭირო ინვენტარის გამორკვევა, სექციის აზრით ს. მცხეთაში შესაძლებელი იყო საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება, რაც დაადასტურა თემსაბჭომ და სასოფლო ყრილობამ. 1927 წლის შემოდგომიდან ს. მცხეთის ფარგლებში შემოღებულ იქნა სავალდებულო სწავლა, თანახმად სასოფლო ყრილობის დადგენილებისა. ამჟამად ს. მცხეთაში სასკოლო ასაკის ბავშვი არც ერთი არაა სკოლის გარეთ დარჩენილი.

მტკვრისპირელი.

ბაღდადის თემსაბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი ბაღდადიდან)

თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია 6 სექცია: სასოფლო-სამეურნეო; საგზაო-საალმშენებლო, კულტურულ-განმანათლებელი, საფინანსო-საგადასახადო, საექიმო-სანიტარო, სავაჭრო-კოოპერატიული. ყველა სექციებს ჰყავს ბიურო ხუთ-ხუთი კაციდან შემდგარი.

ყველა სექციის ხელმძღვანელებმა გააკეთეს მოხსენებები თემსაბჭოს სხდომაზე მათი მუშაობის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო სექციას ჰქონდა ორი სხდომა, გარჩეულია 4 საკითხი. ხოლო ბიურომ 15 სხდომაზე განიხილა 40 საკითხი.

საგზაო-საალმშენებლო სექციას ჰქონდა 3 სხდომა, გარჩეულია 7 საკითხი: ბიუროს 12 სხდომა, გარჩეულია 45 საკითხი.

კულტურულ-განმანათლებელ სექციას ჰქონდა 3 სხდომა, გარჩეულია 8 საკითხი. სექციის ბიუროს—10 სხდომა, გაირჩა 26 საკითხი.

საფინანსო-საგადასახადო სექციას ჰქონდა 1 სხდომა, გარჩეულია 1 საკითხი: სექციის ბიუროს 4 სხდომა, გარჩეულია 5 საკითხი

საექიმო-სანიტარულ სექციას ჰქონდა 2 სხდომა, გარჩეულია 4 საკითხი, სექციის ბიუროს ჰქონდა 8 სხდომა, გარჩეულია 25 საკითხი.

სავაჭრო-საკოოპერაციო სექციას ჰქონდა 1 სხდომა, გარჩეულია 1 საკითხი, სექციის ბიუროს სხდომაც მოხდარა ერთხელ და გარჩეულია 8 საკითხი.

სექციის ოქმებს არც საბჭოს და არც აღმასკომის სხდომაზე არ ამტკიცებდნენ. სექციების მიერ გამოტანილ დადგენილებებს საბჭო საბოლოოდ იხილავდა და ზოგიერთ ცვლილებების შეტანის შემდეგ მთლიანად იღებდა მას.

საბჭოს არაწევრები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ ინტელიგენციას, სექციების მუშაობაში არ იყვნენ ჩაბმულნი არ სწარმოებდა აგრეთვე სექციის წევრთა კრებებზე დასწრების აღრიცხვა.

ბაღდადელი.

პარტიაში

როგორ უნდა მოვიწვიოთ ღარიბთა თათბირები

მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილების შემდეგ, მუშაობა ღარიბ გლეხობასთან ფართოვდება და შემოდის ახალი ფორმა—ღარიბ გლეხთა ჯგუფების თათბირები და კონფერენციები.

თუმცა დღემდე ღარიბ გლეხთა ჯგუფები ეწეოდენ მუშაობას, მაგრამ არავინ არ უკეთებდა ჯამს მათ მუშაობას, არავინ არ აღნიშნავდა მათ მიღწევებსა და ნაკლს და ყოველივე ამის შესახებ არაფერი იცოდენ სხვა თემის ღარიბ გლეხთა ჯგუფებმა.

ამრიგად, ღარიბ გლეხთა ჯგუფების თათბირების მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს მათი მუშაობის და გამოცდილების ჯამის გაკეთება და განზოგადოება.

ღარიბი გლეხების თათბირებმა, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობენ თემებში, ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, სათესი მოედნის გაფართოება, სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ღარიბ გლეხების მეურნეობათა კოლექტივიზაცია, ღარიბ გლეხების კოოპერატიული შეკავშირება და სხვა.

ამიტომ თათბირების დღის წესრიგში უნდა დაისვას შემდეგი საკითხები: თესვის კამპანიის შესახებ, ღარიბ გლეხების მეურნეობათა კოლექტივიზაციის შესახებ და ღარიბ გლეხთა ჯგუფების მოხსენებები

უნდა ვეცადოთ, რომ თათბირები არ დაიტვირთოს ვრცელი მოხსენებებით და ვერიდოთ „მოწონების" საერთო რეზოლუციების გამოტანას. დადგენილებები უნდა იყოს კონკრეტიული და მათ უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა თემისათვის.

მაგრამ ვინ უნდა დაესწროს ამ თათბირებს? თემის თათბირებში მონაწილეობას ღებულობენ ღარიბ გლეხთა ყველა ჯგუფები, რომლებიც თემის ტერიტორიაზე არსებობენ.

თათბირებზე მოწვეული იქნებიან ღარიბი გლეხები იმ ორგანოებიდან, სადაც ჯერ კიდევ მოწყობილი არაა ღარიბ გლეხთა ჯგუფები და აგრეთვე თითო და ორ-ორი ღარიბი გლეხი კოლმეურნეობებიდან, არტელებიდან, სამანქანო ამხანაგობებიდან და კომუნებიდან.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რომ თათბირების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოჯამაგირეებმა.

თათბირების მთელი მუშაობა უნდა ჩატარდეს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხების დაკავშირების ნიშნის ქვეშ და თათბირებზე პერსონალურად მოწვეულ უნდა იქნენ საშუალო შეძლების გლეხები — აქტიური საზოგადო მუშაკები, მაგრამ მათი რაოდენობა არ უნდა სჭარბობდეს თათბირის შემადგენლობის 10-15 პროცენტს.

თათბირების მოწვევის წინ უნდა უსწრებდეს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა თემკომებისა და უჯრედების მხრით. ამ უკანასკნელებმა ზედმიწევნით უნდა დაამუშაონ თათბირზე წარსადგენი საკითხები, განუმარტონ თათბირის მონაწილეთ თათბირის ამოცანები და პარტიისა და კომკავშირის წევრების საშუალებით აცნობონ მათ თათბირის მოწვევის დღე.

ღარიბ გლეხთა ჯგუფების თათბირს არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი. ადგილობრივი თემკომები უნდა შეეცადონ, რომ ეს თათბირები იმართებოდეს სისტემატიურად—თვეში ორჯერ-სამჯერ.

ღარიბ გლეხთა ჯგუფების პირველი თათბირების ჩასატარებლად სასურველია გაიგზავნოს თემებში უფრო მაღლა მდგომ პარტიულ ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ თემკომებს ღარიბ გლეხებთან მუშაობის ახალი ფორმების შემოღებაში.

ღარიბ გლეხებს შორის მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა და კომკავშირმა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პარტიულ-კლასობრივ ხაზს გადამახინჯებისაგან სოფლის სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანოების მხრით.

არ—ვი.

საჭიროა მეტი გარკვეულობა

პარტორგების მუშაობის შესახებ

პარტიულ ორგანიზატორების მუშაობის შესახებ ბევრ გაურკვევლობას აქვს ადგილი. არის მთელი რიგი უჯრედებისა, სადაც პარტიული ორგანიზატორები არც კი არსებობენ. სამაგიეროთ იქ, სადაც ასეთები არიან, ხშირად საკმაოთ ნათლად გარკვეული არ არის, თუ რა უნდა აკეთოს პარტიულ ორგანიზატორმა, როგორია მისი უფლება-მოვალეობანი და სხვა.

თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომმა ამას წინად ჩაატარა ერთ ჯგუფ უჯრედების გამოკვლევა, რამაც ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადჰყო. 12 უჯრედიდან, სადაც ჩატარებულ იქნა გამოკვლევა, 7 უჯრედში პარტიული ორგანიზატორები არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. უჯრედის ბიუროებს თავიანთ მუშაობის გეგმაში გათვალისწინებული არა აქვთ პარტიულ ორგანიზატორების მუშაობა. გარდა ამისა ხშირად არავინ ღებულობს ზომებს, რომ განუმარტონ პარტიულ ორგანიზატორებს, თუ რა უნდა აკეთონ მათ.

ქალაქის რაიკომის მიერ ჩატარებულ ზემოხსენებულ გამოკვლევამ აღმოაჩინა ფაქტები, როცა პარტიულ ორგანიზატორების მოვალეობაზე სრულიად არ ჰქონია წარმოდგენა არა თუ თვით ბევრ პარტორგანიზატორს, არამედ უჯრედის ზოგიერთ მდივანსაც კი.

პარტიულ ორგანიზატორის მთავარ ამოცანას წარმოადგენს პარტიის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა. უპარტიო ამხანაგებში პარტიის დადგენილებათა პოპულიარიზაცია, კეთილსინდისიერ უპარტიო ამხანაგების პარტიულ ორგანიზაციასთან დაახლოება, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ჩაბმა და სხვა.

პარტუჯრედების ბიუროებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიების მუშაობას. საჭიროა არა მარტო ის, რომ ფართოეთ განემარტოს თვითეულ პარტიულ ორგანიზატორს მისი უფლება-მოვალეობა, არამედ ისიც, რომ ბიურო და უჯრედის პლენუმი სისტემატიურად ისმენდენ პარტიულ ორგანიზატორების საანგარიშო მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ.

გ. რ—ა.

ბინის ტარიფის განხილვა უჯრედებში

(მეორე რაიონში)

ახალი საბინაო ტარიფის განხილვის კამპანია მეორე რაიონში დაიწყო 17 მარტიდან. ჯერჯერობით კამპანია მიმდინარეობს პარტიის უჯრედებში. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის უჯრედების უმრავლესობამ ახალი საბინაო ტარიფის განხილვა უკვე დაამთავრა. ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნებში კამპანია დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა ფართო საერთო კრებებზე. ტარიფის განხილვაში განსაკუთრებით აქტიობას იჩენდენ მუშები. მთავრობის გადაწყვეტილებას საბინაო ტარიფის გადიდების საქმეში მუშები იწონებენ.

ახალი საბინაო ტარიფის განხილვის კამპანია უჯრედებში ინტენსიურად მიმდინარეობს. მიმდინარე კვირაში კამპანია იწყება მეორე რაიონის ყველა ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

რ.

მუშათა ცხოვრება

სამშაბათს, 27 მარტს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება.

დღის წესრიგში სდგას: ლიტერატურული საუბარი და ამხ. შაქრო ნავთლუღელის მოხსენება ჟურნალ „მიზანი"-ს მდგომარეობის შესახებ. ლიტერატურული წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ამდენ შეცდომებს ბოლო უნდა მოეღოს

(მთ. სახელოსნო)

ამწყობ - სამქროს გადაკეთების შესახებ საჭირო შეიქნა მაღლა ასაწევი მანქანა, რომელიც უნდა დამზადებულიყო რუსეთის ქარხნებში, მაგრამ როგორც სახელოსნოების ზედამხედველებმა განაცხადეს, რუსეთის ქარხნებში ბევრი საქმეების გამო, ა.-კ. რკ. გზ. სახელოსნოს შეკვეთა არ მიიღეს.

საკითხი დაისვა მანქანის ადგილობრივ დამზადების შესახებ. დაამზადეს ნახაზები და დაკვრითი წესით მოაწყვეს საქვაბო საამქროში აღნიშნული მანქანა. ოთხი თვე არსებობდა ეს მანქანა, მაგრამ ადმინისტრაცია ხელახლა შეუდგა მის დაშლას და გადაკეთებას, რაც იწვევს აუარებელ ზედმეტ ხარჯებს.

სულ პირველად სანამ მოაწყობდნენ მანქანას, მუშებმა ნახაზი გააკრიტიკეს და ურჩიეს ადმინისტრაციას, რათა რა კი ეწყობა და ისარჯება ფული, ბარემ ისეთი გავაკეთოთ, რომ საბოლოოდ გამოგვადგეს. მუშების რჩევას ყურადღება არავინ მიაქცია. ინჟენერის მიერ შედგენილი პროექტი მოწონებულ იქნა. დღეს კი აღმოჩნდა, რომ მუშების აზრი უფრო სწორი ყოფილა, ვიდრე ადმინისტრაციის.

ასეთივე ისტორია აქვს შუაზე მავალ მანქანასაც, რომლის საშუალებით ორთქლმავლებს გადააქვთ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. ისიც პირველად გადაკეთდა, მაგრამ ეხლა მისი ლიანდაგი აღარ ვარგა. თითქოს არ შეიძლებოდა ზემოთა იატაკის ისე მოკირწყვლა, რომ ქვეითა ლიანდაგი არ დანგრეულიყო, აქაც ერთნაირად გაუთვალისწინებლობა და დაუდევრობაა, რაც ათასი მანეთებით აყენებს ზარალს რკინის გზას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და დამნაშავის კისრიდან აანაზღაუროს ის ზარალი, რომელიც გამოიწვია დაუდევრობამ და დაუკვირებლობამ.

დროა ასეთ შეცდომებს ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო. მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაციამ ასეთი საქმეების დროს ხანდისხან მუშებსაც უნდა დაუჯეროს. ამით თუ არაფერი გაკეთდა, არა წახდება რა.

№ 54.

—:—

კიდევ დაუკვირებლობა

(რკ. გზის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა)

ა.-კ. რკ. გზის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის გასწვრივ მოეწყო სახელოსნო. დღემდე სახელოსნო არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, სახელოსნოს უფროსმა, მოქ. სერგო მალაქოვმა ბევრი ცვლილება შეიტანა სახელოსნოში მისი უკეთ მოსაწყობად, მაგრამ წვრილმანებზეც საკმაოდ ბევრი ფული დაიხარჯა.

სამუშაო დაზგები შეღებილია ისეფერ საღებავებით და ზედ მრავალი სხვადასხვა ნაწერები აქვს, ჩვენის აზრით ამ წარწერებში ფულის დახარჯვა უნაყოფოა.

სახელოსნოში დღემდე არ არის გამოყვანილი სინათლე. იანვარში, როდესაც მოწაფეები დაითხოვეს, მოქ. ს. მალაქოვმა დაავალა მთავარ ელექტრო-ტექნიკურ სახელოსნოს მოწაფეთა ბრიგადერს სინათლის გაყვანა ყოველ დაზგის წინ. ბრიგადერი კი თებერვალში შეუდგა მუშაობას. გამოიწერა მასალები საწყობიდან, რაც საწყობში არ აღმოჩნდა ბაზარზე შეიძინა. მუშაობას აწარმოებდენ ელექტროტექნიკურ სახელოსნოს მოწაფეები.

როდესაც დამთავრდა მუშაობა, დაათვალიერეს ნამუშევარი და აღმოჩნდა, რომ იგი არ არის შესრულებული ზაჰესის სისტემაზე, რის გამო საჭირო შეიქნა ერთი თვის ნამუშევრის დანგრევა და ყველა დახარჯული მასალის უნაყოფოდ გადაყრა.

ასე შეასრულა ბრიგადერმა სტრელკოვმა მუშაობა და თავისი დაუდევრობით ამდენი ზარალი მიაყენა რკ. გზას.

უჩინარი.

„ბეჯითი" ტექნიკოსი

უქსში ინჟენერებს, რომ თავი დავანებოთ, მრავალი ტექნიკოსები გვყავნან, რომლებიც ერთი მეორეს ეცილებიან საქმის გაკეთებაში და ცდილობენ, რაც შეიძლება ჩქარა და პირნათლად შეასრულონ აღმასკომის საქმეები. მათ შორის „ბეჯითობაში" პირველი ადგილი უჭირავს უფროსს ტექნიკოსს ტულუშს. მართალია, ტულუში სულ ორი თვეა რაც უფროს ტექნიკოსად მოგვევლინა, მაგრამ მან საკმაოდ გამოიჩინა „უნარიანობა", განსაკუთრებით თავისი საკუთარი ბინის გამშვენიერება-მოწყობაში (მგონებ აღმასკომის ხარჯით).

ამას ჯანი გავარდეს. არავინ არაფერს იტყოდა, რომ მას სამსახურისადმი გამოეჩინა მეტი დაკვირვება და მომჭირნეობა. მაგრამ ტექნიკ ტულუში აქაც მხოლოდ თავის ჯიბეზე ზრუნავს, ვიდრე აღმასკომის კეთილდღეობაზე: ტულუში აბამს ქსელს მოიჯარადრეებთან და ამოწმებს იმ სამუშაოების ანგარიშებს, რომელიც არც გაკეთებულია და არც შესრულებულია არასოდეს.

ჩვენის აზრით ეს აღმოჩენა პირველი არ უნდა იყოს. ტულუშს ამ საქმეზე საყვედური გამოეცხადა, მაგრამ იგი თავქუდმოგლეჯილი დადის და ცდილობს საყვედური როგორმე მოიხსნას თავიდან. სწორედ ამაზე იტყვიან: „მგელი დანარჩენს ჩიოდა, პატრონი წანაღებსაო". მოქ. ტულუში დანარჩენებზე ფიქრობს, იმ დროს, როდესაც მას უფრო მკაცრი სასჯელი ეკუთვნის, ვიდრე საყვედურის გამოცხადება.

მუშკორი გალიორკა.

—:—

უნდა გაიწმინდოს

ორთაჭალის საცდელ-საჩვენებელ ბაღში არევ-დარევასა და უპატრონობას აქვს ადგილი. ყოფილი გამგის, მელიას მეუღლე, პენსიას იღებს და თავისი ქალიშვილიც უწერია სიაში, ამავე დროს კი თვითონაც და მისი შვილიც იქვე სამსახურში ითვლებიან, და ღებულობენ ჯამაგირს.

მოსამსახურე ქალი, რომელიც დაქირავებულია ბაღში მოსაშენებელ ქათმების მოსავლელად, მთლიანათ უნდება მელიას ოჯახის სამსახურს.

გარდა ამისა ბაღში ბევრი რამ არის დაკარგული. ამ ზამთარში ბევრი „ჭილვები" დაიკარგა. ბაღის დარაჯმა მიუთითა გამგეს ამ მოვლენაზე და ეჭვით ქურდიც დაასახელა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

დღეს ქურდი უკვე აღმოჩენილია. იმედია, როგორც მესამე რაიონი, ისე აღმასკომიც ერთხელ და სამუდამოდ აღაგმავენ ასეთებს ამ ბაღიდან.

ისარი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

უსუფთაობა ბუფეტში. სადგ. გურჯაანის ბუფეტში ძალიან უსუფთაო სადილს ამზადებენ. გარდა უსუფთაობისა სადილი ისეთი უვარგისი ხორცისაგან მზადდება, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი ჭამა. ამასთანავე ბუფეტის მოიჯარადრე იმდენსავე ახდევინებს რკ.-გზ. მუშა-მოსამსახურეებს, რამდენსაც კერძო პირებს. საექსპლოატაციო განყოფილებამ ხელშეკრულების დარღვევისათვის მოიჯარადრეს უნდა ჩამოართვას ბუფეტი.

ვ. ი—შვილი.

უცოდინარობის ბრალით. მთ. სახელოსნოს სადურგლო საამქროს მუშამ, მოქ. შ. იმხანაშვილმა, თავისი უცოდინარობით ორჯერ დაამტვრია სახერხი დაზგა № 681. ამით მან საგრძნობი ზარალი მიაყენა რკ.-გზას. სახელოსნოს უფროსმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ლ—ი.

დაუსრულებელი ზედმეტი სამუშაო. „სამშენი"-ს მთავარ კანტორაში და განსაკუთრებით კი ბუღალტერიაში დაუსრულებელი ზედმეტი მუშაობა სწარმოებს. ყოველდღე, გარდა დილისა, თანამშრომლები საღამოს 7 საათიდან 11 საათამდე მუშაობენ. ასეთივე მდგომარეობაა კვირა-უქმე დღესაც. ადმინისტრაციავ, როდის დაამთავრებთ ამ დაუსრულებელ ზედმეტ სამუშაოს.

დაჩაგრული.

საქ. ცაკში

შაბიამანი და გოგირდი ღარიბ გლეხობისათვის

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით სასოფლო სამეურნეო ბანკის საშუალებით ღარიბ გლეხობისათვის ქუთაისის სამაზრო გლეხკომმა დაიკვეთა 3.00 ფუთი შაბიამანი და გოგირდი.

ქვრივ ოლღა ბარდუაშვილის ჩასახლება ახალ ბინაში

ქვრივი ოლღა ბარდუაშვილი თავისი 3 შვილით, რომლის ბინის თაობაზე ამას წინად პატარა 7—10 წლის ბავშვები მეორე შრომის სკოლიდან „საჩივრით" მივიდენ საქართველოს კომპარტიის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში, რასაც მოჰყვა გაზეთ „კომუნისტის" მე-293 №-ში თბილისის საბინაო განყოფილების ერთი პასუხისმგებელი მუშაკის წინააღმდეგ ამხ. ს. მამულიას წერილის დაბეჭდვა სათაურით: „პატარა" ფაქტი დიდი დასკვნისათვის" გუშინ საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ჩაასახლა კარგ ბინაში ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (სახ. № 27).

საქ. სახკომსაბჭოში

მანქანა-იარაღების სარემონტო-სახელოსნოს მოწყობა წნორის წყალზე

სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო წნორის წყალზე (სიღ. მაზ.) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სარემონტო სახელოსნოს მოწყობა.

წინადადება მიეცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს სახელოსნოს მოსაწყობად საჭირო თანხა შეიტანოს თავის 1928—29 წლის ბიუჯეტში.

საბინაო მშენებლობის ფონდის განაწილება

საბინაო მშენებლობის ფონდი 1.215.000 მ. განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: სამრეწველო საბინაო ფონდი—150.000 მან.; აქედან ა) სატყეო მრეწვ. ტრესტს (ბორჯომის სახლის ასაგებით)—100.000 მან., ბ) აბრეშუმის ტრესტს (ოზურგეთში სახლის ასაგებად)—50.000 მან. საქართველოს ს. ს. რ.-ის აღმასკომებს—870000 მან. აქედან—ა) თბილისის აღმასკომს—640000 მან., ბ) სოხუმის აღმასკომს—50.000 მან., გ) ბათომის აღმასკომს—50.000 მან., დ) ცხინვალის აღმასკომს—30.000 მან., ე) ქუთაისის აღმასკომს—50.000 მან. და ვ) გორის აღმასკომს 50000 მან. საბინაო კოოპერაციას 195.000 მან.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. თენეიშვილის მოხსენება.

ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის მუშაობის შესახებ

საქართველოს ცაკთან არსებობს მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია, რომელიც განაცხადა მომხსენებელმა თავის მუშაობას აწარმოებს რესპუბლიკის მაშტაბით.

კომისია განსაკუთრებით ფართო მუშაობას ეწევა თბილისში, ვინაიდან აქ შედარებით მეტია მშრომელი და უსახსრობასა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ქალები.

კომისიამ უმუშევარ ქალებისათვის შრომითი დახმარების აღმოჩენის მიზნით დღემდე თბილისის სხვადასხვა წარმოება—დაწესებულებებთან მოაწყო პატარა სასაუზმე კუთხეები, რომლებშიაც გაერთიანებულია 129 ქალი, კომისიას აგრეთვე გლეხთა ცენტრ. სახლთან გახსნილი აქვს სასადილო, სადაც მუშაობს 14 ქალი. ამ სასადილოდან შემოსული თანხები ხმარდება უმუშევარ ქალებს. გარდა ამისა კომისიას მოწყობილი აქვს ქალთა არტელი „ქალის შრომა", რომელშიაც გაერთიანებულია 124 ქალი. არტელი დაყოფილია პატარა კოლექტივებათ, რომლებიც აწარმოებენ კონფეტების შეხვევას, ამზადებენ ქაღალდის პარკებს და სხ.

უბინაო ქალთათვის გახსნილია თავშესაფარი, რომელსაც დახმარებას უწევს თბ. აღმასკომი, მაგრამ ეს დახმარება ვერ აკმაყოფილებს სახლის მოთხოვნილებას. ამიტომ საჭიროა სახლის სათანადო მოწყობა და გაფართოება. საჭიროა სამკერვალო და სხვა არტელების გარდა, რომლებიც ამჟამად არსებობენ სახლთან, მოეწყოს დიდი სამრეცხაო, სადაც იმუშავებენ კვალიფიკაციის არამქონე მშრომელი ქალები.

სხდომამ დაადგინა თბილისში არსებულ მშრომელ ქალთა დამხმარე ორგანიზაციების მუშაობის შესასწავლათ და მათთვის შესაფერი დახმარების გასაწევათ, გამოკვლეული იქნეს როგორც ქალთა თავშესაფარის, ისე ქალთა შრომის კოლექტივების მდგომარეობა. მათი გამოკვლევა დაევალა განათლების და ჯანმრთელობის სექციებს.

მაზრის კურორტები

შემდეგ სხდომამ მოისმინა ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო ქვე-განყოფილების გამგის ამხ. ჩხეტიას მოხსენება მაზრის კურორტების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებლის ცნობით, მაზრაში არსებობს კოჯორის, მანგლისის, კიკეთის და წყნეთის აგარაკები. კოჯორის აგარაკზე განყოფილებას აქვს 1.889 ოთახი, მანგლისში—203, კიკეთში—66 და წყნეთში—25. ამ აგარაკებზე ოთახების გაცემა დაიწყო თებერვლიდან. მუშა-მოსამსახურეებს გარდა იმისა, რომ ოთახები დაკლებულ ფასებში ეძლევა, საშუალება აქვს ოთახის ქირა გადაიხადონ ნაწილ-ნაწილად 1 ივნისამდე.

მომხსენებლის აზრით საჭიროა მაზრის აგარაკებზე გაძლიერებული იქნეს საკურორტო მშენებლობა და მათი კეთილმოწყობის საქმე, რომ მოაგარაკეთათვის შეიქმნეს ცხოვრების შესაფერი პირობები.

სხდომამ დაადგინა: ეთხოვოს საკურორტო სამმართველოს მაზრაღმასკომთან ერთად გამოყოს და შემოფარგლოს საკურორტო ადგილები; ეთხოვოს გზა-ტკეცილების სამმართველოს—შეაკეთოს აგარაკებზე მისასვლელი ყველა გზები; დაევალოს ჯანმრთელობის განყოფილებას მაზრის აგარაკებზე წელს გაადიდოს სამკურნალო დაწესებულებების რიცხვი; წინადადება მიეცეს ადგილობრივ აღმასკომებს საკურორტო ახალ წამოწყებათა საკითხები შეუთანხმონ ჯანმრთელობის განყოფილებას; მიღებული იქნეს სათანადო ზომები აგარაკების კეთილმოსაწყობათ; მანგლისში აგარაკებზე გაყვანილი იქნეს ელექტრონის სინათლე და წყალი; მანგლისში გაშენებული იქნეს პარკი და მოეწყოს ესტრადა და კინო; მანგლისშივე აგებული იქნეს ახალი შენობა საერთო სასადილოს მოსაწყობად და 3 საგარაკო ტიპის სახლი; მანგლისის აგარაკებზე გაყვანილი იქნეს მისავალი გზები; კოჯორში წელს აგებული იქნეს სასტუმრო 12 ოთახით და ყველა აგარაკებზე გაშენებული იქნეს ნაძვნარის ახალი ტყეები; საფუძვლიანად შეკეთებული იქნეს ყველა საგარაკო სახლები და სასტიკათ იქნეს დაცული სანიტ-პირობები.

სხდომამ დაადგინა მაზრის აგარაკებზე საკურორტო მუშაობის გასაძლიერებლად კომუნალური ბანკიდან გამოთხოვილი იქნეს 50.000 მანეთი.

საბჭოთა პროლეტარულ დემოკრატიის განხორციელების გამოკვლევა

(საქ. მ.-გ. ინსპექციის მასალებიდან)

საქ. მ.-გ. ინსპექციის დავალებით ა.-კ. და საქ. მ.-გ. ინსპექციების მიერ გამოყოფილია ჯგუფი, რომელსაც დაევალა საბჭოთა პროლეტარული დემოკრატიის განხორციელების გამოკვლევა საქართველოში. აღნიშნული ჯგუფი გაიყო ორ ნაწილათ, ერთი ნაწილი უკვე გაემგზავრა აღნიშნული მუშაობის ჩასატარებლად დასავლეთ საქართველოში, ჯგუფის მეორე ნაწილიც აგრეთვე უკვე შეუდგა მუშაობას აღმოსავლეთ საქართველოში; მისი მოქმედების ობიექტებათ აღებულია: ქ. თბილისის საბჭო, სრ. საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება, სამი წარმოება—ა) მთავარი სახელოსნოები ბ) ტრამვაი და გ) 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, სახელმწიფო დაწესებულებებიდან—ა) განათლების სახკომატი, ბ) ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სამმართველო და გ) სახელმწიფო უნივერსიტეტი;; აღებულია აგრეთვე პროფკავშირთა ორგანიზაციები, კოოპერატიული ორგანიზაციები, ქალთა სადელეგატო კრებები და პარტ-კომკავშირის ორგანიზაციები.

ჯგუფის მეორე ნაწილის სამოქალაქო რაიონში შედის აგრეთვე სიღნაღის და ბორჩალოს მაზრები.

ჯგუფის ორივე ნაწილს დავალებული აქვს აღნიშნულ მუშაობაში რაც შეიძლება უფრო ფართოთ ჩააბან მუშურ-გლეხური მასები. ამ მხრით ჯგუფის მეორე ნაწილმა, ქ. თბილისში გამოჰყო ოთხი ქვე-კომისია, რომლებზედაც განაწილებულია ყველა ჩამოთვლილი ობიექტები; ყველა ამ კომისიებს მიჩნეული აქვთ თავიანთი სამოქმედო არე. ქვე-კომისიებში შეგროვილი მასალა დამუშავებული იქნება ყველა ქვე-კომისიების ერთად თავის მოყრით.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

მეორე დღე

პლენუმის მეორე დღის დილის სხდომაზე, რომელიც შესდგა 25 მარტს, მოსმენილ იქნა ამხ. შ. ელიავას ინფორმაციული მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ 1926 წლის 1 ოქტომბრიდან 1928 წლის მარტამდე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციების საფინანსო მუშაობას ახასიათებს ზოგიერთი დეფექტები, როგორიც არის ფინანსიური უდისციპლინობა, ანგარიშწარმოების და საწევრო გადასახადის შეკრების მოუწესრიგებლობა და სხვა. რაც შეეხება თვით თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს, მომხსენებელი ამბობს, რომ საბჭოს ფინანსიური მხარე სავსებით მოწესრიგებულია; არის შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა, ანგარიშწარმოება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული და საერთოდ ფინანსიური მდგომარეობა გამოკეთებულია.

ამავე სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ეგიკოვის და ლეჟავას მოხსენებათა გარშემო. კამათში მიიღეს მონაწილეობა აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის და თბილისის აქტივის წარმომადგენლებმა. ორატორები მეტ წილად ეხებოდენ იმ დეფექტებს, რომლებიც თან სდევს ავიაქიმის მასიურ მუშაობას და მიუთითებდენ იმ გზებზე, რომელიც გამოძებნილ უნდა იქნეს ამ მუშაობის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად.

მეორე დღის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პრეზიდიუმის მოხსენების გარშემო. შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ეგიკოვის და ლეჟავას საბოლოო სიტყვები. მათ პასუხი გასცეს კამათში გამოსულ ამხანაგებს და აღნიშნეს, რომ საერთოდ მუშაობა ბოლო დროს გამოკეთდა და შემდეგში, ადგილებზე მომავალ ამხანაგების ენერგიული მუშაობით დეფექტები აღმოფხვრილი იქნება.

ამხ. ეგიკოვის და ლეჟავას საბოლოო სიტყვების შემდეგ პლენუმმა ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და აღებული ხაზი მუშაობისა სწორად.

ბოლოს არჩეულ იქნა კომისიები პრეზიდიუმის მოხსენების და მასიური მუშაობის რეზოლუციის გამოსამუშავებლად.

მესამე სხდომა

26 მარტს დილით მუშაობდნენ კომისიები რეზოლუციების გამოსამუშავებლად პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის მოხსენებების და მასიური მუშაობის ირგვლივ.

საღამოს სხდომაზე პლენუმის მიერ მოსმენილ და დამტკიცებულ იქნა საზოგადოების წესდება. შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუციები მასიური მუშაობის, გასამხედროების და სოფლად მუშაობის ირგვლივ.

რეზოლუციების მიღების შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ: ამხ. შ. ელიავა, ლევანდოვსკი, ვანო სტურუა; იაკუბოვი; რახმანოვი; შადუნცი; ეგიკოვი; ბარკაია; ს. სტურუა; ალაფუზოვ; რუდენკო; სმირნოვი; ცახილიევი; ვასილჩენკო; აბაშიძე; ზავრიევი; ჯუღელი; შერბაცკი; შახნაზაროვი. კანდიდატებათ არჩეულ იქნენ: გაგრიში; გრიგორიევი; გრიშენკო; მიასნიკოვი; ლეჟავა. შოვი; ქებურია; ზარაისკი; მაკავარიანი; ვერეშჩაკი.

პლენუმმა პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. შ. ელიავა, მოადგილეებათ—ამხ. ლევანდოვსკი და ვ. სტურუა.

ამხ. ვ. სტურუას საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

თბ. მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

მეორე და მესამე სხდომა

სარევიზიო კომისიის მოხსენება

კვირას, დილის სხდომაზე კრებამ მოისმინა მუშკოოპის სარევიზიო კომისიის მოხსენება. მოხსენებებით გამოვიდენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ორლოვი და ივ. მუსხელიანი.

მოხსენების პირველი ნაწილი შეეხებოდა სარევიზიო კომისიის საქმიანობას 1926-27 წლის განმავლობაში.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სარევიზიო კომისია თვეში საშუალოდ გამგეობის საქმიანობის გამოკვლევა-შემოწმებას ახდენდა ხუთჯერ.

მეორე ნაწილი შეიცავდა მუშკოოპის საორგანიზაციო და სამეურნეო მოღვაწეობის ანალიზს.

გაუკეთეს რა დასკვნა გამგეობის საქმიანობას, სარევიზიო კომისიის წარმომადგენლებმა დასძინეს, რომ ეს საქმიანობა საანგარიშო პერიოდში—მიუხედავად მთელი რიგი დეფექტებისა და უარყოფითი მხარეებისა საერთოდ ნაყოფიერი იყო. ამასთან ერთად მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ გამგეობის 1926-27 წლის ფინანსიური ანგარიში შედგენილია სწორად, და წინადადება შეიტანეს კრებაზე მისი დამტკიცების შესახებ.

კამათი

შემდეგ გაიმართა კამათი გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო. კამათი გრძელდებოდა საღამოს სხდომაზედაც.

კამათში გამოსული ორატორები უსაყვედურებდენ სარევიზიო კომისიას უმოქმედობას, ისინი ამბობენ, რომ სარევიზიო კომისია მხოლოდ თვალყურს ადევნებდა გამგეობის საქმიანობას და არ უთითებდა ღონისძიებებზე იმ დეფექტების დასაძლევად, რომლებიც ადგილი ჰქონდა მის მუშაობაში. გამგეობის მუშაობას თითქმის ყველა დამაკმაყოფილებლად სთვლის.

შემდეგ ორატორები მიუთითებენ მთელ რიგ უარყოფით მხარეებზე ვაჭრობის დარგში. სახელდობრ საჭირო ქსელის არამიზანშეწონილად მოწყობა, სასადილოების ზარალიანობა და სხვა.

კამათში შეეხენ აგრეთვე სადუქნო კომისიების მუშაობას. აღინიშნა ამ ინსტიტუტის დიდი მნიშვნელობა კოოპერატიულ საქმიანობაში. რწმუნებულები აყენებენ მთელ რიგ პრაქტიკულ წინადადებებს. ისინი სხვათა შორის, მოუწოდებდენ გამგეობას აიღოს თავის ხელში წევრების შეშით უზრუნველყოფის საქმე.

მორიგი სხდომა გაიხსნება სამშაბათს, დილის 10 საათზე.

ჩაის თესვა გურიაში

საზ. „საქართველოს ჩაის" საცდელი სადგური გურიაში ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს თავისი წლიური გეგმის განსახორციელებლად. ანასეულის საცდელ მინდვრებზე დაიწყო ჩაის სათესლე ჯიშების თესვა. ყოველი სათესლე ჯიში ითესება ცალკე კვალში, რომელიც შემოფარგლულია ცოცხალ ღობით კრიპტომერიისაგან მაღალი ღობით. ასეთი ღობე საჭიროა სათესლე ჯიშების იზოლიაციისათვის იმ მიზნით, რომ არ მოხდეს სხვადასხვა ჯიშების შერევა. სადგურმა სამხრეთ აზიის ჩაის მეურნეობის რაიონებიდან მიიღო ჩაის წმინდა ჯიშები, რომლებიც უმთავრესად ითესება ჩაის სათესლე [illegible]. საცდელ სადგურის ორივე უბანში (ანასეულისა და ჩაქვის უბნებში) ამჟამად მიმდინარეობს ნიადაგის შესწავლა, მისი მექანიკური და ქიმიური ანალიზი. ანასეულის უბანში დამთავრდა აგება მუშათა დიდი საცხოვრებელი სახლის, რომელიც 400-მდე მუშას დაიტევს. სახლთან აგებულია სასადილო. ამ ორ თვეში მუშათა სახლები აგებული იქნება ზედაზე 50 კაცისათვის და ნასაკირალის საცდელ უბანში 50 კაცისათვის. აქვე სწარმოებს წიწვიანი ხის ჯიშების და ტყის [illegible] დარგვა იმ მიდამოების გარშემო, სადაც აშენებული უნდა იქნეს ჩაის პლანტაციები.

ზედამი საპლანტაციო მუშაობა დამთავრებულია ათ ჰექტარზე.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ-ში საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესახებ

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ღონისძიებათა გეგმაშეწონილად და წარმატებით განხორციელებისათვის, რასაც ამ საქმეში უაღრესი მნიშვნელობა აქვს, საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) დაეკისროს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **სიმონ პილატეს-ძე ჯუღელს**—გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი მიმდინარე წელს საქართველოს ს. ს. რ.-ში საგაზაფხულო თესვის კამპანიას, რისთვისაც იგი დაინიშნოს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური თათბირის რწმუნებულად 1928 წ. სათესო კამპანიის განხორციელებისათვის.

2) ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის ამხ. ჯუღელს უფლება მიეცეს:

ა) მოსთხოვოს საქართველოს ს. ს. რ. ყველა ორგანოს, როგორც რესპუბლიკანურს, ისე ადგილობრივს ცნობების წარდგენა სათესო კამპანიისათვის მიღებულ ღონისძიებათა და ამ კამპანიის მსვლელობის შესახებ;

ბ) წინადადება მისცეს ყველა დაწესებულებასა, საწარმოსა, ორგანიზაციასა და თანამდებობის პირს—აღმოფხვრან სასწრაფო წესით სათესო კამპანიისათვის მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს ყოველგვარი ნაკლი და დაბრკოლება, და აგრეთვე მოითხოვოს ასეთ დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლისა და დისციპლინარული წესით;

გ) მოაწყოს, უკეთუ საჭირო იქნება, სათესო კამპანიისათვის მიღებულ ღონისძიებათა გამოკვლევა, რისთვისაც გამოიყენებს საქართველოს ს. ს. რ. ყველა სახალხო კომისარიატისა და დაწესებულების აპარატს.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე: **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 26
თბილისი—სასახლე.

კამპანიის მიმდინარეობა საქართველოში

(საქ. მუშგლეხინის მასალების მიხედვით)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი განუწყვეტლივ ადევნებს თვალყურს საქართველოში საგაზაფხულო თესვის კამპანიის მიმდინარეობას.

კომისარიატის განკარგულებაში არსებულ ცნობებიდან სჩანს, რომ კამპანია მთელს რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება. მაგრამ არის კიდევ ზოგიერთი დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის კამპანიის სრულ წარმატებას.

დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იმ რაიონებში, სადაც სწარმოებს სათესლე მასალების დამზადება, თავის დროზე არ იგზავნება სურსათი. ეს რაიონები განიცდიან სურსათის ნაკლებობას, რაც ხელს უშლის იქ სათესლე მასალების დამზადების ოპერაციებს.

ადგილი ჰქონდა ამასთანავე ორგვარ შეფერხებებს თესვის კამპანიისათვის საჭირო კრედიტების მიწოდებაში, რამაც გავლენა მოახდინა მესაქონლეობის რაიონებისათვის ფურაჟის მიწოდებაზე.

გამოირკვა აგრეთვე, რომ საქართველოში დიდი საჭიროებაა სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანების შემკეთებელ სახელოსნოებზე და მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილებზე. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად მიწადმოქმედების კომისარიატმა და „სოფლის კავშირმა" თავის დროზე მიიღეს სათანადო ზომები.

საკრედიტო ამხანაგობებს მიცემული აქვთ წინადადება თავის დროზე გამოიასყიდონ თესვის კამპანიის ჩატარებისათვის გაგზავნილი საქონელი და დაუყოვნებლივ განაწილონ იგი მოსახლეობას შორის.

კერძოდ საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები ღარიბთა ფონდების განაწილებაში და გამოყენებაში არსებული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად. ამ ფონდების საერთო ჯამიდან უნდა გამოიყოს 60 პროცენტი კოლექტიურ მეურნეობისათვის კრედიტების მისაწოდებლად; ამავე მიზნისათვის გამოიყოფა 40 პროცენტი საერთო კრედიტებიდან.

იმ მასალებიდან, რომლებიც მიღებული აქვს მუშ. და გლეხთა ინსპექციის კომისარიატს რესპუბლიკანურ ორგანიზაციებიდან, სჩანს, რომ ისინი სავსებით ანხორციელებენ დაკისრებულ მოვალეობებს.

ადგილებიდან ჯერ მასალები არ არის მიღებული.

დამატებითი კრედიტები

ამ.-კავკასიის სასოფ.-სამ. ბანკმა რესპუბლიკანურ სასოფ.-სამ. ბანკებს მიმდინარე სამეურნეო წლის მეორე კვარტალის საკრედიტო გეგმის ანგარიშში სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა საჭიროებისათვის გაუხსნა—1.629.000 მანეთის კრედიტი.

აქედან საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკს მიეცა —200.000 მანეთი. ამ თანხიდან—20.000 მანეთი გაცემულია გრძელი ვადით და უნდა მოხმარდეს მეთამბაქოობის საქმეს, დანარჩენი 180.000 მანეთი წარმოადგენს მოკლე ვადიან კრედიტს და ცალკე მეურნეობებზე ნაწილდება შემდეგნაირად: 10.000 მან. კანაფის მეურნეობისათვის, 100.000 მან.—მეაბრეშუმეობისათვის და 70.000 მან.—მეთამბაქოობისათვის.

აფხაზეთის ბანკს მიეცა 30.000 მანეთის გრძელვადიანი კრედიტი მეაბრეშუმეობისათვის.

აჭარისტანის ბანკს სულ მიეცა 25.000 მანეთის კრედიტი, რომლიდანაც—20.000 მანეთი გრძელვადიანია და უნდა მოხმარდეს საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო 5.000 მანეთი—მოკლევადიანი და ის უნდა მოხმარდეს სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლას.

დანარჩენი თანხა ნაწილდება აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებზე.

ამ კრედიტების გახსნასთან ერთად, რესპუბლიკანურ სასოფ.-სამ. ბანკებს წინადადება აქვთ მიცემული, ამ კრედიტებით უზრუნველჰყონ წლევანდელი საგაზაფხულო თესვის კამპანია და სავსებით დააკმაყოფილონ კოლექტიურ მეურნეობათა მოთხოვნილებები.

250.000 მ. საქონლის საკვების დასამზადებლად

იმ რაიონების საქონლის საკვებით მოსამარაგებლად, რომლებიც ამ მხრივ განიცდიან დიდ გაჭირვებას, ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასცა სულ 250.000 მანეთი. აქედან საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკს მიეცა—130.000 მანეთი, აზერბეიჯანისას—70.000 მან. და სომხეთისას—50.000 მანეთი.

რესპუბლიკანურ ბანკებმა ამ თანხებით უნდა უზრუნველჰყონ საქონლის საკვების დამზადებისათვის საჭირო ფინანსების მიწოდება.

მუშათა ბიუჯეტის გამოკვლევა

საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიურომ გადასწყვიტა მიმდინარე წელს 1-ლ აპრილიდან შეუდგეს მუშათა წლიური ბიუჯეტის გამოკვლევას.

გამოკვლევის მიზანია გამოარკვიოს სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშის წლიური ბიუჯეტის რაოდენობა, მისი განაწილება და აგრეთვე ის, თუ რა ადგილი უკავია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ხელფასს და სხვა შრომითი და არაშრომითი ხასიათის შემოსავალს. რაც შეეხება მუშათა წლიური ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს, გამოკვლევა მიზნათ ისახავს დეტალურად გამოარკვიოს მუშის ყოველგვარი ცალკე ხარჯები, როგორიცაა ბინის ქირის, განათების, გათბობის, კვების, ტანსაცმლის, საოჯახო ნივთების შეძენის, კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და სხვა ხარჯები.

წელს საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიურო გამოკვლევას ჩაატარებს მხოლოდ ჭიათურაში და თბილისში. ჭიათურაში გამოკვლეული იქნება მემაღაროეთა წლიური ბიუჯეტი, ხოლო თბილისში მელითონეთა და თამბაქოს ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტი.

გამოკვლევის წარმატებით ჩატარების მიზნით, შერჩეულია აღნიშნულ დარგების სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშა-მოსამსახურეთა ტიპიური ოჯახები, რომლებიც პირველ აპრილიდან შეუდგებიან თავიანთი შემოსავალ-გასავლის ყოველდღიურად ჩაწერა-აღრიცხვას.

მუშათა ბიუჯეტის გამოკვლევისათვის და მუშათა შემოსავალ-გასავლის ჩაწერა აღრიცხვისათვის მეთვალყურეობის და ხელმძღვანელობის გასაწევად საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიურომ გამოყო სპეციალური ინსტრუქტორები, რომლებიც გამოკვლევისათვის შერჩეულ ოჯახებს ამ დღეებში დაურიგებენ სათანადო ანკეტებს და მისცემენ დირექტივებს.

რაც შეეხება ბიუჯეტის ჩამწერ-აღმრიცხველ მუშათა ოჯახების დაჯილდოებას, საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიურო ამუშავებს ამ საკითხს და ახლო ხანში შეუდგება მის პრაქტიკულ განხორციელებას.

ზომა-წონის მუშაკთა ა.-კ. თათბირი

დაიხურა ამიერ-კავკასიის ზომა-წონის პალატათა მუშაკების გაერთიანებული თათბირი, რომელიც გაიხსნა თბილისში 21 მარტს. თათბირს დაესწრენ რესპუბლიკანურ ს. მ. უ. საბჭოს და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ზომა-წონის პალატების მმართველები, რომლებმაც დაახასიათეს გასული საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა. მოხსენების შემდეგ მიღებულ რეზოლიუციებში თათბირი აღნიშნავს, რომ გასული წლის მუშაობა ყველა რესპუბლიკებში დამაკმაყოფილებელი იყო.

თათბირის უკანასკნელ სხდომებზე მოსმენილ იქნა რამოდენიმე სამეცნიერო ხასიათის მოხსენება.

პროფ. ლემლეინმა წაიკითხა მოხსენება ამ.-კავკასიაში დროის განმსაზღვრელ და გამოსაანგარიშებელ ლაბორატორიის მოწყობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა განათლებულ ქვეყნებში არსებობს ასეთი ლაბორატორიები, რომლებიც რადიოთი იტყობინებიან დროს მთელი მოსახლეობისათვის.

მოხსენების გარშემო გამოტანილ რეზოლიუციაში თათბირმა დაადგინა: საჭიროთ და აუცილებლათ იქნეს ცნობილი თბილისშიც მოეწყოს დროის განმსაზღვრელი და გამოსაანგარიშებელი ლაბორატორია, რომელმაც თავისი ცნობები უნდა გამოაქვეყნოს სისტემატიურად ლაბორატორიამ უნდა მიაწოდოს ცნობები ა.-კ. ყველა რესპუბლიკებს, ცალკე დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოსახლეობას. ლაბორატორიის მოწყობისათვის შესაძლოდ მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები. ა.-კ. ზომა-წონის პალატას დაევალოს ლაბორატორიის მოსაწყობ პროექტის დამუშავება და მისი დასამტკიცებლად წარდგენა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოში.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება ა.-კ. ოპტიკური ლაბორატორიის მოწყობის შესახებ.

თათბირმა საჭიროდ აღიარა, რომ თბილისში მოეწყოს ერთი ოპტიკური ლაბორატორია, რომელიც შეიძლება ა.-კ. რესპუბლიკების მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

გარდა აღნიშნული საკითხებისა თათბირმა გაარჩია კიდევ რამოდენიმე საუწყებო ხასიათის საკითხი.

ამერიკული ვაზის ნამყენები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში შესდგა სპეციალური კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა საფრანგეთიდან მიღებულ ამერიკულ ლერწის განაწილების საკითხი.

მიწათმოქმედების კომისარიატს საფრანგეთიდან გამოწერილი ჰქონდა 5.000.000 მეტრი ამერიკული ლერწი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მიღებული იქნა მხოლოდ 2.125,000 მეტრი.

ამის გამო კომისიამ დაადგინა შემცირონ სხვადასხვა ორგანიზაციების დაკვეთები. კომისიის დადგენილებით ძირითად ორგანიზაციებს „სოფლის კავშირის" საშუალებით მიეცემა 977.000 მეტრი, ხოლო დანარჩენი 1.448.000 მეტრი ლერწი გაუნაწილდება მევენახეობის მეურნეობებს, სამაზრო აღმასკომებს, სასოფლო-სამეურნეო სკოლებს და კოოპერატიულ ამხანაგობებს.

ამერიკულ ლერწის მთელი რაოდენობა გაცემული იქნება ვარციხის, მუკუზანის და წინანდლის სადეზინფექციო სადგურებიდან.

წყალდიდობის მოლოდინში

ცნობები გურიიდან

წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა ინსპექტორი დასავლეთ საქართველოში ინჟ. ჯაფარიძე ოზურგეთიდან ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ წყალდიდობა დიდ საფრთხეში აყენებს, როგორც ქალაქ ოზურგეთს ისე მთელ ოზურგეთის მაზრას.

მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად ზოგან უკვე დაწყებულია სამუშაოები. წყალდიდობასთან საბრძოლველად გადადებული თანხა საკმაო იქნება ყველა განზრახულ სამუშაოთა შესასრულებლად.

ცნობები ჰიდრომეტრიული სადგურებიდან.

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ მიწერილობები დაუგზავნა ამიერ კავკასიაში არსებულ ყველა ჰიდრო-მეტრიულ სადგურებს, რომ მათ ყოველგვარი ცნობები წყალდიდობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ დეპეშით სათანადო რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოებს.

ცნობები ქუთაისის მაზრიდან.

ქუთაისის სამაზრო სამელიო იტყობინება, რომ თითქმის მთელ მაზრაში დაწყებულია სამუშაოები მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად.

ხონი. მოსთხოვეს მდ. ცხენისწყალზე ძველად აგებული ჯებირების განახლება და სწარმოებს ქვების მოზიდვა ახალი ჯებირების გასაკეთებლად. მუშაობას ხელმძღვანელობენ ტექნიკოსები.

ცხენისწყალი წალეკვით ემუქრება აგრეთვე [illegible] რაიონს. აქედან დაწყებულია მუშაობა ნაპირების გასამაგრებლად. გლეხები დიდის ხალისით გამოდიან სამუშაოებზე და ჯებირების აგებაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ს. ვანის რაიონში დიდი საფრთხე შექმნილა მდ. სულორისა და რიონის გაერთიანების შესაძლებლობით. თუ ეს ორივე მდინარე ადიდდა, მოსალოდნელია მათი გაერთიანება და სოფელი დიდ საფრთხეში ჩავარდება.

ბაღდად-დიმის რაიონში ამორჩეულია ჯებირების საკეთებელი ადგილები. მზადდება ქვები და სატყეო მასალა.

სამტრედიაში.

წყალდიდობასთან მებრძოლ ქუთაისის სამაზრო სამელიო იტყობინება, რომ სამტრედიის მახლობლად მდ. რიონის ნაპირების გამაგრება, როგორც ეს სპეციალისტების დასკვნიდან სჩანს, ამჟამად შეუძლებელია. არის საფრთხე, რომ რიონი გადმოხეთქავს ნაპირებიდან და გადალახავს ქალ. სამტრედიის სამხრეთ ნაწილს.

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მოსახლეობა გაფრთხილებულია და მზადდება ნავები ყოველი შემთხვევისათვის.

ქრონიკა

1907 წელში დაბადებულთა მიწერა გასაწვევ უბნებზე

დამთავრდა 1907 წელში დაბადებულ ახალგაზრდების მიწერა გასაწვევ უბნებზე. სამხედრო კომისარიატები ამჟამად ამუშავებენ მიწერის მასალებს.

იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს მიწერაზე გამოცხადება უფლება აქვთ გამოცხადდენ მისაწერათ 1-ლ აპრილამდე, რის შემდეგაც მიწერა შეწყდება.

ოქრო ვერცხლის დადაღვის ახალი წესი.

ოქრო-ვერცხ. ნივთების ხარისხის და ღირსების შესამოწმებლად ყველა ქვეყნებში შემოღებულია მათზე დაღის დასმა. უკანასკნელ დრომდე ჩვენში ოქრო-ვერცხლის დაღი აღინიშნებოდა რუსული სისტემის სინჯებით. სინჯი ეთანხმებოდა რუსული გირვანქის ნაწილებს—მისხლებს (გირვანქაში 96 მისხალი, მისხალი—9 ნაწილი). ოქროს ნივთებისათვის ოფიციალური სინჯი უდრიდა—56, 72, 92, ვერცხლისათვის კი 76, 84, და 88 ნაწილს;

ჩვენში მეტრიული ზომა-წონის შემოღების შემდეგ დაისვა საკითხი, რომ ოქრო-ვერცხლის ნივთების დადაღვაც და მათზე სინჯების დასმა მომხდარიყო მეტრიული სისტემით, ანუ იმავე წესით, როგორც ეს შემოღებულია ყველა ქვეყნებში.

მეტრიული სისტემის მიხედვით ოქროს ნივთების სინჯი იქნება—583 და 958. ვერცხლის ნივთებისათვის კი 800, 805 და 916.

თბილისის აღმასკომში

◆ **ზოოლოგიური ბაღის** მოსაწყობათ მიმდინარე წელს თბ. აღმასკომი დახარჯავს 70 ათას მანეთს.

◆ **საბავშო მოედნები.** განათლების განყოფილებას დაევალა გააფართოვოს საბავშო მოედნების ქსელი.

სოციალ. დაზღვევის მთ. კომიტეტში.

◆ **დოტაცია.** სოც. დაზღვევის მთ. კომიტეტმა ქიათურის დამზღვევ სალაროს დოტაციის სახით გადაუგზავნა 10 ათასი მანეთი მუშაობის გასაფართოვებლად.

◆ **პენსიონერების გამოკვლევა.** სოც-დაზღვევის კომიტეტმა დაადგინა გამოიკვლიოს ეს თუ ის პენსიონერი რამდენათ სწორათაა ჩარიცხული შრომის უნარის დაკარგვის მიხედვით სათანადო კატეგორიაში.

◆ **ადგილობრივ დამზღვევ სალაროებს** წინადადება მიეცათ ყოველ თვის 15-ში კომიტეტს რეგულიარულად გამოუგზავნონ თავიანთი მუშაობის ანგარიშები.

◆ **დახმარების გაცემა უმუშევრებზე.** სოც-დაზღვევის მთ. კომიტეტის დადგენილებით თბ. დამზღვევ სალაროდან უმუშევრებზე ყოველგვარი სახის დახმარების გაცემა იწარმოებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 ნახ. საათამდე.

პროფკავშირებში.

◆ **კონფერენცია.** დღეს, საღამოს 6 ს. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის საერთო საქალაქო კონფერენცია.

◆ **დახმარება.** სამთომადნო კავშირმა თავის უმუშევარ წევრებისათვის დახმარების გასაწევად გადასდო 889 მანეთი.

◆ **მუშათა ახალი სახლი.** სურსათ-გემოვნების კავშირმა გადასწყვიტა თავის წევრებისათვის თბილისში აგოს ახალი საერთო საცხოვრებელი.

◆ **მედსანშრომის საკავშირთაშორისო** პირველი კონფერენცია შესდგება აპრილის შუა რიცხვებში თბილისში.

სხვადასხვა

◆ **უმუშევარ ქალთა კოლექტივი.** შრომის ბირჟასთან დაარსდა უმუშევარ მრეცხავ ქალების კოლექტივი „გიგიენა“, რომლის საშუალებით სწარმოებს მოსარეცხ ქალების სამუშაოზე აყვანა.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 70-ში სასამართლოს აღმასრულებელ დანელის განცხადებაში პანაოტ ანდრიეს ქონების საჯ. ვაჭრობის გაყიდვის /შესახებ—შეცდომით გამოტოვებულია. „კლარა ცეტკინის ქუჩაზე“.

ხელოვნება

სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში

თბილისის მეორე მუსტეხნიკუმის საჩვენებელი ღია საღამო.

მეორე მუსტეხნიკუმის ღია საღამო ჩვენ გვაინტერესებდა არა მოწაფეების შემოქმედების უნაკლობის მხრივ, არამედ იმ მხრივ, რომ ეს საღამო იყო შეფასება საერთო ნაყოფიერებისა, რომელიც გამოსჭვიოდა ამა თუ იმ პედაგოგის მიერ მიღებულ ხაზში. ამ შემთხვევაში დიდ ყურადღებას იპყრობენ როიალის კლასები რეიმანის და ანიევას ხელმძღვანელობით. სჩანს რომ ამ პედაგოგების მიერ დახარჯულია აუარებელი შრომა და ამაგი თავის მოწაფეებში საერთო მუსიკალურ განვითარების და მშვენიერ გემოვნების განსავითარებლად. სჩანს აგრეთვე, რომ ტეხნიკური გავარჯიშება მოწაფეებს არ მოკლებულია მექანიკურ უსულობას და მთელი ყურადღება მიმართულია ბგერათა სხვადასხვა ხასიათის შეგრძნობისაკენ და გრძნობის მეტყველებისაკენ. ზემოხსენებულ პედაგოგების მიერ მიღებულ ხაზის შესანიშნავ თვისებას შეადგენს კიდევ ის გარემოება, რომ მასში ემჩნევა ფრთხილი მოკიდება მოწაფის ინტუიტურ ინდივიდუალობასთან: აუდიტორიამ დიდის სიამოვნებით მოისმინა ამ მოსწავლეთა მიერ როიალზე შესრულებული შერჩეული თხზულებანი. ჩვენის აზრით, მოწაფეთა შორის მუსიკალურ პოტენციალობის მიხედვით ყურადღებას იპყრობენ ეგაძე, ამაშუკელი, ბუკია, ზედგინიძე, დუნენკო და მეტადრე რიჩზენფელდი,

სხვა კლასები დაყენებულ ჩვეულებრივად მიღებულ სისტემის მიხედვით. (ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ კლასებში მოსწავლენი)

თუ ცალკე მოწაფეები სტოვებენ ნიჭიერების შთაბეჭდილებას, ასეთივე შთაბეჭდილება არ რჩება სამოსწავლო სისტემიდან. მაგალითად, ვიოლინოზე მოსწავლე გრიგორიანის შემოქმედება ფრიად საინტერესოა არა პედაგოგიურ სისტემის, არამედ ამ ბავშის პირად თვისებების მიხედვით. სასიმღერო კლასი წარმოდგენილი იყო რამოდენიმე მოწაფეთა სიმღერით. ამ მოწაფეთა შორის ყურადღებას იპყრობენ თავისი ვოკალური მასალით: ენგიბაროვა და ტენორი სულხანიშვილი. ის გარემოება, რომ მათ დაეკისრათ იმისთანა სასიმღერო ნიმუშების შესრულება, რომელნიც გამოუსადეგარი არიან დაუმუშავებელ ხმებისათვის—გვაიძულებს მივსცეთ ტეხნიკუმის სასიმღერო კლასს რჩევა მოსწავლეთა ხმოვანების სასიმღერო ცენტრის განმტკიცებამდე, საოპერო არიების შესწავლიდან თავი შეიკავონ და მთელი ყურადღება მიაქციონ უბრალო, მაგრამ სავარჯიშო და ნაყოფიერ ნიმუშებზე.

კოტე მეღვინეთუხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

მოცეკვავეთა კოლექტივი

ახლო ხანში თბილისში სტგასტროლოთ ჩამოვა მოცეკვავეთა კოლექტივი ვერა მაის ხელმძღვანელობით. კოლექტივი შეასრულებს ახალ რევოლიუციონურ ცეკვას.

„თანამედროვე ლიტერატურა“

დღეს, 27 მარტს, საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის კლუბში შესდგება სიტყვიერების დარგთან არსებულ ლიტერატურულ წრის საჯარო კრება, რომელზედაც ამხ. დ. რონელი წაიკითხავს მოხსენებას: „საქართველოს თანამედროვე ლიტერატურა“. კამათში გარდა ადგილობრივი ძალებისა მოწვეულნი არიან: სერგო ამაღლობელი; ბენიტო ბუაჩიძე; შ. ლუდუჩავა; ვ. კოტეტიშვილი; გ. ლუარსამიძე; გ. მაჭავარიანი; შ. რადიანი; ა. სულავა; ტ. ტაბიძე; ბ. ჟღენტი; ს. ჩიქოვანი; კ. ფოცხიშვილი და სხ.

◆ **„ევგენი ონეგინი“.** დღეს ოპერის თეატრში გოლოვინის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინი“.

◆ **„ჯანყი გურიაში“.** მაისის პირველ რიცხვებში თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი „ჯანყი გურიაში“.

◆ **საოპერო კოლექტივი.** ხელოვნების მუშაკთა კავშირმა შეადგინა უმუშევარ მომღერალთა კოლექტივი, რომელიც კონცერტებს გამართავს პროვინციებში.

◆ **„კაცი პორტფელით“.** მუშათა თეატრში დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება პრემიერა, „კაცი პორტფელით“.

◆ **კომპ. პროკოფიევი.** აპრილის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოვა ცნობილი პიანისტი და კომპოზიტორი პროკოფიევი, რომელიც გამართავს რამოდენიმე კონცერტს.

◆ **„ლიანა ლორიდია“.** რედაქციამ მიიღო საფო მგელაძის წიგნი: „ლიანა ლორიდია“. წიგნი შეიცავს 105 გვ. ღირს 1 მან. გამოცემა მწერალთა კავშირის მაღაზის.

◆ **ნ. ასლამაზიშვილის მოთხრობები.** რედაქციამ მიიღო ნიკო ასლამაზიშვილის მოთხრობების წიგნი, გამოცემა საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციისა. წიგნი შეიცავს 64 გვერდს და ღირს 25 კაპ.

— პოეტ გ. ქუჩიშვილის 20 წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის აღსანიშნავად, 31 მარტს თელავში თელავის პედაგოგიურ ტეხნიკუმის მსმენელთა თაოსნობით გაიმართება დიდი საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ქუჩიშვილიც.

რადიო-გამოფენა

საქართველოს რადიო-მეგობართა საზოგადოების შენობაში გაიხსნა რადიო-გამოფენა. გამოფენის მიზანია გააცნოს ფართო საზოგადოებას თანამედროვე რადიო-ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები და კერძოთ რადიო-მეგობართა საზოგადოების მუშაობა საქართველოს რადიოფიკაციის დარგში. გამოფენა შეიცავს ოთხ განყოფილებას.

საფაბრიკო აპარატურის განყოფილება გამოფენაზე წარმოდგენილია სუსტ დენზე მომუშავე მიმღები რადიო-აპარატების, რეპროდუქტორის და გამზომ იარაღების სახით. ყველა ეს ექსპონატები რადიო-ტეხნიკის უკანასკნელი დასრულებული მიღწევებია.

გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რადიო-მოყვარულთა აპარატურის კუთხე. აქ უმთავრესად წარმოდგენილია თვით რადიო-მოყვარულთა მიერ გაკეთებული რადიო-მიმღები აპარატები და [illegible] საკვები იარაღები.

რადიო ლიტერატურა გამოფენაზე წარმოდგენილია დიდის რაოდენობით. სალიტერატურო განყოფილება შეიცავს თანამედროვე ყველა პერიოდულ ორგანოებს რადიო-ტეხნიკაზე. რუსული რადიო-ლიტერატურის გარდა გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია საზღვარ-გარეთულ ჟურნალ-გაზეთებს და სპეციალურ შრომებს რადიოზე.

გამოფენაზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოკლე ტალღებით მომუშავე აპარატურის განყოფილება.

გამოფენაზე უმთავრესად წარმოდგენილია რადიო-მოყვარულთა ძლიერ გაკეთებული მოკლე ტალღებით მიმღე-გადამცემი აპარატების ტიპები.

რადიო-გამოფენა დიდძალ საზოგადოებას იზიდავს. პირველი დღის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 1.200 კაცმა.

გამოფენა გასტანს რამდენიმე დღე.

ვ.

ახალი ექიმები

1927—28 სამოსწავლო წლის დეკემბერ-იანვრის სესიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრეს და ექიმის წოდება მიიღეს შემდეგმა პირებმა:

ავალიშვილი ხალიმე დიმიტრის ასული, ალიხანოვი მარიამ სტეფანეს ასული, არაქელოვი რუბენ კონსტანტინეს ძე, ბოკერია-გურგენიძისა ალექსანდრა, ბლაგოვეშჩენსკაია-ხიდირბეგიშვილი ბარბარე, ბურთიკაშვილი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, ბოლქვაძე ვასილ არსენის ძე, გაბუნია აკაკი გრიგოლის ძე, გაბუნია ვასილ საჩინოს ძე, გაფრინდაშვილი ტერენტი მალხაზის ძე, გაჩეჩილაძე-იოსელიანი ირაიდა, გედევანიშვილი დიმიტრი მიხეილის ძე, გვირდწითელი ანასტასია პლატონის ასული, გიგინეიშვილი მიხეილ კონსტანტინეს ძე, გოგუაძე პეტრე ფილიპეს ძე, გოკიელი თამარ გაბრიელის ასული, გოცაძე კალისტრატე მიხეილის ძე, დოლიძე ილია თედორეს ძე, დოჭვირი ივანე დავითის ძე, ესაიანც არტემ გალუსტის ძე, ვარძიგულაშვილი ნინო გიორგის ასული, ვარძიელი ლევან პავლეს ძე, ვაჩნაძე ანა ვასილის ასული, ზამბახიძე ვლადიმერ მასიკოს ძე, ზამთარაძე ანტონის ძე, თოფურია ივანე ათანასეს ძე, კაკაბაძე ლავრენტი ამბაკოს ძე, კეჩხუაშვილი მარიამ გრიგოლის ასული, კოპალეიშვილი ბარნაბ ილარიონის ძე, კორკოტაშვილი მარიამ გიორგის ასული, კორძახია ილია ეგნატეს ძე, ლაფერაშვილი გრიგოლ ბესარიონის ძე, ლეჟავა ალექსანდრე სამსონის ძე, ლორთქიფანიძე შალვა სერაფიონის ძე, ლოლუა ვალერიან ანტონის ძე, მათიაშვილი იოსებ გრიგოლის ძე, მაჭარაძე სიმონ ერასტის ძე, მდივანი სერგო ისიდორეს ძე, მეგრელაძე ვერა გიორგის ასული, მეგრელიშვილი ნიკოლოზ ჯაბულის ძე, მიქაძე აქსენტი თომას ძე, მკერვალიშვილი თამარ ონისიმეს ასული, მჭედლიშვილი ევდოხია ნიკოლოზის ასული, მჭედლიშვილი თომა ნიკოლოზის ძე, მჭედლიანც ბარსეღ გრიგოლის ძე, ნაზაროვი ვალენტინა სიმონის ასული, ნიკოლაიშვილი გრიგოლ კონსტანტინეს ძე, ნიკოლაიშვილი სერგო კონსტანტინეს ძე, ონანოვი არმენაკ ნიკოლოზის ძე, ჟღენტი მირიან ნიკოლოზის ძე, რატიანი ნოე ლუკას ძე, რობაქიძე თამარ ივანეს ასული, რუსაძე ნინო (ვენერა) ამირანის ასული, რცხილაძე ირაკლი მიხეილის ძე, სანადირაძე მარიამ პარმენის ასული, სალარაძე პლატონ სპირიდონის ძე, საყვარელიძე მარგარიტა ალექსის ასული, სისაკიანც არამ პოღოსის ძე, სულაქველიძე ვლადიმერ მიხეილის ძე, სულხანიშვილი ივანე იოსების ძე, ტატიშვილი ირაკლი იაკობის ძე, უთნელიშვილი თამარ ზაქარიას ასული, ფარადაშვილი მარიამ გიორგის ასული, ქავთარაძე ვლადიმერ გიორგის ძე, ქარდავა ვერა დავითის ასული, ქართველიშვილი ელენე ბეგლარის ასული, ღვამიჩავა ანდრია რომანოზის ძე, შათირიშვილი შალვა გიორგის ძე, შარვაძე შალვა გრიგოლის ძე, შენგელია თადეოზ ერასტის ძე, ჩიტაძე დავით სერგოს ძე, ჩიტალაძე ლიდია ჩიტაძე დავით სერგოს ძე, ჩიტალაძე ლიდია გრიგოლის ასული, ცაგარელი გიორგი ალექსანდრეს ძე, ძნელაძე აპოლონ გიორგის ძე, ჭანიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, ხითარიშვილი იაკობ სტეფანეს ძე, ხუხუნი ევგენი მიხეილის ძე, ჯანდიერი ნიკოლოზ რაჟდენის ძე და ჩიქოვანი ალექსანდრე ივანეს ძე.

მიწათმოწყობა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეადგინა მიწათმოწყობის ჩატარების გეგმა.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, დღემდე მიწათმოწყობა დამთავრებულია მთელ საქართველოში 365.852 ჰექტერის სივრცეზე. მოუწყობელი დარჩა 1.851.138 ჰექტარი. მთელი ეს სივრცე უჭირავს 4.439 სოფელს, რომელთა 30 პროცენტი მცირე რიცხოვან მოსახლეობისაგან შესდგება.

მიწათმოწყობის ახალი გეგმის მიხედვით მიწათმოწყობის ჩატარების ხარჯებს გაიღებს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი, სამაზრო აღმასკომები და ადგილობრივ მოსახლეობის შეძლებული ნაწილი. დღემდე ჩატარებულ მიწათმოწყობის საქმეზე დახარჯულია 244.000 მანეთი.

ახალი გეგმით მიწათმოწყობის სათანადოთ ჩასატარებლად და უახლოესი 7 წლის განმავლობაში დასამთავრებლად ყოველ წლიურად საჭირო იქნება 251 მიწისმზომელი.

საჭირო რიცხვის მიწისმზომელთა მოსამზადებლად სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსებულია მიწის მზომელთა და გეოდეზიის კათედრა, სადაც მომზადებული იქნება უმაღლესი ცოდნის მიწისმზომელები.

ვინაიდან უნივერსიტეტი ვერ შესძლებს ყოველწლიურად მიწისმზომელთა საჭირო რაოდენობის გამოშვებას, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა თბილისში გახსნას მიწისმზომელთა კურსები, რომელზედაც პირველ წელიწადს მომზადებული იქნება 100 კაცი, ხოლო შემდეგ წლებში 50 მიწისმზომელი. კურსებზე მყოფთ დაენიშნებათ სტიპენდია 25 მან. რაოდენობით თვეში. გარდა ამისა განზრახულია გაიხსნას მიწისმზომელთა გადასამზადებელი კურსები, რომელზედაც მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით.

მიწსახკომის გეგმით მთელ საქართველოში მიწის მოწყობა დამთავრდება 7 წლის განმავლობაში.

სასამართლო

მადიანი ხალხი

საბრალდებლო სკამზე ზის ორი მოლარე: ნიკოლოზ ხვედელიძე და ხევერიან დათუაშვილი.

როგორც საბრალდებლო დასკვნიდან სჩანს, ორივე მოლარეს კარგი ჭამის მადა ჰქონია.

ნიკოლოზ ხვედელიძე 1925 წლიდან თბილისის საქონლის სადგურის მოლარე იყო. საფუთო გადასახადი, რომელიც დაწესებულია ტვირთებზე ქალაქის აღმასკომის სასარგებლოდ, ხვედელიძემ თავისი ოჯახური კეთილდღეობის გასაუმჯობესებელ ფონდათ გაიხადა და იმდენი უპატივცემლობა გამოიჩინა აღმასკომისადმი, რომ შემოსული თანხა კი არა, გაცემულ ქვითარების ასლებიც არ შეუნახა მას. საერთოდ, ხვედელიძე, როგორც სჩანს, ქვითარების სისტემის მტერი ყოფილა. ფულის შემომტანსაც არ აძლევდა, უმეტეს შემთხვევაში ქვითარებს და თუ კარგს ხასიათზე იქნებოდა და ქვითარს გამოსწერდა, მიღებულ თანხის მესამედსაც არ აღნიშნავდა მის ასლზე.

ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ მის გარდა არავის სცოდნოდა, რამდენს ითვისებდა ხვედელიძე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ საფუთო გადასახადი მოიკითხა აღმასკომმა, მოითხოვა ფულიც და სათანადო გასამართლებელი საბუთები. სამწუხაროდ, არც ფული აღმოჩნდა და არც საბუთები. ძნელი შეიქნა იმის სისწორით გამორკვევა, თუ რამდენი შეჭამა ხვედელიძემ. იმ მასალების მიხედვით, რომელიც საგამომძიებლო ორგანოებმა დააგროვეს, შეიძლება ითქვას, რომ ხვედელიძეს კარგი ჭამის მადა ჰქონია: რადგაც ერთი წლის განმავლობაში 9.000 მანეთამდე „გაუცოცხლებია“.

ხვედელიძე დააპატიმრეს და როცა მის სახლს ჩხრეკდენ, ნახეს „შავი დღისათვის“ საგულდაგულოდ შენახული 5.500 მანეთი.

მეორე ბრალდებული ხევერიან დათუაშვილი ქალაქის სადგურის 1 განყოფილების მოლარე იყო. ისიც საფუთო გადასახადზე ითბობდა ხელს. მასაც ქვითრების გამოწერის დროს ყოველთვის „შეცდომა მოსდიოდა“ და აღმასკომში წარსადგენ საბუთში შეჰქონდა მიღებულ თანხაზე გაცილებით ნაკლები რაოდენობა.

ისიც „სჭამდა“, მაგრამ ხვედელიძეს ვერ გაუთანასწორდა ჭამაში. მან მხოლოდ 1950 მანეთის გაფლანგვა მოასწრო დაპატიმრებამდე.

სასამართლოში ხვედელიძე ლაპარაკობს, რომ საბუთების დამზადება დაუგვიანდა, თორემ მთელი თანხა, რომელიც მას მითვისებულად და გაფლანგულად ჩაუთვალეს, სახლში ეწყო ხელუხლებელი და აპირებდა ჩაბარებას. სადაც ჯერ არის. სხვათა შორის ხვედელიძემ დავალიანება დაფარა დაპატიმრების შემდეგ.

დათუაშვილი თავის სცნობს დამნაშავედ მხოლოდ 1.300 მანეთის გაფლანგვაში და აცხადებს, რომ ეს მას ოჯახურმა გაჭირვებამ ჩაადენინა, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 600 მანეთს, მან არ იცის ამ თანხის ბედი. ალბად ვინმეს „გადაყლაპულიო“—ლაპარაკობს ბრალდებული.

საქმეს არჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით ბრალს სდებს პროკურორი გაბუნია, ბრალდებულებს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი—მ. ღვამიჩავა.

ტყუილს მოკლე ფეხი აქვს

თელავის სადგურში გასულ წელს აპრილში გატეხეს და გაქურდეს რკინის გზის საწყობი.

მეორე დღეს გაქურდულ საწყობის მახლობლად იპოვეს ერთი ჯოხი, ბუხრის ქუდი და რკინის ლომები.

შემთხვევის ადგილას სასწრაფოდ გამოცხადდენ ხელისუფლების წარმომადგენლები. დაიწყო დამნაშავეების ძებნა. ეჭვით დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე მოქალაქე.

— სწორედ იმ საღამოს, როცა ქურდობა მოხდა, სადგურის ბუფეტში სამი კაცი ქეიფობდა, რომელთა შორის ერთს ბუხრის ქუდი ეხურა,—ლაპარაკობს წინასწარ გამოძიების დროს ერთი მოქალაქე.

— ეს ჯოხი თომა ხაჩოშვილს დაუნახე გუშინ ხელში,—სთქვა მეორემ.

— ეს ქუდი ვანო ოთარაშვილის ქუდს ჰგავს, —ამბობს მესამე.

დააპატიმრეს ეჭვით ვანო ოთარაშვილი.

— ჩემთან რა გინდათ, მე იმ ღამეს თელავში სულაც არ ვყოფილვარ. მართალია, მე ბუხრის ქუდს ვიხურავ, მაგრამ ეს ჩემი ქუდი არ არის.

— სად არის თქვენი ქუდი?—ეკითხებიან ოთარაშვილს.

— ქუდი სხვას ვათხოვე,—ამბობს ოთარაშვილი და არ ასახელებს ვინ არის ეს „სხვა“.

დააპატიმრეს თომა ხაჩოშვილი.

— მართალია, ეს ჩემი ჯოხია, მაგრამ ამ ორი დღის წინ ვიღაცამ ხელიდან გამომართვა სადგურში და დამეკარგა, მადლობელი ვარ. რომ გინახავთ და ალბად, დამიბრუნებთ,—ამბობს ხაჩოშვილი.

ლომი აღმოჩნდა ვასილ ნადირაძის. სამივე დააპატიმრეს და მოათავსეს მაზრის მილიციის აპატიმრო ოთახში.

ოთარაშვილმა, რომელიც გადაჭრით უარჰყოფდა გაქურდვაში მონაწილეობას, მეორე დღეს გასტეხა საპატიმრო და გაიქცა. აისხა თოფ-იარაღი და გადაიკარგა.

მილიციის თანამშრომლებმა მიაგნეს ოთარაშვილის კვალს და წინადადება მისცეს დამორჩილებოდა ხელისუფლებას. ოთარაშვილმა საპასუხოდ ტყვია გააწვიმა. მილიციელებმაც აუხსეს სროლა და როცა გამოსავალი აღარ ჰქონდა ოთარაშვილს, უკანასკნელმა დაჰყარა ფარ-ხმალი.

ქურდები გაასამართლა თელავის სამაზრო სასამართლომ. ვანო ოთარაშვილს როგორც ყაჩაღს, მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. თომა ხაჩოშვილს—მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, ხოლო ვასილ ნადირაძეს—2 წლით. მსჯავრდადებულებს შეეფარდათ ამნისტია. ოთარაშვილს დახვრეტა შეეცვალა 10 წლის პატიმრობით, დანარჩენებს სასჯელი გაუნახევრდათ.

ვერ.

ბიბლიოგრაფია

მუშა-მოსამსახურის დათხოვნა არსებულ შრომის კანონმდებლობით

გამომცემლობა „შრომა“.

სამუშაოდან დათხოვნის საკითხები წარმოადგენს მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვან მომენტს საბჭოთა შრომის კანონმდებლობა ყოველმხრივად იცავს მშრომელის ინტერესებს სამუშაოდან უსამართლო დათხოვნისაგან. ამ საკითხის შესახებ შრომის კანონმდებლობაში ბევრი დადგენილებები და მითითებანი არის, რაც სრულიად იცავს მუშა-მოსამსახურის ინტერესებს. მიუხედავათ ამისა ადგილი აქვს დათხოვნის ირგვლივ კონფლიქტებს და უკანონო დათხოვნებს. ხდება ეს არა იმიტომ, რომ სახელმწიფო წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაცია განზრახ არღვევდეს საბჭოთა შრომის კანონებს, არამედ უმეტეს ნაწილად იმიტომ, რომ კანონით დაწესებული დათხოვნის წესები ბევრმა არ იცის. ეს წესები არ იცის სამეურნეო მუშაკმა. არის შემთხვევები, რომ არ იცის თვით პროფესიონალური ორგანოს წარმომადგენლემაც. ეს უცოდინარობა კი იწვევს კონფლიქტებს, და რამდენიმე თვეების განმავლობაში საქმის სხვადასხვა საკონფლიქტო ინსტანციებში გატანტურებას. შედეგად ამას თან მოსდევს რამოდენიმე თვეების განაცდენის მიცემა და სხვა.

უნდა ითქვას,—რომ არსებული შრომის კანონმდებლობის ცოდნა ძნელია, როგორც პროფმუშაკისათვის, ისე სამეურნეო ორგანოებისათვის. ის არ არის ისე თავმოყრილი და დალაგებული, რომ შეიძლებოდეს ყველასათვის დიდ ენერგიის დაუხარჯველად ამა თუ იმ საკითხების შესახებ ცნობის მიღება. ერთ და იმავე საკითხის შესახებ დადგენილებები და და განმარტებები უნდა ეძიოთ სხვადასხვა წყაროებში. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ამ საქმისათვის დახელოვნებულ პირებისათვის.

გამომცემლობა „შრომა“-ს გამოცემული წიგნი „მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა არსებული შრომის კანონმდებლობით“, წარმოადგენს პირველ ნაშრომს, სადაც თავმოყრილია ყველაფერი ის, რაც შეეხება დათხოვნას. წიგნში მოყვანილია დათხოვნის სხვადასხვა მომენტები: დათხოვნა შტატების შემცირების გამო, წარმოების შეჩერების, უვარგისობის, ბოროტ-მოქმედების გამო და სხვა შემთხვევებში. წიგნში მთლიანად ამოწურულია დათხოვნის ყველა საკითხი.

წიგნი სამუშაოთ სახელმძღვანელო იქნება და მისი გამოყენება საგრძნობლად შეამცირებს კონფლიქტებს და დათხოვნის საკითხებში კანონის დარღვევებს.

წიგნი შედგენილია შემდეგი ავტორებისაგან: **ბუაძე, ენგიბაროვი, ქართველიშვილი, კუსიკოვი, ნარიმანოვი და თუმანოვი.** გამოდის ს. კოდაბრელიძის რედაქციით. შეიცავს 172 გვერდს. ღირს 1 მან. 25 კაპ.

ნაშრომი გამოცემულია მხოლოდ რუსულ ენაზე. სასურველია ამგვარი ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემაც. **შ. ლეკ—ლი.**

ჭადრაკი

პროფკავშირთაშორისო მასიური ტურნირი

კვირას, 25 მარტს, მუშათა ახალ კლუბის შენობაში შესდგა პროფკავშირთაშორისო მასიური ტურნირის პირველი და მეორე ტური. ტურნირის 60 მონაწილედან მეორე ტურის შემდეგ დარჩა 45 კაცი. დანარჩენები გამორიცხულ იქნა ტურნირის პირობების მიხედვით. ჯერ-ჯერობით დაუმარცხებლად მიდიან: **ჭყონია, ულუხანოვი, ოქროპირიძე, ზაიცევი, აკოპოვი, მარკასიანი, ალექსანდრიანი, აპრესიანი, კოპილევიჩი** (14 წლის ბავშია), **როლოვი, პაპავჯანოვი, ხარალიძე, შირხკი და ბ. ჭყონია.**

ერთდროული სეანსი

პარასკევს, 30 მარტს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ვ. გოგლიძე გაითამაშებს ერთდროულ სეანს რამოდენიმე დაფაზე. სეანსში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ ცენტრ. საჭადრაკო კლუბში ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 8-დე.

ქალთა ჩემპიონატი

შესდგა ქალთა ჩემპიონატის მეექვსე ტური, რომლის შემდეგ მდგომარეობა ასეთია:

ზარგარიანს აქვს+3 (3-დან), **ზაუტაშვილს** +4½ (6-დან), **გარკევიჩს**+2½ (4-დან), **ლომინაძეს**+2 (4-დან), **ხოროკინას**+2 (3-დან), **ცნობილაძეს**+1 (4-დან), **დვალიძეს**+1 (5-დან) და **ლომაურს**+1 ((6-დან).

1928 წლის მცირე ჩემპიონატი

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შაბათს, 24 მარტს შესდგა 1928 წლის ქ. თბილისის მცირე ჩემპიონატის მეორე ტური. ჯერ-ჯერობით ორ-ორი მოგება აქვთ **ახნაზაროვს** და **გასპარიანს.**

ოთხშაბათს, 28 მარტს, შესდგება მცირე ჩემპიონატის მესამე ტური.

ვაზის მყნობის კურსები

სავაზაფხულო მუშაობის მოლოდინში რიხტერის სათბურებმა უკანასკნელ კვირეებში გააცხოველეს თავიანთი საქმიანობა. სათბურებზე სწარმოებს ადგილობრივი ჯიშის ვაზის დამყნა ამერიკულ ლერწზე. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო მამულების ტრესტის სათბურებთან მოწყობილია სამკვირიანი კურსები, რომელიც მიზნად ისახავს ვაზის მყნობა შეასწავლოს ადგილობრივ გლეხობას. კურსებმა მუშაობა დაიწყო გასული თვის შუა რიცხვებიდან. კურსებზე ხელმძღვანელად მოწვეულნი არიან სახალხო მამულებს ტრესტის და სამაზრო აღმასკომის რაიონის აგრონომები, კურსებზე სწავლობენ ადგილობრივი ჯიშების მყნობას ამერიკულ ლერწზე. მარტის შუა რიცხვამდე კურსებზე მეცადინეობს 200-მდე კაცი. კურსების მსმენელთა შორის უმრავლესობა ახალგაზრდებია. მსმენელთა შორის არიან აგრეთვე ქალები.

კურსდამთავრებულნი აწყობენ მევენახეთა არტელებს, რომელთა მიზანს შეადგენს ვენახების აღდგენა და განახლება გაერთიანებული ძალით. დღემდე კურსდამთავრებულთა მიერ მოწყობილია ხუთი ასეთი არტელი.

რკინის გზებზე

საქმე სადგურ ჩაქვაში მატარებლის დამტვრევის შესახებ

ა.-წ. 25 თებერვალს სადგ. ჩაქვში მატ. № 302 აწარმოებდა მანევრებს. სადგურის მორიგე ოგანეზოვმა არ მიაქცია ამას ყურადღება და სადგურზე გაუჩერებლად გაატარა მეორე მატ. № 115. უკანასკნელი დაეჯახა № 302-ს. დაჯახებამ, გარდა იმისა, რომ მას მოჰყვა მოძრაობის შეჩერება, დაშავებულ პირთა პრეტენზიების სახით გზას მიაყენა 21.000 მანეთის ზარალი.

ეს საქმე ამ დღეებში გაირჩევა ა.-კ. რკ. გზაზე შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიაში. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ სადგ. ჩაქვში გზის აგენტს მუშაობის დროს ხელთ არ ქონდათ საჭირო სასიგნალო ხელსაწყოები იმ დროს, როდესაც ასეთები ეწყო სადგურის უფროსის გიორგაძის კაბინეტში.

დამნაშავეებათ ამ შემთხვევაში კომისიამ სცნო ოგანეზოვი და გიორგაძე. ორთავე მოხსნილია სამსახურიდან და მიცემულია პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

მატარებლის გაწყვეტა

მემანქანე კოზინმა, რომელსაც 24 მარტს, მიჰყავდა მატ. №100, გაუჩერებლად გაიარა სადგ. მიუსუსლი (აზერბეიჯანშია) და ვერ შეამჩნია, რომ შემადგენლობას მოსწყდა 13 ცისტერნა.

სადგურის მოსამსახურეები აძლევდენ სიგნალებს მატარებლის გაწყვეტის შესახებ, მაგრამ კოზინმა ამას ყურადღება არ მიაქცია და ჩავიდა ბარგუშეთში და მხოლოდ იქ გაიგო, რომ მატარებელი გაწყვეტია.

საჭირო გახდა მოწყვეტილ ცისტერნებისათვის ხელმეორედ ჩასვლა მიუსუსლში.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მოძრაობის შეფერხება.

ხაზის დაზიანება

კიშლი-ბალაჯარას შუა მიმავალ სამაზრუტო მატარებლის ერთ-ერთ ცისტერნას გაუტყდა ღერძი. ცისტერნა გადავარდა ლიანდაგიდან და დაიკავა ხაზი. ხაზი დაზიანდა 420 მეტრის მანძილზე.

შემთხვევები

რადიუმის გატაცების ცდა

გუშინწინ, მიმდინარე მუშაობის დროს ქალაქის აღმასკომის ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტში (ორჯონიკიძის ქ. № 30) ექიმმა ქალმა თავდგირიძემ, რომელიც ასუფთავებდა რადიუმით სამკურნალო აპარატს, აღმოაჩინა ერთი ზედმეტი რადიუმის ჩხირი (35 ცალის მაგიერ 36).

რადიუმის ჩხირები იძლევა სხივებს, რომლითაც მკურნალობენ კიბოს ავადმყოფობას. ჩხირები მოთავსებულია გალაქულ ბუდეში და წააგავს ინგლისურ ქინძისთავებს.

რადიუმის ჩხირების ღირებულება აღემატება 15.000 მანეთს.

ზედმეტი ჩხირის აღმოჩენამ ერთგვარი ეჭვი დაბადა საექიმო პერსონალს შორის, რის გამო შემოწმებული იქნა რადიუმის მთელი აპარატი.

უბრალო თვალით შეუძლებელი შეიქნა ყალბი ჩხირის გამოცნობა, რადგან ყველანი ერთი ფორმისა იყო.

ყალბი ჩხირის გამოსაცნობად აპარატი გაანათეს რენტგენის სხივებით და აღმოჩნდა, რომ ერთი ჩხირი არ ანათებდა.

როგორც გამოირკვა, ბოროტმოქმედი ცდილობდა ნამდვილ ჩხირების ამოღებას და მათ მაგიერ ყალბი ჩხირების ჩადებას, რომ ამით პირველხანებში დაეფარა ბოროტმოქმედების კვალი.

საქმე გამოსაძიებლად გადაეცა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას.

უცაბედათ დაჭრა

გუშინ, დილით, სურენ გიორგის ძე დავიდოვს (მცხ. ძნელაძის ქ. 44) წმენდის დროს უცაბედათ გაუვარდა „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი. ტყვია მოხვდა მის სიძეს—რუბენ ალექსანდროვს, რომელიც მძიმედ დაიჭრა.

თვითმკვლელობა

გუშინწინ, ღამით, კონსტანტინე ივანეს ძე ხოჯამიროვმა (მცხ. თავისუფლების მოედანზე № 3) მძიმედ დაიჭრა თავი რევოლვერის ტყვიით. ხოჯამიროვს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში. თავის დაჭრის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ანდრია პეტრეს ძე კრავჩენკო და დიმიტრი სტეფანეს ძე ბოროდინი.

ხსენებულ პირებს ბრალდება საცხოვრებელ ბინების გაქურდვა.

ქურდობა

გუშინ, დილით, გაქურდეს მიხეილ ჩხეტიას ბინა (ყაზბეგის ქ. № 4); წაიღეს 150 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ივანე მელოვის ბინა (ლენინის ქ. № 43); წაიღეს 120 მანეთის საოჯახო ნივთები.—გაქურდეს გიორგი კაიშაურის ბინა (არგუთინის ქ. № 6); წაიღეს 130 მანეთის ტანსაცმელი.

ვისია ნივთები?

მილიციის მიერ ნაპოვნია ქალის ტანსაცმელები და ფული. პატრონი უნდა გამოცხადდეს აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ოთახი № 2, გ. მალალაშვილთან.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ გამოაქვეყნოთ გაზეთ „კომუნისტ“-ში შემდეგი:

1922 წლამდე ვმსახურობდი მღვდლად სოფ. ლაცორიაში (ლეჩხუმის მაზრა). მას შემდეგ მღვდლობას თავი დავანებე, ვეწევი სასოფლო მეურნეობას.

ამიერიდან ვაცხადებ, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს სასყიდლისათვის, ან სხვა რამე მოსაზრებით ხელახლა დავუბრუნდე მღვდლობას. მთელი ჩემი ძალღონით დავეხმარები და ხელს შევუწყობ საბჭოთა ხელისუფლებას მის მიერ წარმოებულ დიად აღმშენებლობაში.

აპოლონ გელოვანი.

რადიო-გადაცემა

სამშაბათს, 27 მარტს

დღეს, 27 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პრინციპები და მისი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში—ქართულ ენაზე.

რა ზიანი მოაქვს რელიგიურ ცრუმორწმუნეობას ჯანმრთელობისათვის—ქართულ ენაზე.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე—აფხაზურ ენაზე.

რას აძლევს გლეხს და სოფელს საგლეხო სესხი—რუსულ ენაზე.

შრომის საკითხები მრეწველობის ხუთწლიან გეგმაში—რუსულ ენაზე.

ოპერა „ევგენი ონეგინ“-ის ტრანსლიაცია.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

ამიერ-კავკ. დეპ. სააგენტოს ინფორმაცია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ოთხშაბათს, 28 მარტს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ყველა პროფკავშირების, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების კულტგანყოფილებათა თათბირი, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, ამ. ლ. კ. კ. ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, თბილისის პოლიტგანათლების და საქართველოს პოლიტგანათლების მთავარმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად.

—:—

საქ. უნივერსიტეტთან არსებულ ამ. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებული ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 27 მარტს, საღამოს 7 საათზე შესდგება კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება. კომკავშირის ყველა უჯრედთა წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 27 მარტს. დილის 10 საათზე ბიურო კოლექტივში ამხ. აბუსერიძესთან:

მიხეილ ჩომახიძე; გრიგოლ კეკელიძე; ისაკო ხარიშვილი; გიორგი ტუხაშვილი; გრიგოლ კიკვაძე; ალექსანდრე მანჯგალაძე; ნიკოლოზ ხათაგური; ივანე ეჯიბიშვილი; ივანე ეფრემიძე; ნინო ჯღარკავა; ნესტორ ყიფშიძე; დავით ნაზალია; ანდრო ყიფშიძე; დავით ბასიშვილი, ერასტი სუპატაშვილი; შალვა გიორგაძე; გრიგოლ ფურცელაძე; სტეფანე სახაროვი; ბაგრატი ცქვიტინიძე; სეით სიმონგულოვი, ნოე ფოფხაძე; ივანე გუგუშვილი; ლეო ხაჩიძე და გრიგოლ კუპატაძე.

საქ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 27 მარტს, საღამოს 7 საათზე (პროფკომის ოთახში) გარდა ბიუროს წევრებისა საჭიროა გამოცხადდენ: ამხ. დ. ლეჟავა, შ. ცოტაძე, ლობჟანიძე, ჭანკვეტაძე და გალ. ჯიმშელეიშვილი.

—:—

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 27 მარტს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

—

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღნიშნულ განყოფილებაში (ოთახი № 8) ამხ. თარხანოვთან:

პეტრე სესეს ძე ჯაგაევი; მიხეილ ილარიონის ძე გორგიაშვილი; ივანე მიხეილის ძე სევასტიანოვი; გიორგი ავეტიკის ძე საკოვი, იოსებ სპირიდონის ძე გაბაშვილი; სარქის სტეფანეს ძე აბოვიანი; უშანგი ლორთქიფანიძე; ორუჯ ოღლი სიუნ-კული; ანდრია მოსეს ძე სარქისოვი; იაგორ ივანეს ძე გევორქოვი; გრიგოლ მიხეილის ძე ტიბილაშვილი; ელენე მიხეილის ასული რაპოპორტი-იანოვისა, მიხეილ ალექსანდრეს ძე ზირანდილევსკი; გიორგი იოსების ძე მთვრალაშვილი; ლევან პეტრეს ძე არუთინიანი; გრიგოლ ივანეს ძე გუბინი; ანა ალექსანდრეს ასული გუბინა, სოლომონ ზაქარიას ძე სლონიმი და თომა ნიკოლოზის ძე ბეცუკელი.

ამხანაგები, რომლებიც თბილისის გარეთ იმყოფებიან ნუ ჩამოვლენ. ადგილმყოფელობისა და მუშაობის შესახებ წერილობით შეატყობინონ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებას.

გულდათუთქული მშობლები: დედა ვალიდა ივანეს ასული, მამა მაქსიმე ივანეს-ძე, დები: ლენა და შურა და ძმა დათიკო ხორავები, ბიძა სოლონ რაზმაძე და გამზრდელი მატრონა ფაჩულიასი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს,—რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 23 მარტს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი და მარად დაუვიწყარი

ნადეჟდა მაქსიმეს ასული ხორავა

დაკრძალვა ხუთშაბათს, 29 მარტს, ქ. ფოთში ნახუტურის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე სამეგრელოს ქ. საკუთარი სახლი. ნ. 831

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სარა, შვილები: ალექსანდრე, გრიგოლი, ანა, ეთერი; ძმები და ძმისშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

მასიკო გიორგის-ძე კალანდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ ოზურგეთში, ხუთშაბათს, 29 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 834

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბიჭიკო, შვილები: მიხეილ, აგრაფენა და ნადია ცანავები, სიძე შალვა ჯალაღანია, შვილიშვილები პაწიები ლია და მეგი, დედამთილი ელისაბედი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, მათთვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარი

ლიზა სამსონ ვაჭარაძის ასული ცანავას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას ქ. სამტრედიაში, ა. წ. 24 მარტს, დაკრძალვა ქ. სამტრედიაში 29 მარტს, დილით ხუთშაბათს. ნ. 835

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: დედა დარიკო, ძმები: ერმილე და მიხა გუგუშვილები ცოლშვილით, და მარო მასხულია ქმარშვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის მუდამ საყვარელი და დაუვიწყარი

იაგორ იოსების-ძე გუგუშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა სოფ. ეწერში სამშაბათს, ა. წ. 27 მარტს. 1918

სამუდამოთ გულდათუთქულნი და ულრმეს მწუხარებაში მყოფნი დედა მართა, მამა ანდრო, ძმები: ვანიჩკა, თომა, შალვა, ლევო, ვალიკო და აპოლონ ფოცხიშვილები, რძლები: თამარა და თამარა, ბებია ელისაბედი, დეიდაშვილი კატო და კოლია ბერძენიშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ა. წ. 24 მარტს, შაბათს, ღამით ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალ. ლანჩხუთში გარდაიცვალა მათთვის მუდამ ჟამს საყვარელი და დაუვიწყარი

მარო ანდრიას ასული ფოცხიშვილი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 29 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე—ქალ. ლანჩხუთში. 1917

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი

სახკინმრეწვის თეატრები

მსოფლიო ფილმი
სიცოცხლე სიცოცხლისათვის
რეჟისორი ჯოემაი
მთავარ როლებში: მარჩელა ალბანი, პაულ რიხტერი, პაულ ვეგენერი,
აფრიკის ასული უკანასკნელი 3 და 4 სერიათ
მხატვრული შედევრი მეზღვაურის მეგობარი ქალი
დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან ალათის ქალა
ანონსი: მალე რევოლიუციონური ფილმი „ოქტომბერი“ 0—22

კვირას, 8 აპრილს, დილის 11 საათიდან ნავთლუღში, სამხედრო უწყების საწყობებში (სამხედრო ჰოსპიტალს იქით) შესდგება

საჯარო ვაჭრობა

საბარგო და ნახევრად საბარგო ავტომობილების გასასყიდათ. დათვალიერება შეიძლება 1 აპრილს და საჯარო ვაჭრობის დღეს 9 საათიდან.

ნ. 832 სამხედრო საფონდო ბიურო.

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 11 აპრილს დილის 10 საათზე ტარიბანაში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ალექსანდრე დავითის-ძე წაწალაშვილის, რომელიც აღწერილია მეცხვარეთა ამხ—ბა „მწყემსი“-ს ვალში, თანახმად თბილისის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა 19 იან. 28 წ. № 585. სია გასასყიდ ქონებისა: ასი სული დიდი მომგები ცხვარი შეფასებული 1000 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასიდან ჯგუფურათ და მსურველთათვის ერთად. ნ. 829

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 აპრილს დილის 10 საათზე იორზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ილია კაკოლას-ძე დათუკიშვილის, რომელიც აღწერილია მეცხვარეთა ამხ—ბა „მწყემსი“-ს ვალში, თანახმად ქალ. თბილისის მე-2 სახემ. სანოტარო კანტორის გაპროტესტებულ თამასუქისა 1 თებ. 28 წ. № 12. სია გასასყიდ ქონებისა: დედალი მომგე ცხვარი 100 სული, დედალი თოხლი 40 სული, ოთხი სული ხარი, ორი სული ხარკამეჩი, ორი სული ფურკამეჩი, ათი სული მსხვილი ძროხა, სამი ცხენი შეფასებული 2400 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასიდან ცალ-ცალკე და მსურველთათვის ერთად. ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ იორზედ. ნ. 829

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. აპრილის 6-ს დღის 10 საათზე ყარყოზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა იოსებ და გიორგი ვასილის-ძე ბაღაშვილების, რომელიც აღწერილია მეცხვარეთა ამხ—ბა „მწყემსი“-ს ვალში, თანახმად ქალ. თბილისის 1-ლი სახელმწიფო სანოტარო კანტორის გაპროტესტებულ თამასუქისა 28 ნოემბ. 1927 წ. № 3195. სია გასასყიდ ქონებისა: 40 სული მომგე დიდი ცხვარი, 20 სული დედალი თოხლი, 10 სული მამალი თოხლი, 4 სული თხა, შვიდი ფური თავის ტანებით, ორი კამეჩი და ერთი ცხენი შეფასებული 1130 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასიდან, იწარმოებს ჯგუფურად და მსურველთათვის ცალ-ცალკე. ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ყარყოზე. ნ. 829

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 4 აპრილს დღის 10 საათზე იორზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ვასილ სპირიდონის-ძე კობიაშვილის, რომელიც აღწერილია მეცხვარეთა ამხ—ბა „მწყემსი“-ს ვალში, თანახმად თბილისის მე-5 უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელ ფურცლისა 1 აგვისტო 27 წ. № 2564. სია გასასყიდ ქონებისა: რვა სული ცხენი, სამი ვირი, 80 სული მომგე დიდი ცხვარი, ხუთი სული თხა, სამი სული ყოჩი და ხუთი თოხლი, სამი ჩეფიჩი შეფასებულია 1465 მანეთად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასიდან ცალ-ცალკე და მსურველთათვის ერთად. ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ იორზედ. ნ. 829

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლო აღმასრულებელი გ რ. ი. ქილიფთარი

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 30 მარტს დღის 12 საათზე მესამე სანაპირო ქუჩაზე № 8 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მაქსიმე გაჩეჩილაძის ზემოაღნიშნულ ქვიტკირის სახლს, დახურულს კრამიტით, რომელიც შესდგება 12 ოთახისაგან და 3 სამზარეულოსაგან შეფასებულს 1000 მანეთად ბარ. ჩიკვაიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბ. 4 სანოტარო კანტორის ა. წ. 9 იანვარს № 80 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა დაიცვან ს.ს.ს.კ. 311—312 მუხლის მოთხოვნანი. 1916

დაკარგვი: პროფკავშირის წიგნაკი № 18637, ვასილ ალექსანდრეს-ძე მურალოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 830

დაკარგვი: მედსანშრომის საწევრო წიგნაკი № 7868 ნიკოლოზ ლომსაძეს სახელზე ჩ. გ. 1915

დაკარგვი სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 34—ვლადიმერ ბეჟანისძე ბანცაძეს სახელზე ჩ. გ. 1914

დაკარგვი: კოოპერაცი ს საწევრო წიგნაკი № 4687, გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ, ივანე გაბრიელის-ძე ნასარიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 838

დაკარგვი: რკ. გზ. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 3111, გაცემული ქუთაისის გაერთიანებულ ადგილკომის მიერ, ზაქარია კაციას-ძე ჩოგოხაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 830

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
ნ. ცურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 25—0

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ქუთაისში
ექ. **დ. ჩეჩელაშვილი**
გადავიდა ახალ ბინაზე ჭაჭაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრომბელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინა ან ავადმყოფ. ბს. სპეციალ. ექიმობა ფილტვებს მიღება დილის 8—12 საათ. 13—

მიიღება ხელისმოწერა

ხელისმოწერის პირობები გაზეთის ბინაზე მიტანით	მუშა-მოსამსახურ. გლეხ ზისა, წითელ არმიელებისა, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის	დაწესებულ. ორგანიზაც. და კერძო პირთათვის
1 წლით	11 მან. 50 კაპ.	15 მან.
9 თვით	8 „ 60 „	11 „ 30 კ.
6 „	5 „ 75 „	7 „ 55 კ.
3 „	2 „ 90 „	3 „ 80 კ.
1 „	1 „ — „	1 „ 30 კ.

საზღვარგარეთ
1 თვით 1,5 დოლ.
1 წლით 16 „

კომუნისტი
დიდი პოლიტიკური გაზეთი
მიიღება ხელისმოწერა აპრილისათვის

ხელისმოწერა მიიღება თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პრ. № 84
პროვინციაში
1) ქუთაისი—კონტრაგენტ მ. ტყაბლაძესთან
2) ჭიათურა—კონტრაგენტ გ. გოგელიასთან
3) სამტრედია—კონტრაგენტ ვლ. გოგელიასთან
4) ხაშური—კონტრაგენტ ლორთქიფანიძესთან
5) ფოთი—კონტრაგენტ მგალობლიშვილთან
6) ბათომი—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში
7) სენაკი—კონტრაგენტ ესებუასთან
8) აბაშა—კონტრაგენტ მიქაძესთან
9) ზესტაფონი, ჩხარი, ხვირი, აჯამეთი კონტრ. ცხომელიძესთან.
10) ოზურგეთი—კონტრ. პოლ. ინწკირველთან
11) დიდი-ჯიხაიში—წიგნის მაღაზია გიორგი ძიძილეიშვილთან.
12) თელავი—კონტრაგენტ რევაზოვთან
13) გორი—კონტრაგენტ მაისურაძესთან
14) სიღნაღი—კონტრაგენტ მდივანთან.
15) ხონი—კონტრაგენტ ფალავასთან
16) ზუგდიდი—კონტრაგენტ კილასონიასთან
17) სოხუმი—ფოსტა-ტელეგრ. კანტორაში.
18) ბორჯომ-ბალი—კონტრ. მაქაცარიასთან
და რკინის-გზის ყველა კიოსკში

პოლიგრაფტრესტის მე 5 ი სტამბა, კამოს ქ. № 68